მიუხედავად უმარავი პრობლემისა, რომლებიც ამ პუბლიკაციაში წარმოდგენილი ანგარიშების შექმნას თან სდევდა, ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ამ ანგარიშების ხარისხი პროექტის პირველი ფაზის წარმატებით მსვლელობაზე მიუთითებს.

ეს პუბლიკაცია საქართველოში ეპიდემიის გავრცელების სოციო-კულტურული კუთხით დანახულ სრულ სურათს ასახვს.

სომხეთსა და აზერბაიჯანში არსებული სიტუაციის სრული განხილვა და სამივე ქვეყანისათვის შემავალბელი ანგარიში და შედარებითი ანალიზი, ასევე, ცალკეულ პუბლიკაციებშია მოცემული.

პროექტის მეორე სტადია, 2005 წლის ივნისში, თბილისში, საქართველოში ჩატარებული სუბრეგიონალური კონფერენციის დროს დაიწება. აქ თავს მოიყრიან საქართველოს განათლების, ჯანმრთელობის, კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროების მაღალი დონის წარმომადგენლები სამივე ქვეყნიდან, გაერო-ს თემატური ჯგუფის წევრები, სამთავრობო და არასამთავრობო წამყვანი ორგანიზაციები რათა წარმოადგინონ კვლევის შედეგები და აივ/შიდს-ის, განათლებისა და კულტურის სფეროებში სუბრეგიონალური თანამშრომლობის შესაძლებლობები განიხილონ.

მეორე ფაზა 2005 წელს ივნისში ეროვნულ დონეზე მთელი რიგი შეხვედრებით გაგრძელდება, სადაც თავს მოიყრიან ყველა ის ადგილობრივი ძირითადი ორგანიზაციები, რომლებიც აივ-ისა და შიდს-ის საკითხებთან დაკავშირებულ სამუშაოს ეწევიან. შიდს-ის ეროვნულ ცენტრთან მჭიდრო თანამშრომლობის საშუალებით აქ ერთმანეთს არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები (ახალგაზრდები, ქალები), აივ-ით ინფიცირებულები, რელიგიური ორგანიზაციების, მედიის და ორმხრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები შეხვდებიან. ამ შეხვედრებზე ეროვნული კვლევის შედეგები იქნება წარმოდგენილი; ყველა მთავარი ორგანიზაციის ყურადღება თვითოეული ქვეყნისთვის აივ-თან და შიდს-თან დაკავშირებულ მთავარ სოციო-კულტურულ საკითხებზე კონცენტრირდება; და აივ-ის სტრატეგიის, პროექტებისა და პროგრამების შემუშავებისას ამ დამახასიათებელი თვისებების მხედველობაში მიღება გახდება აუცილებელი.

პროექტის მეორე და საბოლოო ფაზა 2006 წლის აპრილისათვის უნდა დასრულდეს.

UNESCO იმედოვნებს, რომ ეს პუბლიკაცია არა მხოლოდ კავკასიის რეგიონში აივ-ის ეპიდემიის გავრცელებაში კულტურის უდიდეს როლის დემონსტრირებაა არამედ, საერთაშორისო საზგადოებებისთვის იმის მანიშნებელიც, რომ თუ მათ სურთ ეფექტურად ებრძოლონ აივ-სა და შიდს-ს, დასძლიონ სტიგმა და დისკრიმინაცია, რომელსაც აივ-ით ინფიცირებული ადამიანები ყოველდღიურად ეჯახებიან, ნებისმიერი სტრატეგიის, პოლიტიკის, პროექტისა თუ პროგრამის შექმნის დროს ადგილობრივი კულტურის თავისებურებების გათვალისწინებაა აუცილებელი.

კატარინა სტანო

კულტურული პოლიტიკისა და ინტერკულტურული დიალოგის განყოფილების დირექტორი

განსაკუთრებული მადლობა

UNESCO დიდ მადლობას უცხადებს ამ პუბლიკაციის ავტორებს და კერძოდ, ეროვნული ჯგუფის იმ ექსპერტებს, რომლებიც ამ ანგარიშის შექმნაზე მუშაობდნენ: ქეთი სტვილიას, ხათუნა თოდაძეს და გიორგი ნიჭარაძეს. ამ რეგიონში აივ-ის ეპიდემიასთან დაკავშირებული სიტუაციის ანალიზი ახალი წამოწყებაა და ამდენად, საკმაოდ რთული ამოცანაა, რომელსაც ამ ჯგუფმა აღსანიშნავი პროფესიონალიზმითა და კომპეტენტურობით გაართვა თავი.

მადლიერების ღრმა გრძნობას გამოვხატავთ პროფესორ სინტია ბაქლეის მიმართ, რომელმაც როგორც პროექტის მთავარმა კონსულტანტმა ფასდაუდებელი შრომა გასწია. პროფესორ ბაქლეიმ შეიმუშავა მთელი პროექტის კვლევის მეთოდოლოგია, უზრუნველყო ეროვნული ჯგუფების ტრენინგები და ეროვნული კვლევის ანგარიშების წარმოებას უხელმძღვანელა.

გვსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ შიდს-ის ნაციონალური ცენტრის დირექტორს, ბატონ თენგიზ ცერცვაძეს, მისი თანამშრომლობის, მხარდაჭერისა და პროექტში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის.

პროექტში მონაწილეობისათვის მადლობას ვუცხადებთ გაერო-ს აივ/შიდს-ის გაერთიანებული პროგრამის ჩვენ პატნიორებს, კერძოდ, ქალბატონ რენატე ემერს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს კოორდინატორს და ქალბატონ ლენა სანიკოვას, UNAIDS თანამშრომელს.

განსაკუთრებულ მადლობას მოვასხენებთ ქალბატონ ერინ კოჩს და ქალბატონ ჰიზერ მაჰერს ამ პუბლიკაციის გამოცემაში აღმოჩენილი უდიდესი დახმარებისათვის

დიდ მადლობა UNESCO ს საქართველოს ეროვნულ კომისიას

ერთგულებისა და ამ პუბლიკაციასთან დაკავშირებით განეული შრომისათვის მადლობას მოვასხენებთ ქალბატონ მაკა დვალისვილს, ხელოვნებისა და კულტურის საქართველოს ორგანიზაციის აღმასრულებელ დირექტორს.

პირველ რიგში, UNESCO დიდად დავალებულია ფლანდრიის მთავრობისაგან, რომლის ფინანსური მხარდაჭერის გარეშეც ამ პროექტის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა.

აკრონიმები

AIDS	შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი (შიდს-ი)
ARV	ანტირეტროვირუსული
BBP	ძირითადი მომსახურების პაკეტი
BSS	ქცევითი მეთვალყურეობის კვლევა
CSW	კომერციული სექს-მუშაკი
CCM	ქვეყნის საკოორდინაციო მექანიზმი
ESPAD	სკოლაში ალკოჰოლის და ნარკოტიკების (მოხმარების) კვლევის ევროპული პროექტი
GFATM	გლობალ ფონდის პროექტი □დავამარცხოთ შიდს-ი, ტუბერკულოზი და მალარია□
GFC	საქართველოს ბავშვთა ფედერაცია
GOC	ქართული მართლმადიდებელი ეკლესია
HAART	მაღალაქტიური ანტირეტროვირუსული მკურნალობა
HBV	ჰეპატიტ B ვირუსი
HCV	ჰეპატიტ C ვირუსი
HIV	ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ)
IDACIRC	ინფექციურ დაავადებათა, შიდს-ის და კლინიკური იმუნოლოგიის კვლევითი ცენტრი
IDP	იძულებით გადაადგილებული პირი
IDU	ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელი
IOM	მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
MOH	ჯანმრთელობის სამინისტრო
MSM	მამაკაცებთან სექსის მქონე მამაკაცები
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
PLHIV	აივ-ის მატარებელი (აივ-ით ინფიცირებული)
PMTCT	დედიდან შვილზე გადაცემის პრევენცია
SHIP	სექსუალური გზით გადაცემული ინფექციების/აივ-ის პრევენცია
SMIC	სახელმწიფო სამედიცინო სადაზღვევო კომპანია
STI	სექსუალური გზით გადაცემული ინფექციები
TB	ტუბერკულოზი
UN	გაერო (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია)
UNAIDS	გაერო-ს აივ/შიდს-ის გაერთიანებული პროგრამა
UNDP	გაერო-ს განვითარების პროგრამა
UNFPA	გაერო-ს მოსახლეობის ფონდი
UNICEF	გაერო-ს ბავშვთა ფონდი
USAID	საერთაშორისო განვითარების □აშშ-ს სააგენტო
WB	მსოფლიო ბანკი
WHO	ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია
V(C)CT	ნებაყოფლობითი (კონფიდენციალური) კონსულტირება და ტესტირება

საქართველოს რუკა



აივ-ინფექცია და შიდსი საქართველოში: სოციალურ-კულტურული მიდგომა

გიორგი ნიჟარაძე

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი □ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის, კულტურის ფსიქოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი

ქეთევან (ქეთი) სტვილია

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი □ ინფექციურ დაავადებათა, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის კვლევის ცენტრის, შიდსის პროფილაქტიკის განყოფილების ხელმძღვანელი

ხათუნა თოდაძე

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის ნარკოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო დირექტორი, სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ნარკოლოგიის კათედრის დოცენტი

ნაწილი I. აივ-ინფექცია და შიდსი საქართველოში

შესავალი

საქართველოში აივ-ინფექციის გავრცელების ზოგადი მაჩვენებელი, შედარებით დაბალია - 0.13%. მიუხედავად ამისა, საქართველოში აივ-ის ეპიდემიის სწრაფი გავრცელების დიდი საშიშროება არსებობს. ინფექციის გავრცელების დაბალი მაჩვენებელი ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ საქართველოს მოსახლეობა კრიზისის მოახლოებას ჯეროვნად ვერ აფასებს. სტიგმა და დისკრიმინაციის შიში საქართველოში აივ-ის მტარებელ ადამიანებს (PLHIV) აიძულებს დამალონ თავისი აივ-სტატუსი. აივ-ით ინფიცირებულ ინდივიდთა უმრავლესობა, ყოფილი ან ახლანდელი ნარკომანები, კომერციული სექსის მუშაკების და სხვა, საზოგადოებისაგან გარიყული პირები არიან, რაც აივ-ის ინფექციასთან დაკავშირებულ სტიგმას კიდევ უფრო ამძაფრებს.


ზოგადად, როდესაც ადამიანებს სთხოვენ დაასახელონ აივ-ით ინფიცირებული მათთვის ნაცნობი პირები, ისინი ძირითადად იხსენებენ გამოჩენილ პოპ ან სპოტის ვარსკვლავს, რომელიც შიდს-ით გარდაიცვალა. ძველი ქართული ანდაზა ამბობს: □რასაც ვერ ხედავ, არ გჯერა და არც გეშინია□.

მოსახლეობის მიერ აივ/შიდს-ის საშიშროების გაცნობიერება და მისადმი დამოკიდებულება ძირითადად აივ-ით და/ან შიდს-ით ინფიცირების რისკის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობითა და გამოყოფილი თანხების სიმწირით განისაზღვრება; აივ/შიდს-ის ეპიდემიოლოგიის, ქცევისა და ეპიდემიის გავრცელებაზე ადგილობრივი კულტურის ზემოქმედების შესასწავლად წარმოებული კვლევებიდან მხოლოდ რამდენიმე დასრულდა. ცოტაა ისეთი კვლევები, რომლებიც შეისწავლიან გენდერის, რელიგიის, კულტურისა და ტრადიციის როლის ზემოქმედებას აივ-ინფექციის პრევენციის პროგრამების ეფექტურობაზე. უმეტეს შემთხვევაში, გამოიყენება უცხო ქვეყნების გამოცდილება, რომელთა კულტურაც ხშირად ვერ ჯდება საქართველოს კონტექსტში. ავადმყოფობის გადაცემის გზებისა და ჯანდაცვის სისტემის სტრუქტურის განსაზღვრასთან ერთად, აივ ინფექცია/შიდსთან ბრძოლის ეფექტურობაში ქათულ ტრადიციებსა და თავისებურებებსაც მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ.

მოცემული მოხსენება პირველი მცდელობაა საქართველოში აივ-ის ეპიდემიის მიზეზების სოციალურ-კულტურული ფაქტორების, ეპიდემიასთან ბრძოლის სოციალურ-კულტურული რესურსების ღრმა ანალიზისა, აგრეთვე, აივ-ის პრევენციისათვის მოსახლეობასთან დაგანსაკუთრებით ახალგაზრდობასთან ურთიერთობის ეფექტური გზების გამონახვისა, ლოკალურ კულტურასა და ტრადიციებს და საგანმანათლებლო ინოვაციებს შორის ბალანსის შენარჩუნების გათვალისწინებით.

1.1. აივ ინფექციის ეპიდემიოლოგია საქართველოში

ტაბულა 1. აივ-ის შემთხვევების საერთო რაოდენობა წლების მიხედვით



2004 წლის 1 ნოემბერს, საქართველოში ოფიციალურად აივ-ის 597 შემთხვევა იყო რეგისტრირებული (შიდს-ის ეროვნული ცენტრი). მათ შორის 193-ს შიდსი განუვითარდა, აქედან 111 გარდაიცვალა. აივ-ის მტარებელთა რაოდენობა საქართველოში დაახლოებით 3000 ადამიანია (ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია). აივ-ის რეგისტრირებული შემთხვევები, უმეტესწილად, საქართველოს დედაქალაქში, თბილისში და შავი ზღვის რეგიონებში, აჭარასა და სამეგრელოშია თავმოყრილი.

□ აივ ინფექცია/შიდსის პირველი შემთხვევა 1989 წელს დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში, სოხუმში იყო რეგისტრირებული. საქართველოს შიდსის კონტროლის სამსახური სსრკ ჯანმრთელობის სამინისტროს დადგენილებით 1986 წელს დაარსდა. ეს დადგენილება ითვალისწინებდა მთელი მოსახლეობის საყოველთაო სკრინინგს აივ ინფექცია /შიდსის შემთხვევათა დასადგენად და თითოეულ შემთხვევაზე მკაცრი ეპიდემიოლოგიური კონტროლის დასაწესებლად. იმ დროისათვის, აივ ინფექცია/შიდსის დაგეგმარებაზე პასუხს სსრკ ჯანმრთელობის სამინისტრო აგებდა და აივ-ის პრევენციისა და კონტროლის საქმიანობაში მხოლოდ სამთავრობო დანესებულებები იყვნენ ჩართულნი. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მოქალაქეთა, მათ შორის უცხოელთა, საყოველთაო სკრინინგი აივ/შიდს-ის კონტროლის მთავარ სტრატეგიას წარმოადგენდა. აივ ინფექცია/შიდსის ფართომასშტაბიანი პრევენცია და მოსახლეობის განათლება სრულიად უგულვებელყოფილი იყო. საქართველოში ყველა პაციენტს, ვინც საკონსულტაციოდ პაციენტთა დეპარტამენტებსა და საავადმყოფოებს აკითხავდა, აივ-ინფექციაზე ტესტირება აუცილებლად უნდა გაეწყო.


1.2 მეთვალყურეობა

საქართველოში აივ-ის გავრცელების ყველაზე მეტი მონაცემები 1985 □ 1992 წლებში გაკეთებული ტესტირების შედეგია, როდესაც ტესტირება 1.4 მილიონმა ადამიანმა გაიარა და 10 - აივ-ით ინფიცირებული აღმოჩნდა. 1995 წელს საქართველოში ყველა ჰოსპიტალიზირებულმა ავადმყოფმა სავალდებულო აივ-ტესტირება გაიარა. 400 000 კაციდან, 20 აივ-ით ინფიცირებული აღმოჩნდა. 1966 წელს იმ 30 050 ადამიანიდან, ვისაც ტესტი ჩაუტარდა საქართველოში, 8-ს აივ-ინფექციის დაგნოზი დაესვა.

აივ ინფექცია/შიდსის პრევენციისა და კონტროლის პოლიტიკა არსებითად შეიცვალა დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ და ადრეულ გარდამავალ პერიოდში, მას მერე რაც ქვეყანამ დემოკრატიული აღმშენებლობა დაიწყო. 1993 წელს საქართველო რიგის დეკლარაციას შეუერთდა და სავალდებულო აივ-ტესტირებიდან აქცენტი პრევენციის ფართომასშტაბიან ქმედებებზე გადავიდა, სადაც უპირატესობა ადამიანთა უფლებებს, მოსახლეობის განათლებას, თემის ჩართვასა და მონაწილეობას ენიჭებოდა. შეწყდა ყოველგვარი სავალდებულო ტესტირება □ მხოლოდ დონორები მონმდებოდნენ. შესაბამისად, საქართველოში ყოველწლიურად ჩატარებული აივ-ტესტირების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა (დაახლოებით 6-8 ჯერ), და უპირატესობა ნარკომანთა, კომერციულ სექს_მუშაკთა, ჰომოსექსუალისტთა, ვენერიული სნეულებებითა და ტუბერკულოზით დაავადებულთათვის კონსულტაციის განწევასა და მათ


ტესტირებას მიენიჭა. დღემდე, აივ-ინფექციაზე ტესტირება და კონსულტაციები შიდსის ეროვნული ცენტრისა და რეგიონალური ცენტრების (64) მეშვეობით ხდება. როგორც კონსულტაციები, ასევე ტესტირება მკაცრად კონფიდენციალურია. სხვა ანონიმური მომსახურებაც უზრუნველყოფილია.

ტაბულა 2. საქართველოში აივ-ზე ტესტირებაგავლილ ადამიანთა რაოდენობა წლების მიხედვით




1999 წლამდე საქართველოში ყოველწლიურად აივ ინფექციის შემთხვევათა მეტად მცირე რაოდენობაა რეგისტრირებული. 1999 წელს აივ-ის შემთხვევათა რიცხვი გაორმაგდა და მომდევნო წლებში ინფექციის (ყოველწლიური) მაჩვენებლები სტაბილური გახდა, მხოლოდ მცირე ზრდა აღინიშნება □ 79 - 2001 წელს, 95 - 2002 წელს და 100 - 2003 წელს. 2004 წლის პირველ 10 თვეში აივ-ის სულ 120 შემთხვევა იყო რეგისტრირებული.

ტაბულა 3. აივ-ინფექციის ახალი შემთხვევების რაოდენობა წლების მიხედვით




აივ-ინფექციის გადაცემის ძირითადი გზაა ინექციური ნარკოტიკების მოხმარებაა, შემდეგ ჰომოსექსუალური და დაუცველი ჰეტეროსექსუალური კავშირები. რეგისტრირებულ აივ-ით ინფიცირებულთა 64.7% ინექციური ნარკოტიკების მოხმარებელია, აქედან 27% ჰეტეროსექსუალური, ხოლო 3.2% ჰომოსექსუალური კავშირის გზით დაინფიცირდა.

ტაბულა 3. აივ-ის ახალი შემოსევების რაოდენობა წლების მიხედვით და შიდა გადაადგილების გზები.



ქვემოთ მოცემული სექტორული დიაგრამა უფრო კონკრეტულ ინფორმაციას გვანვდის საქართველოში აივ-ინფექციის გადაცემის გზების შესახებ. მსაგავსად ამ რეგიონის სხვა ქვეყნებისა, ინფექციის გადაცემა, ძირითადად, ინექციური ნარკოტიკების მოხმარებით ხდება □ აივ-ით ინფიცირებულთა 68% ინექციური ნარკოტიკების მოხმარებელია.

ტაბულა 3. გადაადგილების გზები



აივ ინფექციით დაავადებულთა ასაკობრივი ზღვარი 15-24 და 25-34 წელია. აივ ინფიცირებულთა უმრავლესობა, (93%), დევნილ პირთა ჩათვლით (IDPs)(4%), საქართველოს მოქალაქე, ქალაქში მაცხოვრებელი (60%) მამაკაცია (მამაკაცებსა და ქალებს შორის შეფარდება 6:1).

აივ-ის მტარებელთა (PLHIV) დემოგრაფია (1 ნოემბერი, 2004 წელი ინფექციურ დაავადებათა, შიდს-ის და კლინიკური იმუნოლოგიის კვლევითი ცენტრი IDACIRC)

#	კატეგორიები	რაოდენობა						
1	სქესი	მამაკაცი						399 (84.2%)
		ქალი						75 (15.8%)
2	საცხოვრებელი ადგილი	დედაქალაქი						190 (40%)
		რეგიონი						284 (60%)
3	მიგრაციული სტატუსი	იმიგრანტი						12 (2.5%)
		იძულებით გადაადგილებული პირი						19 (4.0%)
		საქართველოს მოქალაქე						443 (93.4%)
4	ასაკობრივი ჯგუფი	0-14	15-24	25-34	35-44	45-64	65>	
		13 2.7%	174 36.7%	213 44.9%	61 12.9%	12 2.5%	1 0.2%	

როგორც სჩანს, ადგილობრივი კულტურისა და ტრადიციების ზოგიერთი ასპექტი სერიოზულ გავლენას ახდენს აივ-ინფექციის ეპიდემიის განვითარებაზე, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოში აივ ინფექცია/შიდსთან ეფექტური ბრძოლის დაგეგმვაში.

1.3 ქართული კულტურის ზოგიერთი დამახასიათებელი თვისება

აუცილებელია მცირე ჯგუფებზე ორიენტირებული (მრავალწევრიანი ოჯახი, ნათესაობა, მეგობრები, მეზობლები და სხვა) კოლექტივიზმის გათვალისწინება, როგორც საქართველოს სოციალური კულტურის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი თვისებისა. ეს ძირითადი ხაზი შემდეგ მიმართულებებს განსაზღვრავს:

1. ისეთ აბსტრაქტულ ნორმებთან შედარებით, როგორცაა კანონი, მორალური პერცეპციები, ან რაციონალური აზროვნების წესები თუ ცხოვრების სწორი წესი და ა.შ., მცირე ჯგუფების მიერ გაზიარებულ ნორმებს მეტი უპირატესობა ენიჭებათ;
 2. სხვა ისეთ ინტერესებთან შედარებით, როგორცაა პროფესიონალიზმი ან კარიერაზე ორიენტირებული ცხოვრების წესი, ინტერპერსონალურ ურთიერთობებს მეტი პრიორიტეტი ენიჭებათ.;
 3. სივრცისა და დროის ფსიქოლოგიური ჰორიზონტები საკმაოდ ვიწროა სივრცე შემოფარგლულია პატარა ჯგუფით ან ჯგუფებით, ხოლო დრო კი მხოლოდ ამ მოცემულ მომენტზეა ფოკუსირებული;
- ყოველდღიური ქცევა და ქმედება, რომელიც მომავალს განსაზღვრავს, იშვიათია ვინაიდან ძნელია მათი გამოსადგობის (სარგებლიანობის) მომენტალური დანახვა. სხვადასხვა დაავადებების, მათ შორის აივ-ის პროფილაქტიკის, დაბალი მაჩვენებელი აღინიშნება. მაგ. 200 რესპონდენტიდან (ბიზნესმენები და მედპერსონალი) აივ-ტესტირება მხოლოდ იმათ გაიარეს, ვინც სხვადასხვა მიზეზების გამო იძულებული შეიქნა(სამსახური, საზღვარგარეთ გამგზავრება) (R.Goodwin et al. 2003) ზემოთხსენებული კულტურული თავისებურებანი სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში იჩენენ თავს, დაწყებული ინდივიდუალური დონითა და ყოველდღიური ქცევით და სახელმწიფო დონით დამთავრებული, რაც ზრდის და კიდევ უფრო ამძაფრებს აივ-თან და შიდს-თან ბრძოლაში მათ მნიშვნელობას.

ეპიდემიის დასაწყისში, საქართველოში, აივ-ის და შიდს-ის კულტურული პერცეფცია (აღქმა) ძირითადად შემდეგი დამოკიდებულებით გამოიხატებოდა: ეს მხოლოდ და მხოლოდ ჰომოსექსუალისტთა და კომერციულ სექს- მუშაკთა პრობლემაა. 1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოში აივ-ი როგორც ჰომოსექსუალური, ასევე ჰეტეროსექსუალური კავშირის გზითაც გავრცელდა, რამაც კიდევ უფრო გაამძაფრა ზოგადი მითი და გზა გაუხსნა სტიგმასა და დისკრიმინაციას. 1996-97 წლებიდან

ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა ზრდამ იგი აივ-ის გადაცემის ძირითად წყაროდ აქცია (რეგისტრირებული შემთხვევების 69%).

აივ/შიდს-ის, როგორც მოსახლეობის მხოლოდ გარკვეული კატეგორიის, კერძოდ, ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა, კომერციულ სექს- მუშაკთა და ჰომოსექსუალისტთა დაავადებად აღქმამ და ამ ჯგუფებშიც კი მისი გავრცელების დაბალმა ტემპმა, მოსახლეობის უფრო ფართო ფენებს გაუჩინა რწმენა, რომ ისინი აივ-ით ინფიცირების რისკის ქვეშ არ იმყოფებიან. ეს დამოკიდებულება კარგად ჩანს შემდეგ განცხადებებში: მე არ ვიყენებ ნარკოტიკებს, არ ვვაჭრობ საკუთარი სხეულით ამიტომ შიდს-ი ჩემი პრობლემა არასოდეს გახდება. თუ 1990-იანი წლების დასაწყისში აივ-სა და შიდს-ს საზოგადოება მხოლოდ აფრიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრობლემად მიიჩნევდა, უკრაინაში და რუსეთში აივ-ის ეპიდემიის ზრდამ პრობლემის ასეთი აღქმა, თუმცა უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც შეარყია; საქართველოს მოსახლეობა ჯერ ისევ თვლის, რომ საქართველო შედარებით დაცულია აივ-ის ეპიდემიის გამწვავებისაგან.

რადგან აივ-ის გავრცელების ძირითადი საშუალება ინექციური ნარკოტიკების მოხმარებაა, ჩვენ ისტორიის, ტრადიციების და აგრეთვე ინექციური ნარკოტიკების მოხმარებისას ქცევის თავისებურებათა ღრმა ანალიზის გაკეთება ვცადეთ, რათა უკეთ გაგვეგო ამ ადგილობრივი კულტურისა და ქცევითი მოდელის ზემოქმედება საქართველოში აივ-ის ეპიდემიაზე.

1.4 საქართველოში ნარკოტიკების მოხმარება

1.4.1 ნარკოტიკების მოხმარება და მასთან დაკავშირებული სარისკო ძველები


1990 წლიდან, საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის რღვევამ და რკინის ფარდის ახდამ, საქართველოში სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მთელმა რიგმა ფაქტორებმა, საქართველოში ნარკოტიკების მოხმარების ზრდას შეუწყო ხელი. კერძოდ, მთავრობა აკრძალული ნივთიერებების მოხმარებას ვეღარ აკონტროლებდა; საზღვარი დაცული აღარ იყო; დრამატულად გაიზარდა დანაშაულის მაჩვენებლები; გაბატონდა კორუფცია; შეიქმნა სოციალურ ფასეულობათა კრიზისი; ფეხი მოიკიდა სოციალურმა პესიმიზმმა; მოხდა სოციალურ-ეკონომიკურ კოლაფსი; გაიზარდა უმუშევრობა და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კი კონფლიქტებს ბოლო აღარ უჩანდა ეს ტერიტორიები ჩვეულებრივ საქართველოს ეკუთვნიან, მაგრამ *de facto* მის იურისდიქციაში არ შედიან.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა სიტუაციას კიდევ უფრო ამძაფრებს, რადგანაც ქვეყანა ევროპისა და აზიის გასაყარზეა განლაგებული. ამ კონტექსტში საქართველო მოგვევლინა იმ მარშრუტების უშუალო დამაკავშირებლად, რომელთა მეშვეობითაც ნარკოტიკები, კერძოდ, ოპიუმი და კანაფი, ავღანეთიდან და ცენტრალური აზიიდან უკანონოდ შემოედინება (J. Janashia; L. Shelley), და ამდენად ხელს უწყობს მათი მოხმარების ზრდას საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანებში ეკონომიკის განვითარება და დანაშაულის (რამაც ასევე ხელი შეუყო საქართველოში ნარკოტიკების მოხმარების საწყის ზრდას) შემცირება აღინიშნება, ინექციური ნარკოტიკების მოხმარება და არალეგალური ვაჭრობა ისევ მატულობს.

სამწუხაროდ, საქართველოს ბიუჯეტის სიმცირის გამო სახელმწიფო ვერ ახერხებს შესაბამისი ზომების გატარებას უკანონო ნივთიერებების მოხმარების პრევენციისა და სამკურნალო პროგრამების დანერგვის მეშვეობით. ყოველივე ამას, კიდევ უფრო ართულებს საზოგადოების არასაკმარისი დაინტერესება და აქტივობა საკითხის მიმართ და დაუხვეწავი კანონმდებლობა.

ნარკოლოგიის ინსტიტუტის მონაცემთა ბაზის ინფორმაციის მიხედვით, ნარკოტიკების მომხმარებელთა და ნარკომანთა იფიციალური რაოდენობა 1990 წლიდან 2004 წლამდე 2.700-დან 21 000 მდე გაიზარდა (მონაცემთა ბაზას შეადგენენ ის პირები, რომლებსაც ნარკოლოგიურმა სამედიცინო დაწესებულებებმა, როგორცაა ნარკოლოგიის ინსტიტუტი, ოფიციალური უწყების (მაგ. პოლიცია) მოთხოვნით ნარკოტიკის მომხმარებლისა და ნარკომანის დიაგნოზები დაუსვეს). ეს რიცხვები საქართველოში ნარკოტიკის მომხმარებელთა რეალურ რაოდენობას არ ასახავს. ცნობილია, რომ საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ოფიციალურად რეგისტრირებულთა და რეალურად არსებულ მომხმარებელთა რაოდენობა ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება.

ტაბულა 6. რეგისტრირებულ ნარკოტიკების მომხმარებელთა და ნარკომანთა საერთო რაოდენობა წლების მიხედვით (საქართველოში ნარკომანიის მდგომარეობის შესახებ წლიური ანგარიში, 2003)



ექსპერტული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების მიხედვით, ამჟამად საქართველოში უკანონო პრეპარატებს რეგულარულად დაახლოებით 150 000 ადამიანი მოიხმარს, რომელთაგან 50-60 000 ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელია (ნლიური ანგარიში ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებულ სიტუაციაზე საქართველოში, 2003).

საქართველოში არ არსებობს რეგისტრაციის რაიმე კოორდინირებული სისტემა და სხვაობა ქალაქებში არსებულ და რეალურ სურათებს შორის საკმაოდ დიდია.¹ ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელი დაპატიმრების შიშით ოფიციალურად არ რეგისტრირდებიან. მიუხედავად ამისა, არსებული მონაცემებიც კი ნარკოტიკების გამოყენების მკვეთრ ზრდაზე მიუთითებს. მაგ. 1994 წლიდან 2003 წლამდე, განმეორებით რეგისტრირებულ მომხმარებელთა რიცხვი, 2,9-ჯერ მოიმატა.

უკანასკნელ წლებში, ნარკოტიკების მოხმარების საზღვრები მომხმარებელთა ასაკის, სოციალური და გეოგრაფიული კუთვნილების თვალსაზრისით კატასტროფულად გაიზარდა. 1999-2000 წლებიდან ძირითადი მოხმარების ნარკოტიკი ჰეროინია, შემდეგ - ნედლი ოპიუმისა ან ყაყაჩოს ღეროს თვითნაკეთი კოქტეილები და სუბუტექსი. უკანასკნელ წლებში, ნარკოტიკების მომხმარებელთა ასაკმა, მათ გეოგრაფიულმა და სოციალურმა წარმომავლობამ დიდი ცვლილებები განიცადა. დღესდღეობით, ნარკოტიკების მომხმარებლები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში გვხვდებიან, მაგრამ მათი უმეტესობა 21-40 წლამდე ასაკისაა.

დღეს, ნარკოტიკები დიდ ქალაქებში უფრო ადვილი ხელმისაწვდომია, თუმცა მათი მოხმარების შემთხვევები პატარა ქალაქებსა და რეგიონებშიც გვხვდება. ნარკოტიკების მოხმარება ყველა სოციალურ ფენაში გავრცელდა, გაუნათლებელი და ღარიბი ფენიდან დაწყებული მაღალი თანამდებობის პირებით დამთავრებული.

თუმცა ქალების მიერ ნარკოტიკების მოხმარება კულტურულ და ტრადიციულ ნორმებს შეესატყვისება და ისეთი რაოდენობით არ აღინიშნება, როგორც სხვა რეგიონებში (მაგ. რუსეთი, უკრაინა, ევროპის ზოგიერთი ქვეყანა და ა.შ.), ექსპერტები მიუთითებენ, რომ უკანასკნელ წლებში ქალებსა და ახალგაზრდა გოგონებში ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი გაიზარდა.

1.4.2 აივ-ის რისკ ფაქტორი ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელ საქართველოს მოსახლეობაში

საქართველოში აივ-ის შედარებით ნელი გავრცელება ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა შორის (1%-ზე ნაკლები) რამდენიმე ფაქტორით შეიძლება აიხსნას. პირველი არის ის, რომ 1970-იან წლებში ჯერ კიდევ აივ/შიდს-ის გაჩენამდე საქართველოში, რამდენიმე პირის მიერ საზიარო შპრიცის გამოყენებამ ინფექციური ჰეპატიტების ფართო გავრცელება გამოიწვია. ამ დროისათვის, მოსახლეობა არ იყო კარგად ინფორმირებული თუ რამდენად სახიფათოა საერთო შპრიცებითა და არასტერილური ნემსებით სარგებლობა. ასევე ნაკლებად ხელმისაწვდომი იყო ერთჯერადი საინექციო ინსტრუმენტები. 1990-იანი წლებში მოსახლეობამ ფართოდ შეიტყო საზიარო შპრიცების გამოყენებასთან არსებული რისკის შესახებ, ერთჯერადი შპრიცებიც უფრო ხელმისაწვდომი გახდა. დღეს, ერთჯერადი შპრიცების ყიდვა რეცეპტის გარეშე და დაბალ ფასებში, თითქმის ყველა ქუჩაზე მდებარე ნებისმიერ აფთიაქშია შესაძლებელი.

რეგისტრირებულ ნარკოტიკების მომხმარებელთა და ნარკომანთა საერთო რაოდენობა წლების მიხედვით (ნარკოტიკებთან დაკავშირებული მდგომარეობის შესახებ საქართველოში, ნლიური ანგარიში, 2003)

¹ნადრევია ნარკოტიკების მომხმარებელთა ნებაყოფლობით რეგისტრაციაზე ლაპარაკი, რადგანაც ისინი ნებისმიერ სახელმწიფო ორგანიზაციას როგორც მტერს ისე აღიქვამენ და მიაჩნიათ, რომ მათ მხოლოდ დამსჯელობითი ფუნქცია აკისრიათ.

მიუხედავად ამისა, ნარკოტიკების მომხმარებლებთან ინტევიუებმა გვიჩვენეს, რომ ისინი ისევ ხშირად იყენებენ საზიარო შპრიცებს. 2000 წელს იმ 200 პაციენტთან ინტერვიუმ, რომლებიც ნარკოლოგიის კვლევით ინსტიტუტში იქნენ გამოკვლეულნი, გვიჩვენა, რომ 56% პროცენტი სხვების კუთვნილ საიონექციო ინსტრუმენტებს (საშუალებებს) იყენებდა: მათგან ვინც საზიარო შპრიცების გამოყენება აღიარა, 41%-მა თქვა, რომ ასეთი შპრიცებს უკანასკნელი წლის მანძილზე იყენებდნენ, 8%-მა განაცხადა, რომ არ გამოუყენებია საზიარო შპრიცი უკანასკნელი წლის განმავლობაში, 11% -ს უკანასკნელი 3 წლის მანძილზე, ხოლო 40%-ს კი 5 წლის მანძილზე არ გამოუყენებია ისინი. ეს მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ნარკოტიკების მომხმარებლები მეტ სიფრთხილეს იჩენდნენ იმ ინფექციური დაავადებების მიმართ, რომლებიც სისხლის მეშვეობით გადადის, რაც ქვეყნის ცვლილებაში გამოიხატა.

აუცილებლად უნდა ვახსენოთ ისიც, რომ სხვისი კუთვნილი საინექციო ინსტრუმენტების გამოყენებისას ისინი კარგად არ იზრუნებენ. რესპოდენტების 86.7%-მა აღნიშნა, რომ განმენდა/სტერილიზაციისათვის ისინი მხოლოდ წყალს იყენებდნენ, რომელიც ხშირად ადუღებულიც კი არ იყო.

მაშინ როცა, ერთის მხრივ, საქართველოში საზიარო შპრიცების გამოყენების უფრო დაბალი მაჩვენებელი აივ-სა და C ჰეპატიტზე ინფორმაციის ზრდას ემთხვევა, მეორეს მხრივ, აივ-ის შედარებით ნელი გავრცელება ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა შორის, ასევე ნაწილობრივ საინექციო ნარკოტიკის, ოპიუმის, ჰეროინით ჩანაცვლებით შეიძლება იყოს გამოწვეული. გარდა იმისა, რომ ჰეროინი ჯგუფურად ნაკლებად გამოიყენება, იგი ასევე, (ინექციის საშუალებით მიღებულ) ოპიუმთან შედარებით, შემდეგი მიზეზის გამო, ნაკლებ რისკს შეიცავს:

უკანასკნელ წლებში, რამდენიმე ადამიანისათვის განკუთვნილ ერთ შპრიცში მოთავსებული ნარკოტიკული პრეპარატისათვის ფილტრაციის მიზნით სისხლის წვეთის დამატების ტექნიკის გამოყენება საგრძნობლად შემცირდა. თუმცა ასეთი პრაქტიკა იშვიათად, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ გვხვდება. 2000 წელს 200 რესპოდენტიდან 27,2% - მა აღიარა, რომ ისინი ნარკოტიკებს აღნიშნული მეთოდით მოიხმარენ, თუმცა მხოლოდ 1/3 იყენებდა მას უკანასკნელი წლის მანძილზე. 2002 წლის ინტერვიუებში, იმ რესპოდენტთა რაოდენობა, ვინც სხვისი სისხლით გაზავებული ნარკოტიკი უკანასკნელი კვირის მანძილზე მოიხმარა, 6,7% იყო. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მეთოდი ნედლი ოპიუმის ან ყაყაჩოს ღეროს, და არა ჰეროინის, მოხმარების დროს გამოიყენება. ამრიგად, არ არის გასაკვირი, რომ ნარკოლოგიის სამედიცინო ექსპერტთა² აზრით, სისხლის დამატების პრაქტიკა კვლავ განხორციელდა 2003 წელს, როდესაც მასიურად ხდებოდა ყაყაჩოს თესლის ტინქტურის (ნაყენის) მოხმარება, რადგანა ამჯერადაც ის მეთოდები გამოიყენებოდა, რომლებიც ოპიუმის ხსნარის დამზადებას ესაჭიროება.

ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა მხოლოდ მცირე პროცენტმა (5%-მდე) გაიარა აივ-ტესტირება, რაც საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის დაბალი მაჩვენებლის, სამედიცინო დანესებულებების მიმართ უნდობლობის და დაპატიმრების შიშის შედეგია (მიუხედავად იმისა, რომ აივ-ტესტირება კონფიდენციალური, ანონიმური და უფასოა, ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა ნარკოტიკების მოხმარებისათვის ფულად ჯარიმასა და თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). რეგულარულად აივ--ტესტირება მხოლოდ იმ მომხმარებლებს უტარდებათ, რომლებიც ჯანმრთელობის დაცვის სპეციალურ დანესებულებებს აკითხავენ. ასეთი დანესებულებების (შიდს-ის ცენტრი, ნარკოლოგიის ინსტიტუტი და არასამთავრობო ორგანიზაციები ბემონის საზოგადოებრივი კავშირი და ახალი გზა) რაოდენობა კი ქვეყანაში მეტად მცირეა.

1.4.3 ნარკოტიკების მომხმარებელთა რისკთან დაკავშირებული სექსუალური ქცევა

კვლევები ასევე ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებსა და მათ სექსუალურ პარტნიორებს შორის აივ-ის გავრცელების მაღალ რისკზე მონიშნა (საქართველოში აივ/შიდს-თან დაკავშირებული მდგომარეობის ანალიზი, 2001 წელი; Dershem L. et al. 2004). პრეზერვატივების გამოყენების ჩვეული, დაბალი მაჩვენებელი ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა სექსუალურ პარტნიორებს (და განსაკუთრებით მათ მეუღლეებს ან რეგულარულ პარტნიორებს) იმ ჯგუფს მიაკუთვნებს, რომლისთვისაც აივ-ით ან სხვა ინფექციური დაავადებებით ინფიცირების რისკი მაღალია. ნარკოტიკის 300 მომხმარებლის გამოკვლევამ (ქვევაზე მეთვალყურეობის კვლევა) ინექციის სექსუალური გზით გადაცემის და აივ-ის პრევენცია, Save the Children, March 2004) აჩვენა, რომ 82.4%-ს ერთი და იმავე პარტნიორთან აქვს ურთიერთობა, 60.8%-ს _ სხვადასხვა პარტნიორებთან და 48.4% -ს კომერციულ სექს-მუშაკებთან. უკანასკნელი 12 თვის მანძილზე სექსუალური პარტნიორების რიცხვმა 6,4 (საშუალო რიცხვი 4-ის ტოლია) მიაღწია. ასაკობრივი ჯგუფების შედარებისას, ყველაზე ახალგაზრდა ჯგუფმა პერმანენტულ პარტნიორებთან ურთიერთობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (70,6%) გამოავლინა. ასაკთან ერთად მაჩვენებელიც იზრდება და უმაღლეს ასაკოვან ჯგუფში 97,1%-ს აღწევს. კონტაქტები არარეგულარულ პარტნიორებთან, 25 30 წლის ასაკის პირებში უფრო ხშირია. უკანასკნელი 12 თვის მანძილზე სექს-მუშაკებთან კონტაქტი უფრო მეტად

² პრაქტიკოსი ექიმი, რომელიც ნარკოტიკებთან დაკავშირებულ მკურნალობას უზრუნველყოფს, რაშიც ფიზიკური მკურნალობა და/ან კონსულტაცია იგულისხმება

ყველაზე ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფში შეინიშნება (20 წლის ქვემოთ □ 64,6 %) და ყველაზე ნაკლებად - ხნიერთა ჯგუფში (40 წელი და ზევით □ 21,9%).


რეგულარულ პარტნიორებთან სექსუალური ურთიერთობისას პრეზერვატივი, ჩვეულებრივ, თითქმის არ გამოიყენება (28,5%), მაგრამ მათი გამოყენების სიხშირე მატულობს არარეგულარულ პარტნიორებთან (55,1%) და სექს-მუშაკებთან (83,5%) კავშირის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, სწორედ ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა რეგულარული პარტნიორები იმყოფებიან აივ-ით დაავადების ყველაზე დიდი რისკის ქვეშ. ამდენად, ეს ის ჯგუფია, რომელთანაც სპეციალური საგანმანათლებლო სამუშაოს ჩატარება ყველაზე მეტადაა საჭირო.

სექს-მუშაკებთან სექსუალური კავშირის შემთხვევაში, პრეზერვატივები უფრო ხშირად ყველაზე ახალგაზრდა რესპოდენტების მიერ გამოიყენება (89,1%) და ყველაზე ნაკლებად - 40 წლის ზევით ასაკის ადამიანების მიერ (28,6%). არარეგულარულ პარტნიორებთან კავშირის შემთხვევაშიც იგივე სურათი გვაქვს □ ყველაზე ახალგაზრდა რესპოდენტები უფრო ხშირად (62,3%) იყენებენ დამცავ საშუალებებს და ყველაზე დიდი ასაკის ინდივიდები კი □ ყველაზე იშვიათად (23,1%). ეს მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ქართულ საზოგადოებაში, და არა მხოლოდ ნარკოტიკების მომხმარებელთა შორის, დამცავი საშუალებების მოხმარების დაბალი მაჩვენებელი ნელ-ნელა იზრდება და უსაფრთხო სექსთან დაკავშირებული უნარ-ჩვევები მოზრდილ თაობასთან შედარებით ახალგაზრდა თაობას უკეთ უფითარდება.

1.4.4 გამომყენებული ნარკოტიკების ტიპები

1980-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოში ძირითადად ე.წ. ნედლი ოპიუმი და ოდნავ უფრო იშვიათად ყაყაჩოს ღეროს ტინქტურა (ნაყენი) გამოიყენებოდა - ნარკოტიკების მიღების ყველაზე გავრცელებული მეთოდი კი ინტრავენული ინექცია იყო. 1997 □ 98 წლებში გაჩნდა საქართველოსათვის ახალი ნარკოტიკი □ ჰეროინი, რომელიც მაღალი ფასის (1 გრ. 100 აშშ დოლარი) მიუხედავად, სწრაფი ტემპით ვრცელდება. საზღვრების გახსნის შემდეგ, მას მერე რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ოპიატი ვერეჰეროინი საქართველოს გავლით ავღანეთიდან დასავლეთ ევროპის ქვეყნებში იწყებს გასვლას, რითაც ის საქართველოს ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელი მოსახლეობისათვის ადვილად ხელმისაწვდომი ხდება.

ამჟამად, ინექციურ ნარკოტიკებს შორის ყველაზე მეტად ჰეროინი და უფრო ნაკლებად □ ნედლი ოპიუმის ხსნარი გამოიყენება. კიდევ ერთი ნარკოტიკი, რომელიც ბოლო წლებში ფართოდ გამოიყენება არის სუბუტექსი (ბუპრენორფინი) □ ოპიუმის აგონისტ-ანტაგონისტი. მას ნარკოტიკების მომხმარებლები ძირითადად ინექციური გზით ხმარობენ (აბების საინექციო ნყალში გახსნის გზით). ამ ტიპის ნარკოტიკი განსაკუთრებით □ მოდურია □ მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ადამიანებში, რადგანაც არ იწვევს ძლიერ ფსიქო-ნევროლოგიურ სიმპტომებს, რაც ოპიოდ ინტოქსიკაციისთვისაა დამახასიათებელი და შესაბამისად მისი ზემოქმედება გარშემომყოფთათვის ნაკლებად შესამჩნევია. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრეპარატის გამოყენება ზოგიერთ შემთხვევაში ნაკლებად შეიძლება ჩაითვალოს ქცევად, რომელიც აივ-ით ინფიცირების რისკთანაა დაკავშირებული, რადგანაც მისი მომხმარებლების განათლების დონე უფრო მაღალია და ისინი თავიანთ ჯანმრთელობას მეტ ყურადღებას აქცევენ. თუმცა უკანასკნელ პერიოდში სუბუტექსი ე.წ. □ ელიტარული □ ნარკოტიკიდან სულ უფრო და უფრო ხდება ფართო მასების მოხმარების საგანი და მისი ინექციური გამოყენება აივ-ის გავრცელების მნიშვნელოვან რისკს ქმნის.



2003 წელს იპოიდის მოხმარებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ვითომდა კულინარიული მიზნებით, ქვეყანაში ყაყაჩოს თესლის დიდი რაოდენობა შემოიტანეს. ნარკოტიკების მომხმარებლებმა

უმალ დაინყეს მისი როგორც ნარკოტიკის მოხმარება. თესლის ქიმიური დამუშავების შედეგად, მიიღება საინექციო სითხე, რომელიც საკმაოდ დიდი რაოდენობის ოპიატებს შეიცავს. ბაზარზე ამ იაფი და სახიფათო ნარკოტიკის გამოჩენამ აივ-ის გავრცელებას განსაკუთრებული საფრთხე შეუქმნა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნარკოტიკს რეგულარულ მომხმარებელზე მეტად, ის შემთხვევითი პირები და შედარებით ახალგაზრდა ადამიანები იყენებდნენ, ვისაც უსაფრთხო ქცევის მოდელები ჯერ არ ჰქონდა ჩამოყალიბებული (მაგ როგორცაა საკუთარი შპრიცის მოხმარება). ამავე დროს, ყაყაჩოს თესლისაგან საინექციო სითხის დამზადების ტექნოლოგია ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ჰეროინის ფხვნილისაან. ეს პროცესი მოითხოვს რამდენიმე ძნელად საშოვნელი ქიმიური ინგრედიენტის გამოყენებას. გარდა ამისა, ქიმიური პროცესი საკმაოდ ხანგრძლივია და განცალკევებულ ოთახს/ტერიტორიას საჭიროებს. ზემოთ ჩამოთვლილი თვისებების გამო, ამ პრეპარატის გამოყენება უბიძგებს ჯგუფური მოხმარებისკენ და შესაბამისად, ზრდის აივ-ით და ჰეპატიტით ინფიცირების რისკს . ყაყაჩოს თესლის იმ მომხმარებელთა 65% , რომლებიც 2003 წელს მკურნალობას ნარკოლოგიის ცენტრში გადიოდა, საზიარო შპრიცებს იყენებდა. 2003 წლის ბოლოს და 2004 წლის დასაწყისში, მას მერე, რაც სახელმწიფო ორგანოებმა ასეთი სახის იმპორტის შესაჩერებლად ზომები მიიღეს, ქვეყანაში ყაყაჩოს თესლის შემოტანა შეწყდა და ამდენად, იგი პრობლემას აღარ წარმოადგენს.

იმ ქცევის კონტექსტში, რომელიც ნარკოტიკების მომხმარებლებს რისკის ქვეშ აყენებს, განსაკუთრებით ეფედრონისა და პერვიტინის ინექციის სახით გამოყენება უნდა აღვნიშნოთ. ნარკოტიკების გამოყენების ეს ფორმა საქართველოში, შედარებით ფართოდ, პირველად 2001-2002 წლებში გაჩნდა. ზემოთხსენებული ნივთიერებები იმ მედიკამენტების ქიმიური დამუშავების შედეგად მიიღება, რომლებიც რესპირატორული და გრიპოზული დაავადებების სამკურნალოდ გამოიყენება და ყველა აფთიაქში თავისუფლად იყიდება. ამ პრეპარატებს ძირითადად, მცირეშემოსავლიანი ოჯახებიდან გამოსული ახალგაზრდები, მათ შორის თინეიჯერებიც იყენებენ. ნარკოლოგიის ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით საზიარო შპრიცების და ერთჯერადი პირადი შპრიცების რამდენჯერმე გამოყენების შემთხვევები მოსახლეობაში საკმაოდ ხშირად შეინიშნება.

ქვეყანა	საქართველო	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003
სქესობრივი ურთ. მემკვიდრით გადაცემული დაავადებები															
სიფილისი	697	740	730	653	755	877	868	2172	2249	1264	873	1150	1325	824	
მამაკაცი	422	466	445	424	445	596	538	1238	1348	733	532	679	833	477	
ქალი	275	274	285	229	310	281	330	934	901	531	341	471	492	347	
გონორეა	2644	2261	1809	1562	1144	1201	863	1245	1579	840	457	889	1017	599	
მამაკაცი	2168	1764	1375	1312	846	949	699	944	1151	680	364	676	792	456	
ქალი	476	497	434	250	298	252	164	301	428	160	93	213	225	143	
აივ მონაცემები															
სულ		362878	213685	92390	25200	6410	18437	21590	22704	14586	14268	25547	51138	52968	
მამაკაცი															
ქალი															
აივ შემთხვევების რაოდენობა		3	6	0	6	2	8	21	25	35	79	93	95	100	
მამაკაცი		3	5	-	6	2	8	19	22	28	66	86	77	76	
ქალი		-	1	-	0	0	0	2	3	7	13	7	18	24	
აივ-ით ინფიცირებულიები		1	1	0	-	0	1	3	4	5	7	14	15	28	
მამაკაცი		1	-	-	-	-	1	3	3	4	5	14	12	11	
ქალი		-	1	-	-	-	-	-	1	1	2	-	3	7	
აივ-ით დაავად. ნარკ. მომხ.		-	-	0	1	1	7	15	23	21	54	73	64	65	
მამაკაცი		-	-	-	1	1	7	15	23	21	54	73	64	65	
ქალი		-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	
აივ-ის სექსუალური გზით გადაცემა		3	5	0	1	0	0	5	2	13	23	20	31	33	
მამაკაცი		3	4	-	1	-	-	3	0	7	10	15	22	21	
ქალი		-	1	-	-	-	-	2	2	6	13	5	9	12	

(გთხოვთ ყველა რიცხვის წყარო სრულად მიუთითოთ)

მონაცემები სექსუალური გზით გადაცემულ ინფექციებზე მოპოვებულია საქართველოს სექსუალური გზით გადაცემული ინფექციების ინსტიტუტის მიერ.

შენიშვნა: სექსუალური გზით გადაცემული ინფექციების მაჩვენებელი დანეული ციფრების გამოა დაბალი, და არა საქართველოში მოცემული შემთხვევების შემცირების შედეგად.

სექსუალური გზით გადაცემული ინფექციებით დაავადების შემთხვევებს ძირითადად მამაკაცებში ვხვდებით, რადგანაც მამაკაცები უფრო ხშირად მიმართავენ ამ დაავადებების სადიაგნოსტიკო და სამკურნალო ცენტრებს, მაშინ როცა ქალები ასეთი სახის დახმარებას ქალთა ჯანმრთელობის ცენტრებში ან კერძო პრაქტიკის მექონე გინეკოლოგებთან იღებენ. ყოველივე ეს კი ხელს უშლის საქართველოში სექსუალური გზით გადაცემული ინფექციების შემთხვევების აღრიცხვას ქალებში. მონაცემები აივ ინფექცია/შიდსის შესახებ ინფექციურ დაავადებათა, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის კვლევითი ცენტრის მიერაა უზრუნველყოფილი.

ზოგადად ჯანდაცვისა და კერძოდ აივ-ინფექციაზე ზედამხედველობის განხორციელებისთვის გამოყოფილი ფონდების სიმცირის გამო საქართველოში, 1991 წლიდან 2003 წლამდე აივ ტესტირების რაოდენობა ერთი წლის მანძილზე 6.9-ჯერ შემცირდა. ჩატარებული ტესტირების რაოდენობა შიდსის პროფილაქტიკის პროგრამის ბიუჯეტზეა დამოკიდებული. ტესტირების ყველაზე მცირე რაოდენობა (6410) 1995 ჩატარდა, მაგრამ შემდგომში 2003 წელს ეს რიცხვი ნელნელა 53968-მდე გაიზარდა, რაც პრობლემურ მოსახლეობაში დაახლოებით 20 000 ტესტის ჩატარებასა და □სახელმწიფო პროგრამა უსაფრთხო სისხლის□ მიერ სისხლის დონორებისათვის განკუთვნილ დახლოებით 34 000 გამოკვლევას შეიცავს.

საქართველოში აივ-ინფექციის შემთხვევების რაოდენობა ასევე ნელ-ნელა, 1991 წელს აღრიცხული 3 შემთხვევიდან 2003 წლისათვის 100 დაფიქსირებულ შემთხვევამდე გაიზარდა.

აივ ინფექციის შემთხვევების უმრავლესობა ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელ მოსახლეობაშია აღმოჩენილი, ამდენად, ისენი ძირითადად მამაკაცები არიან, თუმცა პეტეროსესუალური გზით გადაცემის შემთხვევების რაოდენობა ნელ-ნელა მატულობს.

კომერციული სექს-მუშაკების შესახებ მონაცემები არ არსებობს. გარკვეული ინფორმაცია მათ შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციამ □თანადგომა□ უზრუნველყო, რომელიც თბილისისა (დედაქალაქი) და ბათუმის (აჭარა) ამ კატეგორიის მოსახლებასთან მუშაობს. □თანადგომის□ მიერ მოპოვებული მონაცემების მიხედვით თბილისში დაახლოებით 800 და ბათუმში დაახლოებით 120 ქუჩის სექს-მუშაკია. ბათუმში ისინი კაფეებში, ბარებსა და რესტორნებში მუშაობენ. სექს-მუშაკი ქალების რაოდენობა იზრდება საქართველოს ტრანზიტულ მაგისტრალებსა და აგრეთვე □ბრიტიშ პეტროლიუმის□ მილსადენების გასწვრივ რეგიონებში. აქ მომუშავე დაქირავებული უცხოელები (მაგ ინდოელები), ადგილობრივ სექს-მუშაკებთან ამყარებენ დაუცველ კავშირებს, რაც ზრდის აივ-ინფექციის გავრცელების რისკს ამ რეგიონებში.

1.4.5 საქართველოში ნარკოტიკების მოხმარების სოციალური ფაქტორები

საქართველოში ნარკოტიკების გამოყენება 1960-იან წლებში დაიწყო. საბჭოთა იდეოლოგია ნარკოტიკების მოხმარებას □კაპიტალისტური სისტემის□ დამახასიათებელ თვისებად მიიჩნევდა და არ აღიარებდა, რომ მისი სოციალური ან იდეოლოგიური საფუძველი საბჭოთა კავშირშიც არსებობდა. ნარკოტიკის მოხმარება კაპიტალისტური სამყაროდან შემოჭრილ მანკიერ, □საბჭოთა ადამიანისათვის□ უცხო ჩვევად ითვლებოდა და მხოლოდ მეტად მცირე რაოდენობის □დემორალიზებული□ ადამიანებისათვის იყო დამახასიათებელი.

□ჩვენში, ნარკომანია, რომელსაც არა ნაირი სოციალური საფუძველი არ გააჩნია, უცხო წესჩვეულებებისადმი სნობურ, ზედაპირულ და კრიტიკამოკლებულ დამოკიდებულებას ასახავს და მათი იმიტაციაა, რაც ერთმნიშვნელოვნად ზნეობის დაკარგვასა და დაცემას უწყობს ხელს. □ (ა. ზურაბაშვილი, 1986). ასეთი თვალსაზრისი მონაწილე იმაზე, რომ ნარკოტიკების მოხმარება (თავისი შედეგებით) იმ დროის საქართველოში სოციალურ მოვლენად არ იყო აღქმული.

გარდა ამისა, საბჭოთა პერიოდში ნარკომანიის წინააღმდეგ ძირითადად ძალისმიერი მეთოდები გამოიყენებოდა. ნარკოტიკის მომხმარებელი ანტი-სოციალურ პიროვნებად აღიქმებოდა და არა ადამიანად, რომელსაც მკურნალობა ესაჭიროება. ამიტომაც, ასეთ ადამიანთან მიდგომის საუკეთესო მეთოდად დასჯა ითვლებოდა. შესაბამისად, არ არსებობდა პრევენციისა და/ან მკურნალობის რაიმე სისტემა. მოზარდებსა და სტუდენტებთან ნარკომანიაზე საუბარი არამართებულად ითვლებოდა.

ამასობაში, 1960-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ყოფილ საბჭოთა კავშირსა და კერძოდ საქართველოში საინტერესო ცვლილებები მოხდა. სუკ-ი (საიდუმლო პოლიცია) სახელმწიფოს იერარქიის სათავეში კომუნისტური პარტიის ელიტამ შეცვალა, რამაც რეჟიმის ლიბერალიზაცია გამოიწვია. მათ სისტემის მთავარი საყრდენების - იდეოლოგიისა და პოლიტიკის მონოპოლია შეინარჩუნეს, მაგრამ ამავე დროს

არაფორმალურად კომერციული საქმიანობა დაუშვეს, რაც მანამდე ოფიციალურად აკრძალული იყო. თამაშის ახალი წესები საქართველოში სწრაფად აითვისეს. ამის შედეგად, აქ ცხოვრების დონე საკმაოდ მალე ამაღლდა და კეთილდღეობამ სულ უფრო და უფრო იმატა. ნომენკლატურის მუშაკებისა და □ჩრდილოვანი□ ეკონომიკის წარმომადგენლებისაგან საკმაოდ ფართო, საბჭოთა სტანდარტებისათვის არადამახასიათებელი კეთილდღეობის მქონე □საშუალო კლასი□ წარმოიქმნა. ცვლილებები ოჯახურ სტრუქტურასა და ურთიერთობებშიც მოხდა და ამასთან ერთად შობადობაც შემცირდა. ახალგაზრდებში ინდივიდუალიზმი მატულობს და მათ მშობლების □ზედამხედველობიდან□ თავის დაღწევის სურვილი უჩნდებათ, თუმცა დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევები არ გააჩნიათ (ნიჟარაძე, 2001). ამ კონტექსტში, □ოქროს ახალგაზრდების□ საკმაოდ დიდი სოციალური ჯგუფი წარმოიქმნა. ესენი მდიდარი და რესპექტაბელური მშობლების შვილები იყვნენ. მათ უარს არაფერზე ეუბნებოდნენ და ისინი თავის მშობლებზე დამოკიდებული³ იყვნენ.

ნარკოტიკების მოხმარებამ (ძირითადად) დიდ ქალაქებში მაცხოვრებელ ახალგაზრდა მამაკაცებში სწრაფად მოიკიდა ფეხი. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო მათ მიერ □ინფანტილური ინდივიდუალიზმის□ მანიფესტაცია, მშობლების ზედამხედველობიდან თავის დაღწევის მცდელობა, თუმცა მატერიალურ ან სხვა სახის დახმარებაზე უარს არ ამბობდნენ (მაგ. ნარკოტიკების მოხმარების გამო პოლიციის მიერ მათი დაკავების შემთხვევაში მშობლები არაფორმალურ კავშირებს იყენებდნენ ან ქრთამს აძლევდნენ პოლიციელებს მათ გასათავისუფლებლად). ამრიგად, შეიქმნა გარკვეული ტიპის სუბკულტურა, თავისი სლენგითა და მითოლოგიით, სრულიად მიუღებელი უფროსი თაობისათვის, რომლისთვისაც ნარკოტიკები უცხო ხილი იყო.

პრობლემა იმდენად ნათელი გახდა, რომ შეუძლებელი იყო მისი უგულვებელყოფა. 1970-იანი წლებში საქართველოს ოფიციალური სტრუქტურები პირველები იყვნენ საბჭოთა კავშირში, ვინც □ნარკოტიკების მოხმარების გავრცელების სერიოზულ სოციალურ საფრთხეზე□ ხმა აღიმალა (გაბიანი, 1988, გვ.5).

1970-1080-იან წლებში, საქართველოში რამდენიმე სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა (ა. ზურაბაშვილი 1986). მისმა შედეგებმა გამოავლინა, რომ ნარკოტიკების მოხმარება ძირითადად ახალგაზრდობის პრობლემა იყო; რესპოდენტების 70%, 16 და 29 წლამდე ახალგაზრდა იყო. ნარკოტიკების მოხმარებელთა შორის 7.5% ქალი გახლდათ. რესპოდენტების უმრავლესობა ქალაქში ცხოვრობდა, მხოლოდ 20% იყო სოფლიდან ჩამოსული. აღსანიშნავია, რომ რესპოდენტთა განათლების დონე საკმაოდ მაღალი იყო □ 28.4% უმაღლესი განათლებით, ან არასრული უმაღლესი განათლებით.

2002 წელს, თბილისში საინექციო ნარკოტიკების მოხმარებელთა გამოკვლევამ საინტერესო ფაქტი გამოავლინა. საინექციო ნარკოტიკების მოხმარებელთა 70% -ი უნივერსიტეტის კურსდამთავრებული იყო ან არასრული უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული. ეს 1970-იან 2000-იან წლებში საინექციო ნარკოტიკების მოხმარებელთა შორის უმაღლესი განათლების მქონე პირთა რაოდენობის ზრდაზე მიუთითებს და მარგინალური და დაბალი ეკონომიკური დონიდან უფრო მაღალი სოციალური დონისკენ სვლას გვიჩვენებს. მშობლების განათლების მიხედვით რესპოდენტები ორ საპირისპირო ჯგუფად დაიყო. უმრავლესობისა მშობლებს უმაღლესი განათლება ჰქონდათ მიღებული, ხოლო მცირე ჯგუფი კი ნაკლებად განათლებული მშობლების შვილებისგან შედგებოდა.

ამრიგად, საქართველოში ნარკოტიკების მოხმარება არა მარგინალურ და ღარიბ ჯგუფებში გავრცელდა (თუმცა ნარკოტიკების მოხმარების მაჩვენებელი ამ ჯგუფებშიც არ არის დაბალი), არამედ საკმაოდ წარმატებული და შეძლებული ოჯახებიდან გამოსულ ახალგაზრდებშიც მოიკიდა ფეხი. უფრო მეტიც, ნარკოტიკების მოხმარება ზრდასრულობისა და დამოუკიდებლობის სიმბოლო გახდა.

ასეთია, მოკლედ, 1970-იან წლებში საქართველოში ნარკოტიკების მოხმარების გავრცელების სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორები. მას მერე სიტუაცია დიდად არ შეცვლილა □ საკმაოდ ბევრ რესპექტაბელურ ოჯახში თქვენ □ნარკოტიკების მოხმარებელთა მეორე თაობას□ შეხვდებით (იმათ შვილებს ვინც ნარკოტიკების მოხმარება 70-იან წლებში დაიწყო). ამ მოვლენის შედეგები უშუალოდ აივ-ის გავრცელების რისკ ფაქტორებთანაა დაკავშირებული.

1970-იან წლებში აივ-ისა და შიდს-ის შესახებ არაფერი იყო ცნობილი და ნარკოტიკების მოხმარების ფაქტების არსებობა სსრკ-ში საიდუმლოდ ინახებოდა⁴. ნარკოტიკების მოხმარებლებს კრიმინალურად მიიჩნევდნენ და ამდენად, მათ არაფერი იცოდნენ ამ დაავადების სისხლით გადაცემის

³ აქვე გვინდა წარმოვიდგინოთ სხვა მოსაზრებაც: მედიცინის პროფესორის, ნარკომანიის ექპერტის, ლეჟავას აზრით საქართველოში და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში ნარკოტიკების მოხმარების გავრცელების მთავარი მიზეზი ეგზისტენციალური პრობლემები იყო: □იმ დროისათვის, ახალგაზრდობის უმეტესობამ, პირველად, შეიგრძნო არსებული იდეოლოგიის სიყალბე და სულიერების დეფიციტი. ყალბი კომუნისტური ღირებულებებისადმი პროტესტის ფორმა ნარკოტიკების მოხმარება იყო.□ (გ. ლეჟავა, 2003).

⁴ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ნარკოტიკების მოხმარების პრობლემა აღიარეს, ამ თემას, რამდენიმე გამოკვლევის გარდა, ხშირად არ ეხებოდნენ. 1970-იანი წლების შუა პერიოდში, პოპულარული იუმორისტული ჟურნალის ერთერთი ნომრის ყდაზე დახატული იყო ახალგაზრდა მამაკაცი, რომლის ნახევარი ფიგურა ლამაზ მომღიმარ ადამიანს, ხოლო მეორე ნახევარი კი დაავადებულ, დანაოჭებულ, ავადმყოფური იერის მქონე ადამიანს გამოხატავდა. პოტრეტის ზემოთ დახატული იყო შპრიცი წარწერით: □თავს ნუ მოიკლავთ□. ამან ხალხის რეაქცია გამოიწვია. მნიშვნელოვან მოვლენად იქცა (1980-იანი წლების დასაწყისში) ეკრანებზე ალექსანდრე ცაბაძის ფილმის, □ლაქა□, გამოსვლა: აქვე უნდა ვახსენოთ ზოგიერთი ლიტერატურული ნაწარმოებიც, რომელიც ნარკომანებს ნეგატიური და კომიკური მხრიდან წარმოაჩენდა.

შესაძლებლობის შესახებ. გარდა ამისა, იმ დროს სსრკ-ში ერთჯერადი შპრიცები არ არსებობდა. ამის შედეგად ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებში ჰეპატიტები (B და C) მწვავე ფორმები გავრცელდა, რასაც თან სერიოზული გართულებები (ციროზი და სხვ.) მოჰყვებოდა. შესაძლოა, ამან აიძულა საქართველოში მცხოვრები ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები საზიარო შპრიცების გამოყენებისას მეტი სიფრთხილე გამოეჩინათ, სტერილური შპრიცები ეხმარათ და სხვ.

1999-2000 წელს, საქართველოს ძირითადი მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც განსაკუთრებით დაუცველია ინფექციური დაავადებების, აივ-ის, B და C ჰეპატიტებისაგან, აშშ-ს სამოქალაქო მოსახლეობის კვლევისა და განვითარების ფონდის საშუალებით ეპიდემიოლოგიური და ქცევითი გამოკვლევა ჩაუტარდათ. გამოკვლევაში ჩართეს საქართველოს სამი ქალაქის □ თბილისის, ბათუმისა და ფოთის მაცხოვრებელი 900 ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელი. C ჰეპატიტის გავრცელების მაჩვენებელი 63.4% იყო, რაც აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების მაჩვენებლებს უტოლდება (ანგარიში საქართველოში ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებულ სიტუაციაზე, 2003).

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებით საავადმყოფოებსა და აფთიაქებში წამლების ქურდობა გახშირდა. მიღებულ იქნა უსფრთხოების გარკვეული ზომები, რის გამოც ნარკოტიკების მომხმარებელთათვის ისეთი მზა მედიკამენტები როგორცაა მორფიუმი, ხელმიწვდომელი გახდა. ძალიან მალე ნარკოტიკების მომხმარებლებმა ყაყაჩოს ნამჯიდან ოპიატის სახლში დამზადების მეთოდი შეიმუშავეს. ასეთი პრაქტიკა აქ დღესაც გამოიყენება. პრეპარატის დამზადების გარკვეულ ეტაპზე მას სისხლის წვეთი უნდა დაემატოს, რამაც მკვეთრად გაზარდა ბუნებრივია აივ-ით ინფიცირების შესაძლებლობა. ამრიგად, დღეს იგი მეტად იშვიათად გამოიყენება. 2000-2002 წლებში, როდესაც ყაყაჩოს თესლი, რომლისგანაც ოპიატის დამზადება სახლის პირობებშიც შესაძლებელია, მაღაზიის დახლებზე გაჩნდა, სისხლის გამოყენების შემთხვევებმა კვლავ იჩინა თავი. კანონის ძალით, დღეს, ყაყაჩოს თესლის გაყიდვა აკრძალულია. მიუხედავად ამისა, □ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში შიდს-ის სოციალური პერცეფციის □ შესახებ გაკეთებული კვლევის მონაწილის, გალინა პოლიაკოვას თქმით, რომელიც ავტორებს (ამ მოხსენებისათვის ინტერვიუების აღების დროს) დაუკავშირდა, სისხლს კვლავ ხშირად იყენებენ უკრაინაში, რუსეთსა და, შესაძლოა, ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებშიც⁵.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ნარკოტიკების მოხმარების კიდევ ერთი თავისებურება, რაც რუსეთისაგან (და შესაძლოა უკრაინისაგანაც) განასხვავებს საქართველოს: რუსეთში მაგ. ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მომხმარებლები ერთმანეთისათვის უცნობი ადამიანები არიან, მაშინ როცა საქართველოში, ისინი ჩვეულებრივ სტაბილურ ჯგუფებს ქმნიან და ასე მოიხმარენ ნარკოტიკებს. ჩვენი აზრით ეს ფაქტორი აივ-ით ინფიცირების რისკს ამცირებს.

აქედან გამოვიძინარე, შეგვიძლია ვთავაზობ, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის რეპუბლიკებთან შედარებით, საქართველოში ნარკოტიკების უფრო ადრეულმა გავრცელებამ, ნარკოტიკების მომზადებისა და ინექციის საშუალებით მოხმარების ერთგვარი □ კულტურა □ განავითარა, რაც გარკვეულად ამცირებს აივ-ით ინფიცირების რისკს. უნდა ვიფიქროთ, რომ ახალგაზრდების პერმანენტული ჯგუფების შექმნაც, რაც ტრადიციულ საქართველოში, ასევე, გარკვეულ როლს თამაშობს.

ამ საკითხთან დაკავშირებული ემპირიული მონაცემები არაერთგვაროვანია. თბილისში 300 ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლის გამოკვლევამ (BBS report, SHIP project, Save the Children, March 2004) გვიჩვენა, რომ მომხმარებელთა უმრავლესობა მარგინალურ სოციალურ ჯგუფებს სრულებითაც არ განეკუთვნება. გამოკვლევითი ჯგუფის განათლების საშუალო დონე უფრო მაღალი⁶ აღმოჩნდა, ვიდრე ამას საშუალო სტატისტიკური სურათი გვიჩვენებს და უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების რიცხვმა 52% შეადგინა. აქვე აღვნიშნავთ, რომ გამოკვლევითი 300 ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელიდან, მხოლოდ 6 იყო აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი, რაც თბილისში მაცხოვრებელი ამ კატეგორიის ადამიანების პროცენტულ შემადგენლობაზე ნაკლებია.

აივ-თან დაკავშირებულ სარისკო ქცევის სურათი საკმაოდ საგანგაშოა: გამოკითხულ ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა 22,7% აღიარებს, რომ უკანასკნელ პერიოდში გამოყენებულ შპრიცებს იყენებდა; უფრო მეტიც, 12,5% უცნობ ადამიანებთან საზიარო შპრიცებს იყენებდა.

ამავე დროს, ასაკობრივ ჯგუფებს შორის დიდი სხვაობა შეიმჩნევა: მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა მომხმარებლებმა აივ-ის გადაცემის გზების ცოდნის უკეთესი შედეგი აჩვენეს, ნახმარი შპრიცებით ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა 37.5%, 25 წლის ასაკის ქვევითა და მხოლოდ 6,7%- ია 40 წლის ზემოთ. ასევე საინტერესოა, რომ ნარკოტიკების არამუდმივი მომხმარებლები ნახმარი შპრიცების გამოყენებისაკენ უფრო მიდრეკილნი არიან, ვიდრე ქრონიკული ნარკომანები, რადგანაც ისინი ზრუნავენ საკუთარ □ ინსტრუმენტებზე □.

გარდა იმ ფაქტისა, რომ ახალგაზრდა ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები უფრო მიდრეკილნი არიან სარისკო ქცევებისაკენ, მათი აივ-ით დაავადების რისკი უფრო იზრდება კიდევ ერთი მიზეზის

⁵. გადმოცემის მიხედვით სახლის პირობებში ოპიატის დამზადების ტექნიკა, თითქოსდა აღწერილი იყო დიდი ტირაჟის მქონე, საბჭოთა საგანმანათლებლო ჟურნალში □ ქიმია და ცხოვრება □. საინტერესოა ამ ფაქტის დადგენა და თუ იგი რეალობას შეესაბამება, იმის გარკვევა თუ რა იყო ამ სტატისტიკის პუბლიკაციის მიზეზი.

⁶ იძულებით გადაადგილებული პირები თბილისში მოსახლეობის 3.5%-ს შეადგენენ; www.statistics.ge

გამო. უკანასკნელი 15 წლის მანძილზე წარმოქმნილმა დრამატულმა სოციალურმა მდგომარეობამ და პოლიტიკურმა მოვლენებმა გარკვეულად დაარღვია ტრადიციები მათ სუბკულტურაში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა შემთხვევაში აივ-ით დაავადების ყველაზე მაღალი რისკის მქონე ჯგუფს შეადგენს ახალგაზრდობა, რომელიც საინექციო ნარკოტიკებს დროდადრო ღებულობს.

და თუმცა დღეს აივ-ის ეპიდემია ძირითადად საქართველოს ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებელ მოსახლეობაზეა კონცენტრირებული, სარისკო სექსუალური ქცევა, რომელიც ამ ჯგუფში ჭარბობს, ზრდის ეპიდემიის გადანაცვლების შეასაძლებლობას მათ სექსუალურ პარტნიორებსა და მოსახლეობის იმ ფენებზეც, რომლებიც აივ-ით დაავადების რისკის ქვეშ მყოფ ჯგუფებად არ მოიაზრებიან. ამის საშიშროება კიდევ უფრო დიდია თუ საქართველოში არსებული სექსუალური ქცევის ტრადიციებს გავითვალისწინებთ (იხ. ქვევით)

1.5 საქართველოს კულტურაში სექსუალური ქცევის კულტურული თავისებურებანი

თანამედროვე საქართველოში სექსუალური ქცევის კულტურული ასპექტები აივ-ით ინფიცირების რისკთან ერთგვაროვან მიმართებაში არ იმყოფებიან, რადგანაც ზოგი მათგანი ამცირებს, ზოგიერთი კი ზრდის ასეთი რისკის არსებობას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული კულტურა თავისი ბუნებით კოლექტივისტურია. შესაბამისი გამოკვლევა (Goodwin et al., 2004) გვიჩვენებს, რომ კოლექტივზე ორიენტირებულ ინდივიდებს, როგორც ქალებს, ასევე მამაკაცებს, საშუალოდ ნაკლები სექსუალური პარტნიორები ჰყავთ და მათი პარტნიორები რისკ ჯგუფებს იშვიათად მიეკუთვნებიან. მეორეს მხრივ, კოლექტივისტები თავიანთ პარტნიორებს უფრო ენდობიან, დამცავ საშუალებებს ნაკლებად იყენებენ და პარტნიორებისაგანაც არ მოითხოვენ ამას.

რამდენიმე კვლევა (RHSG-1999, Kachkachishvili, Goodwin) ნათლად მიუთითებს დამცავი საშუალებების (ნებისმიერი კონტრაცეფციული საშუალება) შედარებით იშვიათ გამოყენებაზე. სხვადასხვა ასაკობრივი და სოციალური ჯგუფების განსხვავებული კულტურების ორ კვლევაში, რომლებიც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის კულტურებს შეისწავლიდა, კითხვაზე "რა ტიპის ადამიანები ხმარობენ დამცავ საშუალებებს?" მხოლოდ ქართველმა რესპოდენტებმა, თუმცა არც თუ ისე ბევრმა, უპასუხეს "მხდელი ადამიანები". ჩვენი აზრით, ამის ახსნა ქვევით ამ მოხსენებაში განხილული ქართული კულტურის გენდერული როლის თავისებურებებით შეიძლება.

უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი ინტერესი, საქართველოში ფართოდ გავრცელებულ (განსაკუთრებით რეგიონების მაცხოვრებლებში) შემდეგ ცრურწმენას უკავშირდება:

რაიმე მოვლენის თავიდან ასაცილებლად უსაფრთხოების ზომების მიღება, ამ მოვლენის ალბათობას კიდევ უფრო ზრდის. მაგალითად, უსაფრთხოების ქამრების გამოყენება საგზაო შემთხვევების რისკს კიდევ უფრო ზრდის. ადვილი შესაძლებელია, რომ სწორედ ასეთი ცრურწმენა, ალბათ არაცნობიერადაც კი, ადამიანებს აიძულებს პრევენციის რეგულარული ხმარებისაგან თავი შეიკავონ. შესაძლებელია, რომ ჩვეულებრივი მოჩვენებითი სიმამაცე და ოპტიმისტური ფატალიზმი, ანუ ბედნიერი შემთხვევითობის რწმენისა და მომავალ მოვლენებზე ზემოქმედების ურწმუნობის კომბინაცია, არც თუ ისე უმნიშვნელოა ამ შემთხვევაში.

მიუხედავად სექსუალურ ცხოვრებაში ზოგადი ლიბერალური მიმართულებებისა, სექსუალური ქცევის ნორმები თანამედროვე საქართველოში ტრადიციულ, ღრმად ფესვგადგმულ ორმაგ სტანდარტებსა და გენდერულ როლს ეყრდნობიან. მაგალითად, მაშინ როცა საზოგადოება სრულიად ტოლერანტულია იმ მოსაზრების მიმართ, რომ მამაკაცისათვის სექსუალური გამოცდილების შეძენა ქორწინებამდე და მის გარეშეც ბუნებრივია, ქალებისათვის ეს სავსებით დაუშვებელია და ამიტომ ისინი ქორწინებამდე ან ქორწინების გარეშე საკუთარ სექსუალურ გამოცდილებაზე საჯარო საუბარს ან გამოკვლევაში რესპოდენტებად მონაწილეობის მიღებას თავს არიდებენ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ სხვა კულტურაშიც მსგავსი სურათი გვაქვს, საქართველო მაინც განსაკუთრებული დამახასიათებელი თვისებებით გამოირჩევა.

შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ქართული საზოგადოება ხანგრძლივ სექსუალურ რევოლუციას განიცდის. უკვე 1970-იან წლებში, და შესაძლებელია უფრო ადრეც, ქალწულობის აღდგენის (ჰიმენის, საქალწულო აპკის აღდგენა) პლასტიკური ქირურგიის მცდელობები სრულიად ჩვეულებრივი რამ იყო. და თუმცა, ეს დღესაც ხდება, მნიშვნელოვანი სხვაობა აშკარაა: ასეთი ოპერაციების უმეტესი ნაწილი, დღეს თბილისში აღარ ტარდება, მათ ახლა ძირითადად პროვინციებში აკეთებენ (ადვილი გასაგებია, რომ ეს ოპერაციები არ ხმაურდება და ამიტომაც სტატისტიკურად მათი აღრიცხვა შეუძლებელია. ამიტომ, ჩვენი დასკვნები მხოლოდ იმ სპეციალისტების მიერ გადმოცემულ ინფორმაციას

დაეყრდნობა, რომლებიც მეტნაკლებად იცნობენ სიტუაციას. ყოველივე ზემოთქმული კი, გვიჩვენებს, რომ ქცევით დონეზე უკვე სახეზეა ქალთა სექსუალური ცხოვრების ლიბერალიზაცია. უფრო მეტიც, ქორწინებამდე სექსუალური კავშირის დამყარება თბილისელ მამაკაცებს (პროვინციაში მცხოვრები მამაკაცებისაგან განსხვავებით) უკვე დასაშვებად მიაჩნიათ. უნდა ავლინდნოთ, რომ ზემოხსენებული პლასტიკური ქირურგიული ოპერაცია მალე პროვინციებშიც აღარ იქნება □საჭირო□.

გამეფებული საზოგადოებრივი აზრით, ყველა ქალის უპირველესი, რეალური თუ პოტენციური, ფუნქცია დედობაა და □საქმიანი ქალის□ ხატი გარკვეული სკეპტიციზმით აღიქმება (თუმცა დღეს საქართველოში ქალების ეკონომიკური როლი უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე მამაკაცებისა). ამ კუთხით დანახული სექსი ძირითადად მხოლოდ მომავალი თაობის გამრავლებისათვის საჭირო აქტია. ქალის სექსუალობის წარმოჩენა კრიტიკულად აღიქმება. რა თქმა უნდა, ეს ნორმები სექსუალური ცხოვრების წესზე დიდ გავლენას ახდენს და უცნობებთან სექსუალური კავშირის დამყარება საქართველოში ჯერ კიდევ უჩვეულოა. ფლირტი გოგონასთან კაფეში ან დისკოტეკაზე, ან მასთან პაემანი ყოველთვის ადვილი არ არის. როგორც წესი, გოგონები საზოგადოებაში თავიანთ სახელს მეტად უფრთხილდებიან და მშობლების მიმართ პასუხისმგებლობის გარკვეული გრძნობა გააჩნიათ. მშობლების ზედამხედველობიდან თავის დაღწევაც არ არის ადვილი.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი რესპოდენტი ქალების მხოლოდ მცირე ნაწილი აღიარებს, რომ □არაკანონიერი□ სექსუალური კავშირი ჰქონია, ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ასეთი შემთხვევები საკმაოდ ბევრია.

ქალის სექსუალობა სამარცხვინო იყო კიდევ ერთი გარემოების გამო - საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად ეკონომიკური ქაოსის პირობებში საქართველოში კომერციულ სექს-მუშაკთა რაოდენობა გაიზარდა, თუმცა დსთ-ს სხვა ქვეყნებში არსებული დონისათვის არ მიუღწევია.

ემპირიული მონაცემებიც იგივეს მეტყველებს. რეპროდუქტიული ასაკის (16 □ 45) 2000 რესპოდენტი ქალი დან მხოლოდ 1.3%-მა განაცხადა, რომ ჰქონდა სექსუალური კავშირი გათხოვებამდე (RHSG-1999, p.240); 2000-ზე მეტი რესპოდენტი გაუთხოვარი ქალიდან, მხოლოდ 12-მა თქვა, რომ სექსუალური გამოცდილება ჰქონია (RHSG-1999, SPSS data file). კაჭკაჭიშვილის (1999) მიხედვით, თბილისში გამოკითხული გაუთხოვარი ქალების 94%-ს სექსი არასოდეს ჰქონია. სხვა გამოკვლევებში (Goodwin et al., 2003) 14-დან 17 წლამდე ასაკის 250 გამოკითხული გოგონადან 17,86%-მა თქვა, რომ სექსუალური კავშირები არა აქვთ. ამ უკანასკნელ მონაცემებში ოჯახური მდგომარეობა არ არის მხედველობაში მიღებული, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი გამოკითხული გათხოვილი იყო. 14-16 წლის ასაკში გათხოვება საკმაოდ გავრცელებულია საქართველოში, რაც შესაძლოა □კანონიერი□ სექსის საშუალებად მოვიჩინოთ. უფრო ადრე ჩატარებულ სხვადასხვა კულტურების შემსწავლელ კვლევაში (Goodwin et al., 2003) □არაკანონიერი□ (ქორწინებამდე თუ ქორწინებაგარეშე) პარტნიორის ყოლა 100 გამოკითხულიდან არცერთმა ქალმა არ აღიარა. სხვათა შორის, პოლონეთშიც იგივე სურათია. თუმცა, შესაძლოა ზემოთ მოცემული კვლევები რეალურ სიტუაციას არ ასახავდნენ, მათ გვერდს ვერ ავუვლით, რადგანაც ისინი იმ მიმართულებებს, სოციალურ დამოკიდებულებებსა და □სასურველ□ საზოგადოებრივ □ხატს□ გამოხატავენ, რომლებიც აუცილებლად ნებისმიერი სახის, მათ შორის სექსუალურ ქცევაზეც ახდენენ ზეგავლენას.

□თბილისის მაცხოვრებელი ქართველი ქალების აბსოლუტურმა უმრავლესობამ, სექსუალური ცხოვრება მხოლოდ გათხოვების შემდეგ დაიწყო და კონტრაცეპტივები თითქმის არ უხმარია. მამაკაცების უმეტესი რაოდენობაც, მიუხედავად იმისა, რომ სექსუალური ცხოვრება ქორწინებამდე აქვს დაწყებული, კონტრაცეპტივებს არ ხმარობს □ (კაჭკაჭიშვილი, 1999). სოციოლოგიური მონაცემების მიხედვით თბილისში მცხოვრები ქართველი ქალების უმრავლესობას სექსუალური გამოცდილება გათხოვებამდე არ ჰქონია. გათხოვების შემდეგ კი ისინი იშვიათად თუ იყენებენ კონტრაცეპტივებს. ქართული კულტურული ნორმების მიხედვით, სექსი ქორწინებამდე ამორალური აქტია და იგი ქალზე ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს. □ქალიშვილობის ტრადიცია□ აქ ჯერ კიდევ ბატონობს (კაჭკაჭიშვილი, 1999). მეორე მხრივ, აღინიშნება საშუალო ასაკში ქორწინებათა რიცხვის ზრდა (ნულაძე და სხვ., 2003, გვ.57.), რაც ასევე შეიძლება რისკ-ფაქტორი გახდეს, ვინაიდან თავისთავად ზრდის ქორწინებამდელი სექსის ალბათობას.

1.6 მამაკაცებთან სქესის მქონე მამაკაცები და მამაკაცთა ჰომოსექსუალიზმი საქართველოში

საქართველოში მამაკაცთა ჰომოსექსუალიზმი ქალთა სექსუალიზმზე უფრო სამარცხვინოა. მაგრამ საქმე არც თუ ისე მატრივადია. მამაკაცის გენდერული როლი საქართველოში დომინანტურობას, აგრესიულობას, სექსუალურობას, ვაჟკაცობას და სხვა წმინდად □მამაკაცურ□ თვისებებს გულისხმობს (გაიხსენეთ განსაზღვრება □მხდალი□, რომელიც პრეზერვატივის მოხმარებასთან დაკავშირებით მხოლოდ ქართველმა რესპოდენტებმა გამოიყენეს). ჰომოსექსუალებს ისეთ ადამიანებად აღიქვამენ, რომლებმაც □გენდერული როლი შეიცვალეს□ და ამის გამო ისინი საზოგადოებისა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სიძულვილისა და აგრესიის ობიექტები ხდებიან. საქართველოში

გაბატონებული ჰომოფობიის გამო, ჰომოსექსუალები მალავენ საკუთარ სექსუალურ ორიენტაციას. ამის გამო, ხშირად, მამაკაცი ჰომოსექსუალების ჯგუფები ერთმანეთში მჭიდრო კავშირს ამყარებენ. ჰომოფობიის გამო ჰომოსექსუალები, ჯერჯერობით, ვერ ახდენენ საკუთარი ორიენტაციის დემონსტრირებას, საკუთარი კავშირების შექმნას და ა.შ. აქედან გამომდინარე შემთხვევით კონტაქტებიც ნაკლები აქვთ. გარდა ამისა, მამაკაცებთან სექსის მქონე ყველა მამაკაცი თავს ჰომოსექსუალად როდი თვლის.

მამაკაცებთან სექსის მქონე მამაკაცებში აივ-ისა და სექსუალური გზით გადაცემულ დაავადებათა გავრცელებისა და სარისკო ქცევის შემსწავლელი კვლევა საქართველოში არ ჩატარებულა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მამაკაცების რაოდენობის დადგენა შეულებელია, მათ შორის აივ-ის გავრცელების მაჩვენებელი საქართველოში მეტად დაბალია (3.0%).

მიუხედავად ამისა, თავისუფლად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ აივ-ის ზოგიერთი რეგისტრირებული შემთხვევა, რომლის წყაროც დაუდგენელია, შეიძლება მამაკაცის მამაკაცთან დაუცველი სექსუალური კონტაქტის შედეგი იყოს (რომლის აღრიცხვაც არსებული სტიგმის გამო ვერ ხერხდება).

ჰომოსექსუალი კაცებისადმი დამოკიდებულება კარგად ჩანს, ციხეებსა და კოლონიებში იმ პატიმარ ჰომოსექსუალ მამაკაცებთან მოპყრობაში, რომელნიც თავის ორიენტაციას არ მალავენ. მათ ჩვეულებრივ ცალკე კამერებში ათავსებენ და მამლებს უწოდებენ.

ციხის გარეთ ჰომოსექსუალი მამაკაცის დადგენა ბევრად უფრო რთულია. მათთვის განკუთვნილი ბარებისა ან ღამის კლუბების გახსნის მრავალი მცდელობის მიუხედავად, დღეს ვერცერთი მათგანი ვერ ფონქციონირებს. ძლიერი სოციალური წნეხის გამო, ჰომოსექსუალური თემი იატაქვეშა ცხოვრებას ეწევა და საზოგადოებისადმი გახსნილობის არანაირი სურვილი არ გააჩნია. ეს კი მამაკაცებთან სექსის მქონე მამაკაცებში აივ/შიდს-ის პრევენციასა და საგანმანათლებლო სამუშაოს ჩატარებას საქართველოში მეტად ართულებს.

აივ/შიდს-ის პრევენციის, მკურნალობისა და მზრუნველობისათვის ამ კატეგორიის მოსახლეობის აღრიცხვა და შეფასება ჯერ კიდევ შეუძლებელია, ხოლო საზოგადოების მიერ ჰომოსექსუალების სტიგმატიზაცია და მარგინალიზაცია კი, მათ აივ-ის მიმართ დაუცველობას თავისთავად ზრდის.

1.7 საქართველოში კომერციულ სექს-მუშაკთა დამახასიათებელი თვისებები.

არაოფიციალური მონაცემების მიხედვით თბილისში და საქართველოს სხვა დიდ ქალაქებში კომერციულ სექს-მუშაკთა რამდენიმე კატეგორია არსებობს და შესაბამისად მომსახურების ფასებიც განსხვავებულია.

1. ყველაზე დაბალ კატეგორიას ე.წ. ქუჩის კომერციული სექს-მუშაკები წარმოადგენენ, რომლებიც ძირითადად ცენტრალურ ქუჩებზე, რკინიგზის სადგურებსა, სატრანზიტო გზებზე (და სხვა ისეთ ადგილად შესამჩნევ ადგილებში როგორცაა მაგ. ცირკის ტერიტორია) მუშაობენ;

2. შედარებით მაღალ კატეგორიას საუნებში, აბანოებში და სხვა არალეგალურ ბორდელებში მომუშავე კომერციული სექს-მუშაკები არიან;

3. უმაღლეს კატეგორიას მობილურის კომერციულ სექს-მუშაკებს უწოდებენ - ისინი გამოძახებით მუშაობენ.

კომერციული სექს-მუშაკების უმეტესობა (87.3%) განაცხადებს, რომ ამ საქმიანობას ფინანსიური გაჭირვების გამო ეწევა (აივ/შიდს-თან დაკავშირებული მდგომარეობის ანალიზი, 2001). მათი უმრავლესობისათვის, ეს სამუშაო საკუთარი თავისა და (ხშირად დიდი) ოჯახების შესანახად საჭირო შემოსავლის ერთადერთი წყაროა. არსებობს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც გათხოვილი ქალები არც თუ ისე გაჭირვებული ოჯახიდან, მიუღწევენ გამოქცენ და ქუჩასა თუ საუნაში კომერციული სექს-მუშაკები გახდნენ. როდესაც მათ ეკითხებიან რა ხელფასი უნდა გქონდეთ ამ საქმიანობას თავი რომ დაანებოთ , ისინი საკუთარ ყოველთვიურ შემოსავალზე ბევრად უფრო დიდ თანხას ასახელებენ. ფსიქოლოგების აზრით, მიუხედავად იმისა, რომ მათ ქუჩისაკენ სიდუხჭირე უბიძგებს, ამის ახსნა, ძირითადად, პერსონალური პრობლემებით შეიძლება (აივ/შიდს-თან დაკავშირებული მდგომარეობის ანალიზი, 2001)..

კომერციული სექს-მუშაკების უმრავლესობა (236 (90.75%)) თვლის, რომ დროებითაა ამ საქმიანობაში ჩართული და გარკვეული თანხის მოგროვებისთანავე მას თავს დაანებებს (ან სხვა სამსახურს იშოვის). 17.3% (19) თვლის, რომ მხოლოდ დროებით (მცირე ხნით) არის ამ საქმიანობით დაკავებული. ზოგიერთი მათგანი სოციალური სფეროს მუშაკებს, ჟურნალისტებს, მეცნიერებს, მოკლედ ყველა იმ ადამიანს, ვინც ცდილობს მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მოიპოვოს ან კვლევა აწარმოოს, თავს არიდებს და მათი საქმიანობის სულ მცირე მინიშნებაზეც კი აგრესიითი პასუხობს.

ქუჩასა და ბარ/საუნებში მომუშავე კომერციული სექს-მუშაკები ჩვეულებრივ, ღარიბი ოჯახებიდან არიან და მათ ხშირად სამ სულზე მათი ადამიანის შენახვა უხდებათ. სიფილისის გავრცელების მაჩვენებელი 27.8%-ია. მათმა უმრავლესობამ (71.6%) განაცხადა, რომ კლიენტთან დამცავ საშუალებებს იყენებს, თუმცა მუდმივ პარტნიორთან მათგან მხოლოდ 17% ხმარობს ამ საშუალებებს ((BSS

report, SHIP project, USAID, Save the Children, Tbilisi, 2002). არსებული სტიგმის გამო კომერციული სექს-მუშაკები მშობლიურ ქალაქებსა და რაიონებში არ მუშაობენ და საქართველოს სხვა რეგიონებში მიემგზავრებიან. ახალგაზრდა კომერციული სექს-მუშაკი, ვინც გარკვეული თანხის დაზოგვა შესძლო, ქვეყანას ტოვებს და საზღვარგარეთ მიემგზავრება. მრავალი მათგანი თურქეთში მიდის, ზოგი ევროპაში მუშაობს (არასამთავრობო ორგანიზაცია □თანადგომა□).

აივ-ინფექციის და სექსუალური გზით გადამდები ინფექციების გავრცელების შესახებ ინფორმაცია 2002 წელს თბილისში ჩატარებული ბიოლოგიური მარკერებისა და სარისკო ქცევების კვლევის ფარგლებში იქნა მოპოვებული (სექსუალური გზით გადაცემული ინფექციებისა და აივ-ინფექციის პრევენციის პროგრამა - SHIP), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო, ფედერაცია გადავარჩინოთ ბავშვები დახმარებითაა მოპოვებული.

თითქმის ყველა სექს-მუშაკს (99.4%) სექსუალური გზით გადაცემული ინფექციების შესახებ ინფორმაციის მიღებული ჰქონდა. 70.9%-მა განაცხადა, რომ გამოკვლევამდე ერთი წლით ადრე სექსუალური გზით გადაცემული ინფექციის სულ მცირე ერთი სიმპტომი მაინც აღენიშნებოდა. ქუჩის სულ 158 სექს-მუშაკმა (ყველა ქალია) გაიარა აივ-ინფექციის, სიფილისის, გონორეისა და ქლამიდიოზის ტესტირება. ამ ქალებში ყველაზე ხშირი სიფილისის (27.8%) შემთხვევა იყო, ხოლო შემდეგ კი ქლამიდიოზი (25.3%) და გონორეა (17.1%) მოდიოდა.

მამინ როცა საკუთარი სხეულით ვაჭრობა საქართველოში არც ლეგალური და არც არალეგალურია, პოლიცია ვალდებულია სექს-მუშაკები აიძულოს მათ ტესტირება გაიარონ. სავარაუდოდ, ქუჩის კომერციულ სექს-მუშაკთა ნახევარზე მეტს (51.6%) თბილისში აივ ინფექციაზე გამოკვლევა გავლილი აქვს. თუმცა ისინი ამ ტესტირებას, ხშირად, ქრთამის ან/და უფასო მომსახურების შეთავაზების გზით თავს არიდებენ.

ბიოლოგიური მარკერებისა და სარისკო ქცევების კვლევის ფარგლებში (სექსუალური გზით გადაცემული ინფექციებისა და აივ-ინფექციის პრევენციის პროგრამა) გამოკვლეული იქნა 158 კომერციული სექს-მუშაკი ქალი, და მათგან აივ ინფიცირებული არცერთი არ აღმოჩნდა. (საინტერესოა, რომ ერთი მამაკაცი ტრანსვესტი სექს-მუშაკი აივ-ინფიცირებული იყო).

მომსახურეობის სფეროში მომუშავე კომერციული სექს-მუშაკების ქსელის აგებულება (მექანიზმი) უცნობია. მათთან კავშირს შვეიცრები, ბორდელის მეპატრონეები, სასტუმროს მენეჯერები და სუტენიორები განახორციელებენ.

კომერციული სექს-მუშაკებისა და ჰომოსექსუალი მამაკაცების აივ/შიდსთან დაკავშირებული სტიგმა და დისკრიმინაცია ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებთან შედარებით კვლავ უფრო მაღალია მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელები ინფიცირების უფრო მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან. ამ ჯგუფების სოციალური სტატუსი შემდეგია: ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა უმეტესობა მდიდარი და რესპექტაბელური ოჯახებიდანაა და ისინი ვიწრო გარემოში არიან ჩაკეტილი. ჩვეულებრივ, მათ კარგი სამსახური, კარგი მანქანა და □მაგარი ბიჭის□ რეპუტაცია აქვთ. ამის საპირისპიროდ, ჰომოსექსუალობა საქართველოში ტრადიციულად სამარცხვინოა და არ არსებობს რაიმე ოფიციალური ადგილი სადაც მამაკაცებთან სექსის მქონე მამაკაცებს დაუფარავად შეხვედრა შეეძლოთ. სოციალური დისკრიმინაციისა და სხვათა ცნობისმოყვარეობის თავიდან ასაცილებლად ბევრ მამაკაცებთან სექსის მქონე მამაკაცს მოჰყავს ცოლი და ბისექსუალურ ცხოვრებას ეწევა.

1.8 გენდერული საკითხები

ცნობილია, რომ გენდერულმა საკითხებმა, ოჯახში ძალადობის, ქალთა დისკრიმინაციისა და ტრეფიკინგის ჩათვლით, დიდი გავლენა მოახდინა აივ/შიდს-თან დაკავშირებულ მდგომარეობაზე. თანამედროვე ქართულ კულტურაში, კერძოდ მის სოციალურ წარმოსახვაში, ზოგადად, გენდერული როლი არასიმეტრიული ხასიათისაა. მიუხედავად იმისა, რომ დედობა ქართულ კულტურაში ყველაზე ღირებული სოციალური როლია, მამაკაცი, ქალთან შედარებით, სრულყოფილ და უფრო დახვეწილ არსებად აღიქმება. აქედან გამომდინარე, უმეტეს ოჯახებში ბიჭის დაბადება ბევრად უფრო სასიხარულო მოვლენაა, ვიდრე გოგოსი. ამავე დროს, იგივე სტერეოტიპებით □სრულყოფილ□ მამაკაცს ქალისადმი □რაინდული□ დამოკიდებულება მოეთხოვება.

როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, ასეთ პრინციპებს რეალობასთან საერთო არაფერი აქვთ, თუმცა, მოცემული ნორმა სოციალურ კლიმატს აქ ჯერ კიდევ ქმნის. მაგ. დაგმოილია ძალადობა ოჯახში; ქართულ კულტურაში არ არსებობს ანდაზა, რომელიც ქალის ძალადობას ამართლებდეს (მაგ. ისეთი როგორიცაა □ქალის ცემა თვით ქალსავე ნაადგება□ ან □თუ ქმარი ცოლს სცემს, ესე იგი ძალიან უყვარს□).

1.8.1 ქალთა დისკრიმინაცია

საქართველოში ქალთა დისკრიმინაციასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე ფართომასშტაბიანი სოციოლოგიური კვლევა 1999 წელს არასამთავრობო ორგანიზაციამ კავკასიის ქალთა კვლევა და საკონსულტაციო ქსელი, ჩაატარა (CWN; <http://www.iccn.ge>): *გენდერული სტერეოტიპების შესწავლა და ქალთა ფარული დისკრიმინაცია საქართველოში*. 400 ინტერვიუზე დაფუძნებული დასკვნების შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ.

დისკრიმინაციის არსებობის დამადასტურებელი ნიშნები მთელ რიგ სფეროებში და განსაკუთრებით ოჯახში შეინიშნება.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ, დისკრიმინაციის არსებობა არაადეკვატურად აღიქმება. ეს ნათლად ჩანს პასუხებში ქალთა დისკრიმინაციის შესახებ პირდაპირ დასმულ შეკითხვებზე. ქალების თქმით, ისინი თავს დაჩაგრულად არ გრძნობენ, ხოლო მამაკაცები კი არ თვლიან, რომ მათ ოჯახურ ცხოვრებაში რაიმე უნდა შეიცვალოს. გამოკვლევის შედეგები კი ასეთ განცხადებებს სრულიად ეწინააღმდეგება. კერძოდ, გამოკვლევის მიხედვით: ორივე სქესის წარმომადგენელი ფიქრობს, რომ ქალი თავის პოტენციალს არაადეკვატურად აღიქვავს, რომ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის თვალსაზრისით, საქართველო საერთაშორისო სტანდარტებს ჩამორჩება, რომ ქალთა მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს. საინტერესოა, რომ ქალებიცა და მამაკაცებიც, საზოგადოებას, აშკარად, სქესის მიხედვით ყოფენ, რაც თავისთავად უკვე დისკრიმინაციაა.

მამაკაცის მიერ შექმნილი და საზოგადოებრივი აზრით განმტკიცებული იდეალური კაცისა და ქალის ხატი, დამოუკიდებლობისაკენ (თავისუფლებისაკენ) ქალის ფარულ ლტოლვას სრულიად ეწინააღმდეგება. აღმოჩნდა, რომ მამაკაცები ქალთა უფლებების შეზღუდვის მომხრენი არიან. (მაგ. მამაკაცები თვლიან, რომ არ არის აუცილებელი ქალმა მეგობრებთან ურთიერთობას ან საკუთარი შესაძლებლობების განვითარებას დრო დაუთმოს).

რადგანაც ითვლება, რომ ქალისათვის ოჯახი ყველაზე მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ხოლო გათხოვილი ქალის სტატუსი კი – ყველაზე სასურველი, ამიტომ ოჯახის მქონე ქალები, ქალების ყველაზე დისკრიმინირებულ ჯგუფს განეკუთვნებიან. დისკრიმინირებული ქალების შემდეგი კატეგორია – ასაკოვანი ქალებია. საზოგადოებაში მათი ადგილი გაურკვეველია. დაკარგეს რა სექსუალური მიმზიდველობა, უფლებებიც აღარ გააჩნიათ. მამაკაცებისაგან განსხვავებით, რომლებიც ასაკთან ერთად მეტ უფლებებს იძენენ, ქალების ადგილი საზოგადოებაში მათი სექსუალური ფუნქციების პირდაპირპროპორციული აღმოჩნდა.

ქალთა დისკრიმინაციასთან მიმართებაში, აუცილებელია საზოგადოების როლის (სოციალური ნორმები და ტრადიციები) გამოყოფაც. ერთი მხრივ, ის რაც ნორმად ითვლება დისკრიმინაციად არ აღიქმება ("ეს ყოველთვის ასე იყო ასეთია ჩვენი ტრადიცია). ყოველივე ეს კი დისკრიმინაციის არსებობის აღიარების დაბალ დონეს უზრუნველყოფს. მეორეს მხრივ, ორივე სქესის რესპოდენტები საზოგადოებისაგან განსხვავებით, (განსაკუთრებით კი ქალები) თანასწორობისაკენ არიან მიდრეკილნი და ტრადიციებისა და საზოგადოებრივი აზრის ზენოლაზე საუბრობენ.

თავისუფლება და დამოუკიდებლობა ის კატეგორიებია, რომლებიც მკვეთრად გამიჯნავს საზოგადოებაში ქალებისა და მამაკაცების მდგომარეობას.

კერძოდ, ქალები ნაკლებად თავისუფალნი და დამოუკიდებელნი არიან. ისინი ამას საკმაოდ კარგად აღიქვამენ და ამის მოთხოვნილებაც გააჩნიათ. აცხადებენ რა, რომ ეს კატეგორიები მართლაც დიდ როლს ასრულებენ პიროვნულ ზრდასა და სიცოცხლით ტკბობაში, ტიპური ქართველი მამაკაცები არ თვლიან, რომ თავისუფლება და დამოუკიდებლობა ქართველი ქალისათვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს. მათი აზრით, იდეალური ქალი მათზე ბოლომდე დამოკიდებული და თავისუფლებაზეზღუდული უნდა იყოს.

ამრიგად, გამოკვლევაზე დაყრდნობით, ქალების ქართული დისკრიმინაციის მთავარი სიმპტომები შემდეგია:

- ქალებმა არ იციან, რომ დისკრიმინირებულნი არიან და შესაბამისად, გენდერულ ასიმეტრიას ბევრ სფეროში ეთანხმებიან კიდევ.
- დისკრიმინაციული ხასიათის ტრადიციები და მათი წამყვანი როლი დაჩაგრული ქალების ცხოვრებაში.
- ოჯახი ინსტიტუტია, რომელიც დისკრიმინაციას უწყობს ხელს.

1.8.2 ძალადობა ოჯახში

ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობა იყო იმ სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიური კვლევის მიზანი, რომელიც 2004 წელს ჩატარდა (ლ. არუთიუნოვა. ოჯახში ძალადობის სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიური კვლევა საქართველოში. ნ. ციხისთავი ოჯახში ქალთა ძალადობის მრავალკომპონენტური შესწავლა საქართველოში. ICCN თბილისი. ბეჭდვაში)

მთელი საქართველოს მასშტაბით (აფხაზეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის გამოკლებით) 1000-ზე მეტი ქალი გამოიკითხა. მიღებული მონაცემების მიხედვით, რესპოდენტთა 22.2%-მა აღიარა, რომ ის ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია (იხ. ტაბულა ქვემოთ).

რა სიხშირით იყენებდა თქვენი მეუღლე/პარტნიორი თქვენს მიმართ ფიზიკურ ძალადობას?	%
რამდენჯერმე ჰქონდა მცდელობა, მადრამ არ გამოუყენებია	6,5
ერთხელ ან ორჯერ	11,4
მუდმივად იყენებს	5,2
წარსულში იყენებდა, მაგრამ ახლა აღარ იყენებს	5,6
არასდროს	70,5

რესპოდენტების 42%-მა მიუთითა, რომ სმენიათ მათ ნაცნობ ქალებზე განხორციელებული ფიზიკური ძალადობის შესახებ. ავტორთა შეფასებით საქართველოს ქალების სულ მცირე 5% ანუ 75-85 000 ქალი მუდმივი ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია. მათგან მხოლოდ რამდენიმე მიმართა პოლიციას ან სამედიცინო დაწესებულებას; ამის მიზეზები, ძირითადად, სირცხვილის გრძობა, საზოგადოებრივი აზრის წინაშე შიში, მეუღლის/პარტნიორის შიშია. 64.2% დაეთანხმა შემდეგ წინადადებას: ოჯახში რაც არ უნდა მოხდეს, ოჯახშივე უნდა მოგვარდეს.

კულტურული თვალსაზრისით საინტერესოა ქართველ ქალთა აზრი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ოჯახში ძალადობაზე ქალის რეაქცია.

როგორ უნდა მოიქცეს ქალი, რომელიც მეუღლისა თუ პარტნიორისგან ფიზიკურ და/ან ვერბალურ ძალადობას მუდმივად განიცდის?	%
მიმართოს პოლიციას ან სასამართლოს	1,4
მოითხოვოს განქორწინება	52,0
მიმართოს საკუთარ ნათესავებს	4,8
მოითმინოს	10,9
მიმართოს ფსიქოთერაპევტს, რათა მან მეუღლეების/პარტნიორების ურთიერთობა მოაგვაროს	3,8
თვითონ სცადოს ურთიერთობების მოგვარება	25,5
თავი დაიცვას და ძალადობაზე ძალადობითვე უპასუხოს	0,8
ფიზიკური ან ვერბალური წინააღმდეგობა გაუწიოს	0,4

რესპოდენტების 25.5%-მა მიუთითა, რომ მეუღლე/პარტნიორი აძალებს მასთან სექსუალური ურთიერთობის დამყარებას (4%-ს მუდმივად, 7.9%-ს დროდადრო). 7.7%-მა განაცხადა, რომ მას მისთვის მიუღებელ სექსუალურ ქმედებებს აძალებენ. ამავე დროს, რესპოდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი თვლის, რომ ქალი მეუღლის/პარტნიორის სურვილებს უნდა დაემორჩილოს (იხ. ქვემოთ)

თუ მეუღლეს/პარტნიორს სექსუალური კონტაქტი სურს, ქალი მას, იმ შემთხვევაშიც კი უნდა დაემორჩილოს, თუ იმ მომენტში სექსისთვის მზად არაა.
სრულიად ვეთანხმები
უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები
უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები
სრულიად არ ვეთანხმები

ქმრის/პარტნიორის სურვილის შესრულების ძირითად მიზეზებად შემდეგი პასუხები იყო მითითებული: არ მინდა ნერვები ავუშალო (55.5%) და თანაფერძნობ (მეცოდება) (12.8%). საინტერესოა, რომ რესპოდენტების მხოლოდ 35.7%-ს სჯერა, რომ მეუღლის/პარტნიორის მხრიდან სექსუალური კავშირის იძულება ძალადობის ერთ-ერთი ფორმაა.

ავტორთა შეფასებით, სექსუალური ძალადობა ბევრად უფრო გავრცელებულია, ვიდრე ამაზე რესპოდენტები მიუთითებენ. ამდენად, სექსუალური ძალადობა აივ-თან დაკავშირებულ სერიოზულ რისკ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს. საზოგადოებრივი აზრის მიმართ შიში, ქალის სუბორდინაციული სტატუსი და სხვა პატრიარქალური და პატარა ჯგუფებზე ორიენტირებული კოლექტივისტური რეალობანი, რომლებიც საქართველოში, და კერძოდ მის რეგიონებში (სოფლებში) ჯერ კიდევ ფართოდაა გავრცელებული, ზრდიან ქალების აივ-ით ინფიცირების შესაძლებლობას.

1.8.3 ტრეფიკინგი

ტრეფიკინგის პრობლემა საქართველოში შედარებით ახალია და მისი კავშირი აივ-ის ეპიდემიასთან ჯერ არ არის კარგად შესწავლილი.

საქართველოს მოსახლეობისთვის უკანასკნელ წლებში ნელ-ნელა ნაცნობი ხდება ადამიანთა ტრეფიკინგის მოვლენა და, ადამიანთა უფლებების სხვა სერიოზულ დარღვევებთან ერთად, მასთან დაკავშირებულ პრობლემებიც. ტრეფიკინგის მხვერპლნი ძირითადად ის ქალები არიან, ვისაც უცხოეთში წესიერ სამუშაოს ჰპირდებიან, მაგრამ ამის სანაცვლოდ სექსის ბიზნესში ითრევენ, ან სულაც მონებივით ეპყრობიან.

საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, განსაკუთრებით კი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) და საქართველოს მთავრობა ტრეფიკინგის წინააღმდეგ სხვადასხვა ზომებს იღებს. კერძოდ, ატარებსამ მოვლენის პრევენციისკენ მიმართულ ღონისძიებებს და ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას.

მაგრამ, ტრეფიკინგთან ბრძოლის მარავალი მცდელობის და უკანასკნელ პერიოდში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების მიუხედავად, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო, საზღვარგარეთ წასვლით ჯერ კიდევ ბევრი ქართველი დაინტერესებული. მათ მიერ არჩეულ ქვეყნებში არსებული მკაცრი სავიზო რეჟიმისა და იმიგრაციული კანონების გამო, ქართველი ემიგრანტები იქ მოხვედრას კონტრაბადული გზით ცდილობენ. ქართველთა ტრეფიკინგი ძირითადად თურქეთში, საბერძნეთში, ამერიკასა და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში ხორციელდება, სადაც ქალებსა და კაცებს ექსპლუატაციას უწევენ და როგორც სექს-ბიზნესში, ასევე სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიულ ბიზნესში იძულებითი დასაქმებით (Newsletter of May 2004, IOM International Organization for Migration, Mission to Georgia). სექს-ბიზნესში იძულებით დაკავებული ქალები აივ-ით ინფიცირების მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ იმყოფებიან და საქართველოში დაბრუნების შემდეგ შესაძლებელია ამ ვირუსით მეულღე/პარტნიორიც დააავადონ.

2003 წელს ამერიკის შეერთებული შტატების დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ყოველწლიურ ანგარიშში ადამიანთა ტრეფიკინგის შესახებ, საქართველო მე-3 ქვეყნების კატეგორიას მიაკუთვნეს, იმის გამო, რომ 2002 წელს მთავრობამ ტრეფიკინგთან ბრძოლის საქმეში თავის თავზე აღებული ვალდებულება ვერ განახორციელა. 2003 წლის ივლისში, იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესწორების შეტანის შესახებ პარლამენტმა ნაჩქარევად სწორედ ამ მოხსენების გამო მიიღო. ამ კანონის მისაღებად, 2002 წლიდან, როგორც არასამთავრობო, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები ერთსულოვნად მუშაობდნენ. სისხლის სამართლის კოდექსს ორი მუხლი დაემატა: მუხლი 143¹ - ადამიანთა ტრეფიკინგი და მუხლი 143² - მცირეწლოვანთა ტრეფიკინგი. კანონი ძალაში 2003 წლის 10 ივლისს შევიდა.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ადამიანთა ტრეფიკინგი მძიმე დანაშაულად ითვლება. ტრეფიკინგის განსაზღვრება შემდეგნაირია: ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ანუ ადამიანებით არალეგალური ვაჭრობა, აგრეთვე, ძალდატანებით, შანტაჟით ან მოტყუებით მათი დაქირავება, ტრანსპორტირება, დაფარვა (დამალვა) ან ქვეყნიდან გაყვანა ექსპლოატაციის მიზნით 5 დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. ამ დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებები შემდეგია: იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის, ორი ან მეტი პირის მიმართ, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვანის, ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, უცხოეთის ოფიციალური წარმომადგენლის ან საერთაშორისო სამართლებრივ დაცვას დაქვემდებარებულის მიმართ, სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით 8-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. იგივე დანაშაული ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება (მუხლი 143²).

2003 წლის ივლისში, ნაციონალური უსაფრთხოების საბჭომ და საქართველოს სახალხო დამცველის ოფისმა, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პარტნიორობით, სპეციალური კონფერენცია ჩაატარა, რომლის ფარგლებშიც 2003-2005 წლისთვის ტრეფიკინგის წინააღმდეგ მოქმედების გეგმა იქნა განხილული და შემუშავებული. კერძოდ, განისაზღვრა სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციები და გეგმის შესრულების ვადები.

2004 წლის მარტში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ დაასრულა ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) პრევენციისა და სამართალდარღვევების და ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთა უსაფრთხოებისა და რეაბილიტაციის კანონის პროექტზე მუშაობა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს კანონპროექტი პრობლემისადმი სამ კლასიკურ მიდგომას მოიცავს პრევენცია, უსაფრთხოება და სამართალდარღვევა. კანონპროექტი განსაკუთრებით ხაზგასმულია დანაშაულის შემცირებისა და შემდგომში მისი სრული აღმოფხვრისათვის საჭირო პრევენციული ზომები: კერძოდ ისინი, რომლებიც სოციალურ საქმიანობასა და უსაფრთხოების დამცველ ორგანოებთან თანამშრომლობას ეხება. ასევე მნიშვნელოვანია მსხვერპლთა უსაფრთხოებასა და რეაბილიტაციასთან დაკავშირებული საკითხები. ამკარაა, რომ კანონპროექტი ადამიანთა ტრეფიკინგის დამარცხებასთან დაკავშირებულ

საქმიანობაზე ამასხვილებს ყურადღებას, რასაც თავისთავად სრულყოფილი სამთავრობო კოორდინაციის, ტრეფიკინგის საქმეთა დროული და ეფექტური გამოძიებისა და სამართალსრულების საკითხებთან მივყავართ. ამ კანონპროექტის შექმნაში სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენელი საერთაშორისო და ქართველი ექსპერტები მონაწილეობდნენ.

სოციოლოგიური მონაცემების მიხედვით (საქართველოში ქალთა ტრეფიკინგის კვლევა. საინფორმაციო ბიულეტენი №5, 2003, 3-47), უკანასკნელი სამი წლის მანძილზე საქართველოს მოსახლეობის გათვითცნობიერებულობის დონე მეტად ამაღლდა. რესპოდენტების 52%-ს, განუსხვავებლად ქალისა და მამაკაცისა, სმენია ასეთი დანაშაულის შესახებ.

გამოკითხვა გვიჩვენებს, რომ იურიდიული უფლებების უცოდინრობა ერთ-ერთი მიზეზია ქალების ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომისა. ქალთა მნიშვნელოვან ნაწილს (72%) საზღვარგარეთ სურს მუშაობა და მიუხედავად იმისა თუ, რა სახის სამუშაოს შესრულებას მოსთხოვენ, ისინი მზად არიან უკანონოდ იმუშაონ. ამავე დროს, საზღვარგარეთ მუშაობის მსურველ ქალთა რიცხვი თბილისში შედარებით უფრო დიდია, ვიდრე რეგიონებში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ტრეფიკინგის შესახებ ინფორმაცია სოფლებში ნაკლებია, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომის რისკი რეგიონების მოსახლეობისათვის უფრო მაღალია. მაგრამ საქმე ისაა, რომ მოსახლეობის ის ნაწილიც, რომელიც ტრეფიკინგის შესახებ ინფორმაციას ფლობს, საზღვარგარეთ მუშაობისაკენ ასევე ილტვის, ამდენად, რისკის თავიდან ასაცილებლად მხოლოდ ცოდნა არ არის საკმარისი.

შედეგებმა გვიჩვენა, რომ ორი ძირითადი მიზეზი, რომლის გამოც, ტრეფიკინგის მსხვერპლად ქცევის რისკის მიუხედავად, ქალები მაინც მზად არიან საზღვარგარეთ სამუშაოდ წავიდნენ, შემდეგია: 1) მათი აზრით მძიმე სიტუაციიდან თავის დასაღწევა მხოლოდ საზღვარგარეთ წასვლით შეიძლება 2) ისინი დარწმუნებული არიან, რომ ეს მათ არ ემუქრებათ. გარდა ამისა, ითვლება, რომ ტრეფიკინგი მსხვერპლისათვის სამარცხვინოა და საზოგადოება კიცხავს ასეთ ქალებს, რადგან იგი სექსუალურ ექსპლუატაციასთანაა გაიგივებული და, ამდენად, მისი მსხვერპლი ქალები სექს-მუშაკებად აღიქმებიან.

საზოგადოება ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომის სერიოზულობას და/ან რისკს არაადექვატურად აღიქვამს, შემდეგ მიზეზთა კომბინაციის გამო:

□ პირველ რიგში, ტრეფიკინგის მსხვერპლნი საქართველოში ამ მოვლენაზე ხმამაღლა არ ლაპარაკობენ. გარდა ამისა, ბევრმა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ პირადად არ იცნობს ტრეფიკინგის მსხვერპლთ და არაფერი იცის ამ მოვლენის შესახებ. და პირიქით, რესპოდენტების უმრავლესობამ მიუთითა, რომ საზღვარგარეთ სამუშაოდ წასულ ბევრ ადამიანს პირადად იცნობს და ისინი იქიდან დადებითი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ. ამდენად, საზღვარგარეთ მუშაობაზე დადებითი აზრი არსებობს.

□ ამავე დროს, ხალხი აცნობიერებს საზღვარგარეთ არალეგალურად მოშობასთან დაკავშირებულ საფრთხეს. საზღვარგარეთ მუშაობასთან დაკავშირებული დამოკიდებულება, ეწინააღმდეგება იმ ნეგატიურ დამოკიდებულებას, რომელიც ტრეფიკინგზე მიღებული ინფორმაციის შედეგად ჩამოყალიბდა. რესპოდენტთა აზრით, ქალები ტრეფიკინგის მსხვერპლნი საკუთარი სურვილით, და არა სიტუაციის გამო ხდებიან. შესაბამისად, მხოლოდ ის ქალი შეიძლება გახდეს ტრეფიკინგის მსხვერპლი, ვინც შეუგნებლად იქცევა.

□ ასეთი, □ფუნდამენტურად მცდარი განსაზღვრების□ გამო, რესპოდენტებს სჯერათ, რომ □პატიოსნებით□, □სანდომიანობით□, □გონიერებით□ ქალებს შეუძლიათ ტრეფიკინგს თავი აარიდონ; რესპოდენტთა 79%-მა განაცხადა, რომ □პატიოსანი ქალი, ჩვეულებრივ, ტრეფიკინგის მსხვერპლი არ გახდება□ და 40%-მა კი მიუთითა, რომ □ქალს უმიზეზოდ არავინ შეურაცხყოფს□. რაგანაც არავინ თვლის, რომ □უპატიოსნო□, □არაპატივისცემი□, □უჭკუო□ და ა.შ., ადამიანები □დაცულობის ილუზიით□ ან □არარეალური ოპტიმიზმით□ საზრდოობენ და სჯერათ, რომ მათ არანაირი საფრთხე არ ემუქრებათ. ადამიანებს აგრეთვე სიტუაციის □გაკონტროლების ილუზიაც□ აქვთ, რაც აგრეთვე არ ასახავს რეალობას.

□ ზემოთ მოცემულ განსაზღვრებებთან ერთად, ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომის კანდიდატებთან დაკავშირებით ძლიერი სტერეოტიპი არსებობს, რომელიც ქალებში ტრეფიკინგს სექსუალურ ექსპლუატაციასთან და სექს-ინდუსტრიასთან აიგივებს. ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, არსებული საზოგადოებრივი აზრის შესახებ □დასკვნის□ გაკეთება ძნელი არ არის □ სექსის ბიზნესში ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალები ისეთი □ამორალური□ ქალები არიან, რომელთა მსგავსი მათ ნაცნობებს შორის არც კი შეიძლება არსებობდეს.

1.9 ახალგაზრდები

სკოლებსა და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში აივ-ისა და ნარკოტიკების გამოყენების პრევენციისაკენ მიმართული სპეციალური პროგრამები არ არსებობს. საშუალო სკოლის პროგრამაში აივ-ის პრევენციის კურსის შეტანამ მშობლებისა და ეკლესიის წინაარმდეგობა გამოიწვია და

ის ჯერ-ჯერობით განუხორციელებელი რჩება. აივ/სექსუალური გზით გადაცემულ ინფექციათა პრევენციის პილოტური პროგრამა, განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით, UNICEF-ის საქართველოს ოფისის ცხოვრების უნარ-ჩვევების საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი იყო. 2003 წელს შემუშავებულ იქნა სასწავლო კურსი, მაგრამ განათლების სამინისტროს ჯგუფი, რომელიც ამაზე მუშაობდა, შეიცვალა (ვარდების რევოლუციის შემდეგ) და პროგრამა არ იქნა ოფიციალურად მიღებული. გარდა ამისა, გაიზარდა საზოგადოების ზენოლაც, რადგან ქართული მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის ზოგიერთმა გავლენიანმა პირმა პროგრამას წინააღმდეგობა გაუწია იმის შიშით, რომ იგი ახალგაზრდებში ამორალური ცხოვრების წესს გაუწევდა პროპაგანდას.

საშუალო სკოლის უმაღლესი კლასებისა და უმაღლესი სასწავლებლების 360 ახალგაზრდის გამოკითხვამ აჩვენა, რომ ნარკოტიკებზე ინფორმაციის ძირითად წყაროდ ქუჩას რესპოდენტების 56% მიიჩნევს, მასმედიას – 34% და საგანმანათლებლო ლიტერატურას – 10%. გამოკითხული მასწავლებლები კი ფიქრობენ, რომ ძირითადი წყარო საგანმანათლებლო ლიტერატურაა (34.5%), მასმედია (31%) და ქუჩა (26.5%) (აივ/შიდს-თან დაკავშირებული სიტუაციის ანალიზი საქართველოში, 2001).

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ნარკოტიკების შესახებ მოსწავლეები/სტუდენტები უკეთ არიან ინფორმირებული, ვიდრე მასწავლებლები. მასწავლებლებისა და მშობლების ნაწილი ვერ ხვდება თუ როდენ დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ნარკოტიკების მოხმარების, აივ-ისა და სხვა დაავადებების გავრეცელების პროფილაქტიკაზე. ზოგიერთი მასწავლებლის თქმით კი ნარკოტიკებსა და სექსუალური გზით გადაცემულ ინფექციებზე საუბარი სკოლებში არ უნდა ხდებოდეს. ზოგ მშობელს (გამოკითხა 411 მშობელი) ამკარად არ მოსწონს საგანმანათლებლო დაწესებულებების მცდელობა, სასკოლო პროგრამაში აივ-ისა და ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის კურსი შეიტანოს.

ამავე დროს, ახალგაზრდა თაობამ ამ თემისადმი ცხოველი ინტერესი გამოავლინა. იგი თვლის, რომ სავალდებულოა აივ-ის, ნარკოტიკების მოხმარებისა და სექსუალური გზით გადაცემულ ინფექციების შესახებ ზუსტი ინფორმაციით მოსწავლეების/სტუდენტების უზრუნველყოფა.

2002-2003 წელს ნარკოლოგიის ინსტიტუტის მიერ თბილისის უმაღლესი სასწავლებლების 800 სტუდენტის გამოკვლევამ აჩვენა, რომ ახალგაზრდებში ნარკოტიკების მოხმარების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია; ვაჟების 52%-მა თქვა, რომ მათ გასინჯული აქვთ მარიჟუნა, ხოლო 11% კი მას რეგულარულად იყენებს; 4,5%-ს გასინჯული აქვს ექსტაზი; 3,9%-ს ჰეროინი; 2,6% ნარკოტიკებს შესუნთქვის გზით მოიხმარს და ა.შ. რეგულარულად მოხმარებული ნარკოტიკებიდან პირველ ადგილზე მარიჟუნაა, შემდეგ – ოპიუმი (3,3%) და ჰეროინი (2,6%).

მეორე მხრივ, როდესაც სტუდენტებს მათი თანატოლების ნარკოტიკების მოხმარების ჩვენებზე ჰკითხეს: 41%-მა თქვა, რომ ზოგიერთი მისი ნაცნობი ახალგაზრდა მამაკაცები მარიჟუნას მოიხმარენ; 17,5%-მა თქვა, რომ მარიჟუნას მისი ნაცნობების უმეტესობა იყენებს; 24,7%-მა თქვა, რომ მისი ნაცნობებიდან რამდენიმე ჰეროინს მოიხმარს, 11%-მა იგივე თქვა ექსტაზზე და 11%-მა -სტიმულანტებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდებში არაინექციური გზით მოხმარებული ნარკოტიკების (მარიჟუნა, ექსტაზი, კოდეინი, ტრამადოლი) გამოყენება გახშირდა. მაგ. 2000 წლიდან 2003 წლამდე მარიჟუნას ახლადრეგისტრირებული მოხმარებლების რიცხვი 2,8-ით გაიზარდა. განსაკუთრებით საყურადღებოა ქალებისა და გოგონების მიერ ნარკოტიკების მოხმარების მაჩვენებლის ზრდა. ცნობილია, რომ ნარკოტიკებისა (მათ შორის არაინექციური) და ალკოჰოლის მოხმარება სექსუალური პარტნიორებისა და დაუცველი სექსუალური კონტაქტების როდენობას ზრდის, რაც თავისთავად აივ-ისა და სხვა სექსუალური გზით გადაცემული დაავადებების მიმართ დაუცველობას იწვევს. ამრიგად, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტი იმ ახალგაზრდა მამაკაცებიდან, რომლებმაც უსაფრთხო სექსის შემთხვევებზე მიუთითეს, 54%-მა ასეთი ქცევის მიზეზად ალკოჰოლური ინტოქსიკაცია დაასახელა, ხოლო 14%-მა კი ნარკოტიკული ინტოქსიკაცია.

საქართველოს მოსახლეობის 7,8% 15-19 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება. გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიერ 2002 წელს ჩატარებული ახალგაზრდობის რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის მიხედვით საქართველოში ახალგაზრდების 87%-ს აინტერესებს და მსჯელობს სექსუალურ საკითხებზე, მაგრამ მათი საუბრები მათივე თანატოლების ფარგლებს არ სცილდება (63,9%). ახალგაზრდებში არსებული სექსუალური სტანდარტები განსხვავებულია. ვაჟებიც და გოგონებიც (76%) ფიქრობენ, რომ დასაშვებია ვაჟებს ჰქონდეთ კონტაქტი კომერციულ სექს-მუშაკებთან. მხოლოდ მათი მცირე ნაწილისთვისაა დასაშვები გოგონებისათვის ქორწინებამდე სექსუალური კავშირი. ახალგაზრდებს სმენიათ აივ-ისა და სხვა სექსუალური გზით გადაცემული ინფექციების შესახებ (88,75), მაგრამ ცოტა რამ იციან მათი გადაცემის გზებზე.

1.9.1 ბავშვები არატრადიციული ოჯახებიდან

2001-2004 წლებში განსხვავებულ კულტურებში – საქართველოს, რუსეთისა და უკრაინის ახალგაზრდებში – აივ-თან და შიდს-თან დაკავშირებული პრობლემების კვლევა ჩატარდა (Goodwin

etal., 2004). საქართველოში 500 ახალგაზრდა გამოიკითხა. გამოკითხულთა ერთი მესამედი ბავშვთა თავშესაფარიდან იყო (განათლების სამინისტროსთან არსებული სკოლა ინტერნატები ობოლი და მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის). შედეგები სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა □ თავშესაფარის ბავშვებმა, საშუალოდ, აივ-სა და შიდს-ზე გაცილებით მეტი ცოდნა გამოავლინეს (თუმცა მათ შორის იყვნენ ისეთებიც, ვინც საერთოდ არაფერი იცოდა აივ/შიდს-ზე. ეს შეიძლება, ასეთ თავშესაფარებში გონებადაქვეითებული ბავშვების დიდი რაოდენობით აიხსნას). სექსუალური აქტივობების მაჩვენებელი და ნარკოტიკების გამოყენების შემთხვევები აქ მეტად მცირეა, რაც უსახსრობის შედეგი უნდა იყოს.

საქართველოში აივ-სა და შიდს-ის შესახებ ინფორმაციას ახალგაზრდებს, ძირითადად, საგანმანათლებლო ფუნქციების მქონე ის არასამათავრობო ორგანიზაციები აწვდიან, რომლებიც თავშესაფარში მცხოვრებ ახალგაზრდებზე არიან ორიენტირებულნი. რაც შეეხება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმწიფო პროგრამას, იგი ჯერ არ არსებობს და ამათან დაკავშირებული სიტუაციაც ჯერჯერობით გაურკვეველია.

ინექციური ნარკოტიკების მოხმარების შემთხვევების სიმცირე მხოლოდ და მხოლოდ უსახსრობით აიხსნება (თავშესაფარის ბავშვები იყენებენ ნებს, რომელსაც შესუნთქვის გზით მოიხმარენ). უნდა აღინიშნოს, რომ თუ თავშესაფარის ბავშვები ინექციურ ნარკოტიკებს გამოიყენებენ, აქ ინფიცირების საშიშროება გაცილებით მეტი იქნება, ვინაიდან თავშესაფარის პირობებში ერთჯერადი შპრიცების გამოყენების შესაძლებლობა მეტად მცირეა.

თავშესაფარის ბავშვებისა და ჩვეულებრივ ოჯახში მცხოვრები მათი თანატოლების სექსუალურ აქტივობებს შორის სხვაობა უნდა არსებობდეს, რადგან, თუ ჩვეულებრივი საშუალო სკოლის ბიჭებს საშუალება აქვთ კონტაქტი სექს-მუშაკებთან დაამყარონ, თავშესაფარის ბავშვები უსახსრობის გამო ამას მოკლებული არიან. ქორწინებამდე სექსუალური კონტაქტები თანაბრად ტაბუირებულია, როგორც თავშესაფარის გოგონებისა და ბიჭებისთვის, ასევე მათი სხვა თანატოლებისათვის. გოგონებთან ინტერვიუებში, თავშესაფარის მხოლოდ ორმა გოგომ აღიარა, რომ სექსის ბიზნესში ჩართული და მხოლოდ სამმა თქვა, რომ □მეგობარი ბიჭი□ ჰყავს. რუსეთთან და უკრაინასთან შედარებით, ეს მნიშვნელოვნად მცირე მაჩვენებელია.

I.10 პენიტენციალური სისტემა

აივ-ის მიმართ მოსახლეობის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი რისკის ჯგუფი პატიმრებია. საქართველოში პენიტენციალურ სისტემაში ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებულ განათლებაზე გამოყოფილი თანხების სიმცირის გამო, აქ ცოტა რამ კეთდება აივ-ისა და ნარკოტიკების მოხმარების პრევენციისათვის. თვით ეს სისტემა არ □უნყოფს ხელს პრევენციული პროგრამების მუშაობას, რადგანაც, მის ოფიციალურ წარმომადგენლებს არ სურთ აღიარონ, რომ პატიმრებისთვის ნარკოტიკები ადვილად ხელმისაწვდომია. აქ რთულია დამცავი საშუალებების (პრეზერვატივის) გავრცელებაც მიუხედავად ამისა, ციხეებსა და კოლონიებში, ნარკოტიკების მოხმარების, მათ შორის ინექციურის, მაჩვენებელი (და მასთან დაკავშირებული რისკიც) მეტად მაღალია. 2004 წელს ნარკოლოგიის ინსტიტუტის მიერ ორ პენიტენციალურ დაწესებულებაში ჩატარებულმა გამოკითხვამ (ინტერვიუ 19-დან 50 წლამდე 250 პატიმარ მამაკაცთან) აჩვენა, რომ რესპოდენტების 70% ნარკოტიკები მოუხმარია ცხოვრების მანძილზე, 41% კი ნარკოტიკებს საპყრობილეში იყენებს. ყველაზე ხშირად აქ ინექციური ნარკოტიკები გამოიყენება. იმ რესპოდენტებიდან, რომლებმაც აღიარეს, რომ უკანასკნელი სამი თვის მანძილზე აქვთ მიღებული ნარკოტიკი, 30% მოიხმარს მარიჟუნას, 41% - ჰეროინს, 18% - სუბუტექსს (ინექციის სახით), ხოლო 8% - ოპიუმს და სხვ. რესპოდენტების 10% ინექციურ ნარკოტიკებს რეგულარულად მოიხმარს □ ყოველდღიურად ან ყოველ მეორე დღეს.

აივ-თან დაკავშირებით შემდეგი მონაცემები იქნა მოპოვებული: ნარკოტიკების მოხმარებლების 87% მრავალჯერადად იყენებს საკუთარ ნახმარ შპრიცს, ; 42% არიარებს, რომ საკმაოდ ხშირად გამოუყენებია სხვის მიერ ნახმარი შპრიცი, 52% კი აღნიშნავს მათ მიერ გამოყენებული შპრიცების შემდგომში სხვის მიერ მოხმარებას. ასეთი სარისკო ქცევა ამ დაწესებულებებში სტერილური შპრიცებისა და გამოუყენებელი შპრიცების ნაკლებობით აიხსნება.

აქედან გამომდინარე, ინექციური ნარკოტიკების მოხმარებისა და საზიარო შპრიცების გამოყენების შემთხვევების სიმრავლის გამო, საქართველოს პენიტენციალურ სისტემაში აივ-ისა და ჰეპატიტების გავრცელების საშიშროება დიდია.

საქართველოში პატიმრებში აივ-ის გავრცელების კვლევა პირველად 1997 წელს ჩატარდა, როდესაც 7000-მა პატიმარმა აივ-ტესტირება გაიარა; აღმოჩენილ იქნა აივ-ის 5 შემთხვევა.

უკანასკნელი გამოკვლევა 2001 წელს დასრულდა, როდესაც 1200 პატიმარს, მას მერე, რაც მათ კონსულტაცია გაიარეს, ტესტირება ჩატარდა. ციხეებში აივ-ის ინფექციის გავრცელების მიმდინარე მაჩვენებელი 0.1%-ია. შიდს-ის ეროვნული ცენტრი პატიმრების აივ ინფექციაზე ტესტირებას შეზღუდულად აწარმოებს, მაგრამ პენიტენციალურ სისტემაში აივ-ის, სექსუალური გზით გადაცემული ინფექციებისა და ნარკოტიკების მოხმარების პრევენციაზე მიმართული სტრატეგია ვითარდება

და ცენტრი, იუსტიციის სამინისტროსთან ერთად, ფონდების მოსაპოვებლად მთავრობასა და დონორებთან მოლაპარაკებას აწარმოებს.

არასამთავრობო ორგანიზაცია "თანადგომა" თბილისის ციხეებში აივ-ისა და სექსუალური გზით გადაცემულ ინფექციათა პრევენციის დარგში განათლებასა და კონსულტაციებს ეწევა. ისინი აივ-ით ინფიცირების რისკის ქვეშ მყოფ პატიმრებს შიდსის ეროვნულ ცენტრში ტესტირებისათვის მიავლენენ. ტესტირება ნებაყოფლობითია და პატიმრები თვითონ წყვეტენ, გაიარონ ის თუ არა.

1.11 მიგრანტები

ექსპერტების შეფასებით, დაახლოებით 1 მილიონი ადამიანი სამუშაოსა თუ განათლების მისაღებად უცხოეთში მიემგზავრება (წულაძე, 2003, გვ.161). გარდა ამისა, დიდია სეზონური მიგრანტების რიცხვი განსაკუთრებული რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფი – რომელთა დადგენაც მეტად რთულია. ემიგრანტი მამაკაცების უმრავლესობა რუსეთსა და უკრაინაში (ქვეყნები აივ-ის გავრცელების დიდი მაჩვენებლებით) ან თურქეთში, საბერძნეთში, აშშ-ში, გერმანიაშია თუ აღმოსავლეთ ევროპაში მიემგზავრება, მაშინ როცა ქალები ძირითადად, თურქეთში, საბერძნეთში, აშშ-ში, გერმანიაში და საფრანგეთში მიდიან და ბევრი მათგანი შინამოსამსახურებად იწყებს მუშაობას. ემიგრაციის ყველაზე მაღალი დონე სამეგრელოსა და ჯავახეთში შეინიშნება. და პირიქით, ძალიან ცოტა ადამიანის მიგრირებს საქართველოში, - აქ ძირითადად რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან ფერმეებში სამუშაოდ მოდიან. სიტუაცია განსაკუთრებით შემამოფოთებელია ჯავახეთში; ეს ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი რეგიონია და იგი კვალიფიციური მედპერსონალის ნაკლებობას განიცდის. აქ, პრევენციული ზომები თითქმის არ ტარდება. ზოგიერთი მიგრანტი ქალი სექსის ბიზნესში იწყებს მუშაობას და, ამდენად, ეს აივ-ით ინფიცირების რისკს ზრდის. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტიც, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ასეთი ქალები წყვეტენ ამ საქმიანობას და საკუთარ კულტურულ გარემოს უბრუნდებიან.

მიგრაციის ზრდა საქართველოში აივ-ის ეპიდემიის გავრცელების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია, ხოლო იძულებით გადაადგილებული პირების არსებობა კი კიდევ ერთი ფაქტორი. მოსახლეობის 1989 წლის აღწერით, საქართველოს მოსახლეობა 5.4 მილიონი იყო. კონფლიქტებმა, რომლებმაც უკანასკნელ წლებში იფეთქა და მიგრაციის ზრდამ (ძირითადად ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ან განათლების მისაღებად) ქვეყნის მოსახლეობა 4.6 მილიონამდე შეამცირა (www.statistics.ge). ეთნიკური კონფლიქტების წყალობით, 288 000 ადამიანი იძულებით გადაადგილებული პირი გახდა (სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ტერიტორიები). გარდა იმისა, რომ მათ გადაადგილება მოუხდათ, ამ ადამიანების უმრავლესობამ დიდი დანაკარგები განიცადა. იძულებით გადაადგილებულმა მამაკაცებმა სეზონური სამუშაო იშოვეს ან სამსახურის საძებნელად ქვეყნიდან წავიდნენ. ქალებმა კი პატარა მალაზიებსა და ბაზრებში პროდუქტისა და სხვადასხვა ნივთების გაყიდვა დაიწყეს. ზოგიერთი მათგანი სექსის ბიზნესით დაკავდა (ოფიციალური სტატისტიკა ამ სფეროში არ არსებობს და ინფორმაცია ამ ანგარიშისათვის მხოლოდ სექს-მუშაკებთან გასაუბრებითაა მოპოვებული).

რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ლტოლვილის სტატუსით 188 000 ქართველია რეგისტრირებული. რუსეთში მიგრანტების 50%-ია, შემდეგ მოდის თურქეთი (13%) და უკრაინა (7%). უკან დაბრუნების შემდეგ ეს ადამიანები სამშობლოში აივ-ის ახალი შემთხვევების შემოტანის რისკს ზრდიან (თ გოცაძე, აივ/შიდს_ი საქართველოში მივმართავთ კრიზისს); შიდს-ის ნაციონალურ ცენტრში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების 79% უკრაინაში ან რუსეთში დაინფიცირდა.

1.12 აივ/შიდს-თან დაკავშირებული ცოდნის დონე

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა კვლევების მონაცემები საქართველოში აივ-თან და შიდსთან დაკავშირებით ცოდნის დონე დამაკმაყოფილებელ დონეს გვიჩვენებენ (კაჭკაჭიშვილი, 1999; Goodwin et al., 2003), (ამ ანგარიშისათვის), გამოკითხულთა უმრავლესობა აივ-ის გადაცემის გზების შესახებ არასწორი ინფორმაცია აქვთ: მაგ. მათ სჯერათ რომ შიდსი ჰაერით, ან შეხებით ან აივ-ით დაავადებულის ჭურჭლის გამოყენებითაც ვრცელდება. ცოდნის დანალმა დონემ, შესაძლებელია ადამიანები აივ-ით ინფიცირების რისკის ქვეშ დააყენოს და აივ-ის მატარებელი ადამიანების იზოლაცია, დისკრიმინაცია და სტიგმატიზაცია გამოიწვიოს. ერთ-ერთ ანგარიშში, აღწერილია შემთხვევა, როდესაც ციხის ჰოსპიტალში სემედიცინო პერსონალმა აივ-ის მატარებლის მიმართ უსაფრთხოების გადაჭარბებული ზომები მიიღო (ქარსელიშვილი, 2002).

აღმოსავლეთ ევროპის ხუთ ქვეყანაში (უნგრეთი, პოლონეთი, საქართველო, ესტონეთი, რუსეთი) ჩატარებულ ერთ-ერთ ზემოხსენებულ კვლევაში (Goodwin et al., 2003), ექიმების, ხელმძღვანელი მუშაკებისა და მედლების გამოკითხვა მოხდა. სამიზნე ჯგუფად ხელმძღვანელი მუშაკები შეირჩა, რადგანაც ისინი ბევრს მოგზაურობენ და შემთხვევითი სექსუალური კონტაქტების შესაძლებლობაც მეტი აქვთ. ინტერვიუებისათვის მედპერსონალის (ექიმები, მედლები) შერჩევის მიზეზი კი ის გახლდათ,

რომ ისინი სხვადასხვა დაავადებების და მათ შორის აივ- ინფექციის და შიდსის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ. ქართველი მედლების გათვითცნობიერებულობის დონე აივ ინფექცია/შიდსის შესახებ ყველაზე დაბალია. ასეთი აღმოჩენა კი მედლებისა და სხვა სამედიცინო პერსონალისათვის სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების აუცილებლობაზე მეტყველებს.

კაჭკაჭიშვილისა (2002) და გუდვინის (Goodwin et al 2003) მიერ მოპოვებული მონაცემების შედარებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ: ავადმყოფობის გადაცემის გზებისა და მისი პრევენციის შესახებ გათვითცნობიერებულობა კორელაციაშია ცოდნის დონესთან.

კაჭკაჭიშვილის აზრით (2002; ზოგადი ინტერვიუები საზოგადოებასთან), აივ-ის გადაცემის, პრევენციის და სარისკო ქცევის შესახებ ცოდნის დონე გამოკითხულებში დამაკმაყოფილებელია. სოციალური რეპრეზენტაციის კვლევაში (SRR) გუდვინის მიერ შერჩეული გამოკითხულები უფრო განათლებულები ჩანან, ვიდრე კაჭკაჭიშვილისა (2002). განსხვავებული მეთოდოლოგიის გამო მონაცემთა უშუალო შედარება შეუძლებელია: ღია კითხვები (კაჭკაჭიშვილი) და დახურული კითხვები (SRR) ავადმყოფობის გადაცემის გზებთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ SRR რესპოდენტებმა იციან, რომ დაუცველი სექსის გარდა, აივ-ით

ინფიცირების რისკს სისხლით უშუალო კონტაქტიც (ინექციური ნარკოტიკების გამოყენება, სისხლის გადასხმა) შეიცავს. აქედან გამომდინარე, ქართველთა უმრავლესობისათვის შიდსი უფრო სექსთანაა (როგორც სჩანს, უფრო პეტეროსექსუალურთან) დაკავშირებული და ნაკლებად – სისხლთან.

ამავე დროს, SRR-ის იმ გამოკითხულებს, და განსაკუთრებით მედლებს რომლებმაც აივ-ის სისხლით უშუალო კონტაქტით გადაცემის შესახებ კარგად იციან, ასევე სჯერათ, რომ არაპირდაპირი გზებიც არსებობს (მაგ. ნერწყვი, კოლო, ხელის ჩამორთმევა).

კაჭკაჭიშვილის მიხედვით, აივ ინფექცია/შიდსის შესახებ არსებული ცოდნის დონე შერჩეული რესპოდენტების მიერ საკუთარი თავის აივ-ით ინფიცირების რისკის აღქმაში არ აისახება. რესპოდენტების უმრავლესობა (განსაკუთრებით ქალები) ნაწილობრივ ან სრულიად უარყოფს იმის შესაძლებლობას, რომ ამ დაავადებით თვითონ დაინფიცირდნენ. რესპოდენტთა ნახევარი (განსაკუთრებით მამაკაცები) დამცავ საშუალებებს არ იყენებს (გვ.151). ყოველივე ეს კი მაკფარლანდის (McFarland et al 1992) დასკვნას შეესაბამება, რომელმაც აღმოაჩინა, რომ ხალხის აზროვნებასა და ქცევას შორის ყოფილ საბჭოთა კავშირში გაცილებით დიდი ზღვარი არსებობს, ვიდრე დასავლეთის ქვეყნებში.

360 მოსწავლისა და სტუდენტის შესწავლისას გამოკითხულთა 56% უკანონო პრეპარატების შესახებ ინფორმაციას ქუჩიდან იღებს, 43% ინფორმაციის წყაროდ მასმედიას ასახელებს, და მხოლოდ 10% იღებს ინფორმაციას პოპულარული საგანმანათლებლო ლიტერატურიდან. საშუალო სკოლის პროგრამაში სექსუალური განათლების საკითხების შეტანის მცდელობას დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ზოგიერთმა სოციალურმა ჯგუფებმა და, განსაკუთრებით, მნიშვნელოვანი კულტურული ზეგავლენისა და ძალაუფლების მქონე რელიგიურმა ლიდერებმა. სექსთან დაკავშირებული საკითხები ძირითადად ტაბუირებულია ოჯახებშიც. ამდენად, სექსუალური განათლების მიღების სარწმუნო წყაროები ჯერ კიდევ მცირეა.

ინტარპიუ ინფორმაციური კათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის
კვლევითი ცენტრის (შიდსის ეროვნული ცენტრის) ექიმთან,
ძ-ნ. ლალი შარვაშიძესთან. თბილისი, საქართველო

1991 წლიდან სიტუაცია საგრძნობლად შეიცვალა. პირველ რიგში, გაჩნდა ახალი მედიკამენტები და მკურნალობის მეთოდები (მაგ. ანტირეტროვირუსული მედიკამენტებით მკურნალობა ARV treatment medication). მაღალაქტიური ანტირეტროვირუსული მკურნალობის შედეგად სამედიცინო ჩარევა უფრო ეფექტიანი გახდა. ასეთია შიდსის მკურნალობის ახალი მიმართულებები. მკურნალობის ეს მეთოდები საქართველოშიც დაინერგა და ფაქტიურად, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მსოფლიო პრაქტიკა ჩვენთანაც არის დანერგილი, თუმცა ოდნავ ჩამოვრჩებით. რაც შეეხება მკურნალობის სახსრებს, მთავრობამ თავის თავზე ხუთი პაციენტის მკურნალობა აიღო. სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით მეტის საშუალება არ არის (ამ ხუთი პაციენტის მკურნალობა ხუთი წლის წინ დაიწყო. მათ აივ-ი სხვა პაციენტებზე ადრე დაუდგინდათ. მას მერე პაციენტების რიცხვი გაიზარდა, მაგრამ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შესაძლებლობები არ შეცვლილა). სხვა პაციენტებს მკურნალობის საფასურის გადახდა უხდებათ, თუმცა სასიკეთო ცვლილებები აქაც მოხდა. ბაზარზე გაჩნდა ინდური წარმოების საკმაოდ იაფი პროდუქცია, რომელმაც შესაძლებელი გახდა დასავლეთის ძვირადღირებული მედიკამენტების შეცვლა. ინდური წარმოებით მკურნალობა თვეში 150 აშშ დოლარი ჯდება, მაშინ როცა დასავლეთის მედიკამენტებისთვის თვეში 800 - 900 აშშ დოლარია საჭირო.

სხვაობა მეტად მნიშვნელოვანია. ამრიგად, დღეს ბევრ პაციენტს შეუძლია თავისი მკურნალობის საფასური გადაიხადოს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯერ კიდევ არც თუ ისე იაფია. მეორეს მხრივ, ვთვლი, რომ ამ პრობლემის უდიდესი ნაწილი გადაიჭრება საქართველოში გლობალ ფონდის (Global Fund) პროექტის მუშაობის დაწყებასთან ერთად, რაც უახლოეს მომავალშია მოსალოდნელი. ეს პროექტი გაცილებით უფრო მეტი პაციენტის მკურნალობას უზრუნველყოფს, ვიდრე ეს საქართველოს სჭირდება.

[...] აივ ინფექციის დროული დადგენა მეტად მნიშვნელოვანია. ამ დროს მკურნალობა ბევრად უფრო ეფექტურია. თუმცა ავადმყოფობის ადრეულ სტადიაში დადგენას თავისი პრობლემები გააჩნია და ეს პრობლემები მეტად სერიოზულია. ზოგადად, აივ ინფექცია მართვადი ქრონიკული დაავადებაა. როგორია სიტუაცია საქართველოში? თუ გლობალ ფონდის პროექტი მუშაობას უახლოეს მომავალში არ დაიწყებს, ჩვენ მრავალი სხვადასხვა პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებით. □ ამ პროგრამის ამუშავებას ხელს გარკვეული ბიუროკრატიული მოთხოვნები უშლის, მაგ. ქართული კანონმდებლობის შესაბამისობა და მისი ადგილობრივ პირობებთან მისადაგების აუცილებლობა.

ტესტირება დღესაც კი ყველასათვის ხელმისაწვდომია. □ რსებობს ე.წ. □ რისკის ჯგუფების □ შემომნების სპეციალური პროგრამები. მრავალ ადამიანს უფასო ტესტირების საშუალება ეძლევა. თუ ტესტირების შედეგი დადებითია, ყველა მომდევნო პროცედურა (განმეორებითი ტესტირება, რეგისტრაცია, ავადმყოფობის სტადიის დადგენა და ა.შ.) ასევე უფასოა და სახელმწიფოს სახსრებით ხდება. რიგითი მოქალაქისთვის, რომელსაც სურს ტესტირება გაიაროს, გადასახადი დიდი არ არის - 5 აშშ დოლარის ექვივალენტი. ჯერ არ მსმენია, რომ ვინმეს ტესტირების ფასთან დაკავშირებით უკმაყოფილება გამოეთქვას. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ აივ ინფექცია/შიდსის მკურნალობა მხოლოდ საზოგადოებრივ დაწესებულებებში და, კერძოდ, ჩვენთან ხდება. □ ივ ინფექცია/შიდსის კერძო კლინიკაში მკურნალობის შესახებ არც კი მსმენია - ეს წრმოუდგენელიცაა. შეუძლებელია კერძო პრაქტიკოსებს ამ დაავადების სადიაგნოსტიკო საშუალებები გააჩნდეთ.

[...] ნარკოტიკების მომხმარებლები, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი რისკის ქვეშ იმყოფებიან. ნარკოტიკების გამოყენება ფსიქოლოგიურ ცვლილებებსაც იწვევს; ნარკოტიკების მომხმარებელი უმეტესწილად თავს არ უვლის, არ გადის ტესტირებას და ა.შ. თუმცა ზოგიერთი ამას აკეთებს კიდევც.

ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლის ყველაზე დიდი მაჩვენებლები სამეგრელოსა და თბილისშია - ეს რთული რეგიონებია. სამედიცინო პერსონალი, განსაკუთრებით ქირურგები, და რა თქმა უნდა ჩვენც, □ რისკის ჯგუფს □ განვეკუთნებით, რადგანაც აივ-პაციენტებთან უშუალო კონტაქტში ვიმყოფებით. არსებობს წესი, რომლის მიხედვითაც ქირურგმა ოპერაციას ხელი არ უნდა მოჰკიდოს, თუ მისთვის პაციენტის აივ სტატუსი და სხვა რამდენიმე პარამეტრიც (ფაქტორი) ცნობილი არაა (არ არსებობს რაიმე კანონი, რომელიც სავალდებულო ტესტირებას მოითხოვს, არსებობს მხოლოდ რეკომენდაცია, რომელსაც იშვიათად ასრულებენ).

რა თქმა უნდა, სახეზეა აივ-ით ინფიცირებულთა სტიგმატიზაციის პრობლემებიც. ჩვენი მხრიდან პრობლემები არ არსებობს (ანონიმურობა და კონფიდენციალურობაც სრულიად დაცულია), მაგრამ ხშირ შემთხვევებში, როგორც წესი, წყდება ურთიერთობა მეგობრებთან, მეზობლებთან და ა.შ. მთელ მსოფლიოში ასეა. ჩვენ ვაფრთხილებთ ჩვენს პაციენტებს გართულებების თავიდან ასაცილებლად საკუთარ სტატუსზე არ ილაპარაკონ.

ადრე, თუ ინფიცირებულ პირს ქირურგის ან სტომატოლოგის დახმარება დასჭირდებოდა, სამედიცინო პერსონალთან დაკავშირებით მას პრობლემები ექმნებოდა. აივ-პაციენტის მკურნალობაზე ექიმები ხშირად უარს ამბობდნენ. ამჟამად სიტუაცია გამოსწორდა; ხალხმა ბევრი რამ ისწავლა. წარსულში, როდესაც საავადმყოფოში ინფიცირებულ პირს აღმოაჩნდნენ, სამედიცინო პერსონალი მას საავადმყოფოს დაუყვონებლ დატოვებას სთხოვდა. დღეს ეს იშვიათად ხდება. სამედიცინო პერსონალმა იცის, რომ თუ უსაფრთხოების ზომები დაცულია, სამიში არაფერია. □

1.12.1 მედია აივ ინფექცია/შიდსის შესახებ

მთელ მსოფლიოში აივ ინფექცია/შიდსის შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში მასმედია დიდ როლს თამაშობს. ამ საკითხებში ადამიანების განათლების დონე მასმედიის აქტივობაზე დიდადაა დამოკიდებული. სამწუხაროდ, საქართველოში აივ/შიდს-თან დაკავშირებულ საკითხებზე მასმედია ნაკლებად რეაგირებს. მისი გაშუქება ეპიზოდურად ხდება და ძირითადად სენსაციურ ხასიათის ატარებს. შესაბამისად, მასმედიის ფუნქცია, ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას, გაანათლოს იგი და ჯანმრთელის ცხოვრების წესს პროპაგანდა გაუწიოს, იგნორირებული და/ან აუთვისებელია.

ორი განსხვავებული კულტურის თვალთახედვით, აივ-ისა და შიდს-ის საკითხების გაშუქებასთან

დაკავშირებით, დიდი ტირაჟის მქონე ჯურნალ-გაზეთების მონიტორინგი და ამავე დროს, (Goorwinet al., 2003, Goodwin et al., 2004) ტელე- და რადიო- საინფორმაციო პროგრამების შერჩევითი მონიტორინგი მოხდა. დეტალებში ჩალრმავების გარეშე უნდა ითქვას, რომ აივ/შიდს-ზე პუბლიკაციების პიკმა საქართველოში 1997-1998 წლებში მიაღწია. შემდგომ პერიოდში ასეთი მასალის რაოდენობა თანდათანობით კლებულობს და 2003 წლის 1 დეკემბერს (შიდსის საერთაშორისო დღე) სამმა ტელე- და ორმა რადიოარხმა აივ/შიდს-თან დაკავშირებული საკითხები საერთო არ გააშუქა. (თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1 დეკემბერი საპრეზიდენტო არჩევნების წინა დღე იყო და ქვეყანაში დაძაბული პოლიტიკული სიტუაცია სუფევდა). როგორც ჩანს, აივინფექცია და შიდსის მედიცინის პრიორიტეტულ საკითხებს აღარ წარმოადგენს, რაც, არსებული ეპიდემიოლოგიური ტენდენციების გათვალისწინებით, თავისთავად მეტად საგანგაშოა. ასევე არც პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ხელმძღვანელობა ინტერესდება საზოგადოების ამ პრობლემით და პრიორიტეტს სხვა უფრო მნიშვნელოვან პოლიტიკურ თუ სოციალურ მოვლენებს ანიჭებს; მედია პასიურია აივ ინფექციისა და შიდსის საკითხების მიმართ, არ ცდილობს საზოგადოებაში არსებულ ცრურწმენაზე ზემოქმედება მოახდინოს და არ სურს საზოგადოებაში აივინფექციის და შიდსის შესახებ ცოდნის დონის ამაღლების პროცესში თავისი წვლილი შეატანოს. გარდა ამისა, აივ/შიდს-ის საკითხების გაშუქება კომერციულ ინტერესებთან არ არის დაკავშირებული, ამიტომ მასმედიის ისეთი უმნიშვნელოვანესი ნყაროები, როგორც ტელევიზია და რადიო, აივ/შიდსის საკითხების გაშუქებას მომგებიანად არ მიიჩნევენ. და თუმცა აივ/შიდსი იმ საკითხების სიაშია, რომლებსაც ე.წ. სოციალური რეკლამის შეღავათები გააჩნია, ასეთი

სოციალური რეკლამები ტელევიზიით სამუშაო საათებში გადის, როდესაც მოსახლეობის უმრავლესობა ტელევიზორს არ უყურებს.

რეგიონალური მედია (პრესა და ტელევიზია) კიდევ უფრო ნაკლებად არის აივ/შიდსთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებით დაკავებული, რაცაშკარა ინფორმაციულ ასიმეტრიამ გამოიხატება. დედაქალაქისა და დიდი რეგიონალური ცენტრების მოცხოვრებლები მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებულნი არიან, მაშინ როცა, მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი აივ ინფექციის პრევენციის შესახებ ინფორმაციას პრაქტიკულად მოკლებულია. ეს კი რეგიონებში (სოფლებში) ინფორმაციულ ვაკუუმს ქმნის და აივ-ის რისკს შესაძლებლობას ზრდის.

უმეტეს შემთხვევაში, საინფორმაციო სისტემა, რომელიც სენსაციურ მასალაზე დაფუძნებული, მოსახლეობაში პანიკასა და შიშს ბადებს და აივ-ის მტარებელთა სტიგმასა და დისკრიმინაციას აძლიერებს. ყოფილა შემთხვევებიც, როდესაც მასმედიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით კონფიდენციალობა დაირღვა და აივ ინფექციის მტარებელი პიროვნება დასახელდა. (აივ/შიდსთან დაკავშირებული სიტუაციური ანალიზი საქართველოში, 2001

გთავაზობთ იმ ყველაზე საინტერესო ან ტიპიური პუბლიკაციების მოკლე მიმოხილვას, რომლებიც მონიტორინგის ორი პერიოდის განმავლობაში იქნა შენიშნული.

პირველ სტადიაზე, აივ/შიდს-თან დაკავშირებული საკითხების გაშუქების თავლსაზრისით, ორი ყოველდღიური გაზეთის ანალიზი გაკეთდა.

□ ალია □. 30 იანვარი, 1999, გვ. 8, 2000 სიტყვა

□ ეს ქართველი ნარკომანებისთვის საინტერესო უნდა იყოს □

სტატია უსახსრობის გამო ნარკომანთა მკურნალობასთან დაკავშირებულ არსებულ მძიმე მდგომარეობას განიხილავს. სხვა საკითხებთან ერთად, აივ-ის პროფილაქტიკის დაბალი დონეცაა ნახსენები.

□ ალია □, 23 დეკემბერი 1999, გვ. 12, 70 სიტყვა

□ ჟირინოვსკი: ბოროტი რუსი ჰაკერი □

ჟირინოვსკი სკანდალური რუსი ნაციონალისტი პოლიტიკოსია. როიტერის კითხვაზე თუ სად აპირებს საპარლამენტო არჩევნებში თავისი გამარჯვება დასავლელს (რუსული სლენგი, რაც რაიმე მოვლენის აღსანიშნავად დალევას ნიშნავს), იგი პასუხობს, რომ რუსები აღარ სვამენ, რომ რუსეთის საუკეთესო ჰაკერები ისეთი კომპიუტერული ვირუსის შექმნაზე მუშაობენ, რომელიც დასავლეთის კომპიუტერულ სისტემას მთლიანად გაანადგურებს, ხოლო დალევა, მონევა, ნარკომანია და შიდს-ი კი დასავლეთის ატრიბუტებია.

□ რეზონანსი □, 29 სექტემბერი, 1999 წელი, გვ. 8, 100 სიტყვა

□ ყოველი მესამე ქალი რუსეთში სიფილისითაა ინფიცირებული □

სტატისტიკური მონაცემები, გადმობეჭდილია □ The New York Times □-დან (უმუშევრობა, სექსუალური

გზით გადაცემული ინფექციები რუს ქალებში). სტატიის მიხედვით 27 000 რუსი ქალი ავიწიციცირებულა.

□რეზონანსი□, 17 ოქტომბერი, გვ. 4, 300 სიტყვა.

□მსოფლიოში ყოველ წუთს შიდსით 5 ადამიანი ინფიცირდება□

სტატიის მიხედვით, შიდსი კაცობრიობისათვის ბირთვული საფრთხის მერე №2 საფრთხეა. აივ-ის მტარებელთა მსოფლიო სტატისტიკასთან ერთად (ძირითადად აფრიკის შესახებ), ნათქვამია, რომ საქართველოში 102 აივ-ის მატარებელია რეგისტრირებული, სავარაუდო რაოდენობა კი 800-ია. სტატიაში ასევე ლაპარაკია: აივ-ის გადატანის გზებზე, პროფილაქტიკის დაბალ დონეზე, და რისკის გათვითცნობიერებულობის დაბალ დონეზე. ანტირეტროვირუსულ მკურნალობასთან (ARV treatment) დაკავშირებით სტატიაში ნათქვამია, რომ ოთხი აივ-ით ინფიცირებული ადამიანი საქართველოში სახელმწიფო პროგრამით მკურნალობს, ეს მკურნალობა მეტად ძვირი ჯდება (ერთ ადამიანზე წელნადში 15 000) და რომ სხვა აივ- ინფიცირებულთა სამკურნალოდ სახსრები არ არსებობს.

□რეზონანსი□ 25 ოქტომბერი, 1999 წლი, გვ.5, 1200 სიტყვა

□რატომ გაიძვრა ფესვები დილეტანტიზმმა (არაპროფესიონალიზმმა) მედიცინაში□

სტატია საქართველოში ჯანდაცვის დაბალ დონეს განიხილავს, რომელმაც საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ კიდევ უფრო დაბლა დაინია. სხვა საკითხებთან ერთად, ავტორი უკმაყოფილებას გამოთქვავს ისეთი შარლატანების გამოჩენაზე, რომლებიც უკურნებელი სნეულებების, მათ შორის შიდსისგან განკურნებასაც ჰპირდებიან ხალხს, რომელიც მათ ენდობა.

□რეზონანსი□, 11 ნოემბერი, 1999 წელი, გვ. 21, 200 სიტყვა

რუბრიკა □ვპასუხობთ მკითხველს□, პასუხში კითხვაზე □რა დაავადებები ვრცელდება სექსუალური გზით?□, აივ/შიდსი განხილული საკითხებიდან ერთ-ერთია.

□რეზონანსი□, 25 ნოემბერი, 1999 წელი, გვ.8, 350 სიტყვა

□მსოფლიოში შიდს-ით ინფიცირებული უკვე 50 მილიონი ადამიანია□, ქვესათაური:

□ყოფილ სსრკ-ში ინფიცირების ძირითადი გზა ნარკომანთა ნემსებია□

ამ სტატიაში მოცემულია გაეროსა (UN) და მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციის (World Health Organization) სტატისტიკური მონაცემები (BBC-ზე დაყრდნობით), რომლებიც მიუთითებენ, რომ ეპიდემია ჯერ კიდევ ვრცელდება, ძირითადად, განვითარებად ქვეყნებში და განსაკუთრებით – აფრიკაში. აქ ნათქვამია, რომ აფრიკაში ინფექციის გადატანის ძირითადი წყარო სექს- მუშაკებთან დაუცველი სექსია, მაშინ როცა ყოფილ საბჭოთა კავშირში ინექციური ნარკოტიკების გამოყენებაა დასახელებული. აქვე განხილულია ანტირეტროვირუსული მკურნალობის მედიკამენტები და ნათქვამია, რომ ისინი ჯერ კიდევ ძალიან ძვირია.

□რეზონანსი□ 27 ნოემბერი, 1999 წელი, გვ. 4, 40 სიტყვა

ლაპარაკია სომხურ მედიკამენტზე □არმენიკუმი□ და კერძოდ შიდს-ით ინფიცირებულ 24 ადამიანზე, რომლებიც სომხეთში სამკურნალოდ უკრაინიდან ჩავიდნენ. სტატიაში ნათქვამია, რომ შედეგები იმედის მომცემია.⁷

□რეზონანსი□ 1 დეკემბერი, 1999 წელი გვ.10, 159 სიტყვა

რუბრიკა □ვპასუხობთ მკითხველს□

კითხვა: □რა არის აივ/შიდს-ი, რატომ არის უკურნებელი და რამდენი ინფიცირებულია საქართველოში?□.

კითხვაზე დეტალური პასუხია გაცემული, ჩამოთვლილია გზებიც, რომელთა მეშვეობითაც აივ-ი არ ვრცელდება.

⁷მედიკამენტი □არმენიკუმი□ ანტირეტროვირუსულ აივ მედიკამენტად გამოცხადდა და მასზე მუშაობა სომხეთში □არმენიკუმ ცენტრში□ მიმდინარეობს. მუშაობა კლინიკური გამოცდის სტადიაზეა. სომხეთის ფარგლებს გარეთ ამ მედიკამენტის შესახებ ცოტა რამაა ცნობილი და მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციისა (World Health Organization) და UNAIDS-ის წარმომადგენლებიმა აღნიშნეს, რომ მათ □არმენიკუმზე□, როგორც აივ-ის ანტირეტროვირუსული მკურნალობის მედიკამენტზე ინფორმაცია არ გააჩნიათ.

□რეზონანსი□, 12 დეკემბერი, 1999, გვ.21 200 სიტყვა

რუბრიკა □რა არის უსაფრთხო სექსი?□ კითხვაზე დეტალური პასუხია გაცემული, ახსნილია პრეზერვატივის გამოყენების მათოდიც. ხაზგასმულია □შიდს-ის საფრთხე□ და დამატებითი ინფორმაციის მიღების მსურველთათვის მითითებულია ცხელი ხაზის ნომრები.

□რეზონანსი□ 29 დეკემბერი, 1999 წელი, გვ. 4-5, 600 სიტყვა

□ვინ ეწევა ნარკოტიკების პროპაგანდას?□ მოწინავე სტატია, რომელსაც □ნარკოტიკებისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიურო□ (შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტი)□ აწერს ხელს, მეტად აგრესიულად პასუხობს □რეზონანსის□ მიერ მანამდე გამოქვეყნებულ ნარკობიზნესთან დაკავშირებულ სტატიას. სტატია პოლიციელებს ნარკოდიდებთან გარიგებაში ამხელს და გაზეთს □ნარკოტიკების პროპაგანდაში□ სდებს ბრალს. სხვა საკითხებთან ერთად, სტატია შიდს-ის საფრთხეზე მიუთითებს, რომელიც თან სდევს ნარკომანიას.

პრესის მიერ აივ/შიდს-თან დაკავშირებული საკითხების გაშუქების შესწავლის მეორე სტადიაზე, გაანალიზებულ იქნა ერთი ყოველკვირეული გაზეთი და ორი ყოველკვირეული ახალგაზრდული ჟურნალი. პირველი სტადიისაგან განსხვავებით, ყურადღება არა მხოლოდ აივ/შიდს-ის ხსენებაზე გამახვილდა, არამედ მასთან დაკავშირებულ საკითხებზეც (სექსუალური გზით გადაცემული ინფექციები, ნარკოტიკები, უსაფრთხო სექსი და ა.ს.).

□კვირის პალიტრა□ (ყოველკვირეული გაზეთი) გვ. 2-8 06.03

□ჩუმი მკვლელი: როგორ დავიცვათ თავი ჰეპატიტისაგან□

სტატია ამერიკული მედიკამენტის, □სილიმარინი□ რეკლამაა. აქვე დეტალურად არის მოთხრობილი C ჰეპატიტის შესახებ, მისი აღმოჩენის ისტორია, გადაცემის გზები (რომელთაგან ერთ-ერთი სექსუალური გზაა), მასთან დაკავშირებული საფრთხე და ა.შ. აივ-ი, როგორც მაღალი რისკის ინფექცია, ერთხელ არის ნახსენები.

□კვირის პალიტრა□, გვ.10-16. 12. 2003

ფოტო (სათაური: უცხო ქვეყნები).

შერჩეულ ფოტოზე გამოსახულია ზამბიის პრეზიდენტი, რომელიც ზულუს აივ-ით ინფიცირებულ პრინცესას კოცნის რათა აჩვენოს, რომ კოცნა სახიფათო არ არის. ფოტო □შიდს-თან ბრძოლის ფონდისათვის□ 15 000 000 დოლარის გადაცემის ცერემონიაზეა გადაღებული. ფოტოს ახლავს წარწერა, რომ ზამბიაში ყოველი მე-5 ადამიანი აივ-ის მტარებელია..

□კვირის პალიტრა□, 30.06 □ 6.07.03

□შესაძლებელია რომ აივ-ით ინფიცირებულ დედას ჯანმრთელი შვილი ჰყავდეს?□

სტატია აივ-ით ინფიცირებული ფეხმძიმე ქალის კითხვას დეტალურად პასუხობს. დედიდან შვილზე გადაცემის (MTCT) გარდა, სტატიაში აღწერილია ჰეპატიტისა და ჰერპესის გადაცემის გზებიც. სტატიის ავტორი შიდს-ის ნაციონალური ცენტრის პრევენციის განყოფილების ხელმძღვანელია.

□კვირის პალიტრა□, გვ.15-21. 09. 03.

□ნარკოტიკები უკვე სუპერმარკეტში იყიდება□.

ქვესათაური: □სკოლის ბავშვები ნარკომანები ხდებიან□; □თბილისი ალბათ მალე "ნარკოტიკების ქალაქი" გახდება; "პირდაპირ ოპიუმზე გადასვლა მარიჟუანას სტადიის გამოტოვებით".

სტატია გვამცნობს, რომ კულინარიული მიზნებისათვის საქართველოში დიდი რაოდენობით ყაყაჩოს თესლი შემოიტანეს. საქმე ისაა, რომ თესლის ქიმიური დამუშავების შემდეგ ადვილად მიიღება იაფი ოპიუმი (5-ჯერ უფრო იაფი, ვიდრე უიაფესი მზა ოპიუმი). ჯურნალისტები და ნარკოტიკების მომხმარებელების თერაპევტები ყაყაჩოს თესლის აკრძალვისაკენ მოუწოდებენ. ისინი აცხადებენ, რომ ყაყაჩოს თესლის იმპორტირება, შესაძლოა, მაღალი თანამდებობის მქონე პირთა მფარველობით ხდებოდეს (ამ სტატიის გამოქვეყნებიდან მცირე დროში ყაყაჩოს თესლის გაყიდვა აიკრძალა).

□ულტრა□, (ახალგაზრდული გაზეთი) 12-18 08.03

□ვენერიული დაავადებების დისპანსერები სტერილობას საჭიროებენ□

ეს არის კანისა და ვენერიულ სნეულებათა ინსტიტუტის ხელმძღვანელთან ინტერვიუ, რომელმაც განაცხადა, რომ სქესობრივი გზით გადაცემული დაავადებების რიცხვი საქართველოში იზრდება. ინტერვიუში საუბარია სიფილისზე, ჰონორეასა და ქლამიდიოსზე; განხილულია დიაგნოსტიკის დარგში არსებული პრობლემები. ინტერვიუ ფსიქოლოგიურ პრობლემებსა და მკურნალობის მეთოდებსაც ეხება. აივინფექცია/შიდსი, როგორც უკურნებელი დაავადება, ორჯერ არის ნახსენები.

□სარკე□, (ახალგაზრდული ჟურნალი) 19 □ 25. 03 03

□საქართველოს სპეცსამსახურები ბიო-ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მზად არიან. შიდს-ი და კიბო ბიოლოგიური იარაღია?□

სტატიის დასწყისში ჟურნალისტი საუბრობს მსოფლიოში გავრცელებული ქორის შესახებ, თითქოს საიდუმლო ლაბორატორიებში (სსრკ, აშშ, ეარყი) ხელოვნური ვირუსები იქმნება; ლაპარაკია ბიოტერორიზმის საფრთხეზე. სტატიაში ნათქვამია, რომ ჯანდაცვის დანესებულებების ხელმძღვანელებს ბიოტერორიზმის შესახებ ტრენინგებს უტარებენ (ნახსენები არ არის, თუ ვინ ატარებს ამ ტრენინგებს). აივ/შიდსთან დაკავშირებით, სტატიას მათი წყაროების და აღმოჩენისა და გავრცელების ჰიპოთეზები მოჰყავს. კერძოდ, სტატიაში გამოთქმული ჰიპოთეზის მიხედვით აივ-ის სამშობლო აფრიკაა, საიდანაც იგი □იმპორტირებული იაფი სისხლის□ მეშვეობით აშშ-ში გავრცელდა. სტატია არ ემხრობა აივ-ის ლაბორატორიაში შექმნის ვარაუდს.

□სარკე□. 9-15. 04.03

□ჩვენ მუდმივად ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ ვიმყოფებით, 5 საათში ერთხელ ახალ კლიენტს ვემსახურებით□.

სტატია ტრეფიკინგის პრობლემებს ეძღვნება. რამდენიმე ისტორიასთან ერთად 18 წლის ქართველი გოგონას ამბავიცაა მოთხრობილი. იგი აშშ-ში სასწავლებლად გაემგზავრა, მაგრამ ბორდელში მუშაობა აიძულეს და კოკაინისა და მარიჰუანას მოხმარებას მიაჩვიეს.

□სარკე□, 18-24. 06. 03.

□სექსი შიშის გარეშე□

ეს სტატია პრეზერვატივების მწარმოებელი ფრანგული კომპანია „ინოტექის“ ე.წ. „რაციონალური“ რეკლამაა. სტატიის ძირითადი თემა აივ ინფექცია/შიდსი (ვენერიული დაავადებები ზოგადად არის ნახსენები) მისი საშიშროება, აივ-ის გადაცემის გზები და უფრო უსაფრთხო სექსის აუცილებლობაა. ამ კომპანიის ლოზუნგია □სიყვარული რომანტიულია, დაავადება □ არა!□ აქ ნათქვამია, რომ თუმცა პრეზერვატივი უსაფრთხო სექსის ყველაზე ხელმისაწვდომი საშუალებაა, იგი 100%-იან გარანტიას არ იძლევა; აქვე საუბარია იმაზეც, თუ რა შემთხვევებში არ გადადის აივ-ი. ჟურნალის გვერდზე მიმაგრებულია □ინოტექის□ პრეზერვატივი .

ზემოთ მოყვანილ სტატიებში ხშირადაა გამოყენებული სენსაციური ენა და აივ-ი და შიდს-ი ერთმანეთშია არეული.

1.13 რელიგია

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას მიეკუთვნება. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეკლესიის გავლენა მეტად გაიზარდა და გამოკითხვების (მაგ. ნიჟარაძე და სხვები, 2004) შედეგად ჩანს, რომ დღეს საქართველოში იგი მარავალი საზოგადოებრივი დანესებულების ნდობით სარგებლობს. ეკლესიაში სიარული, რიტუალების შესრულება და რელიგიურობის გამოხატვა □კარგ ტონად□ იქცა ახალგაზრდობისათვის და საერთოდ მთელი საზოგადოებისათვის.

ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის იდეოლოგია საკმაოდ კონსერვატიულია; ლიბერალიზმი, ფემინიზმი და სხვა თანამედროვე მიმართულებანი ეკლესიის მხრიდან მუდმივ წინააღმდეგობას ხვდებიან. ეკლესიის წინააღმდეგობის გამო, სასკოლო პროგრამაში სექსუალური განათლების კურსის შეტანაც ჯერ ვერ მოხერხდა. ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას აივ-თან და შიდს-თან დაკავშირებით აზრი ოფიციალურად ჯერ არ გამოუთქვამს, თუმცა ტელევიზიით გამოსვლებსა და ქადაგებებში ეკლესიის მასხურნი მუდმივად იმეორებენ, რომ აივ-ით და შიდს-ით ადამიანი ცოდვების გამო, კერძოდ, ქორწინებამდე და ქორწინების გარეშე სექსუალური კონტაქტების გამო ისჯება. საკუთარი დოგმებიდან გამომდინარე, ეკლესია უსაფრთხო სექსის პრინციპებს მხარს ვერ დაუჭერს. მაგრამ შეიძლება მოხდეს ისეც, რომ ეკლესიის სწავლებამ მორწმუნეთა ქცევაზე ზეგავლენა ყოველთვის ვერ მოახდინოს და მათ ერთზე მეტი სექსუალური პარტნიორი იყოლიონ. ყოველ შემთხვევაში, მეცნიერულ მონაცემზე დაყრდნობილი აივ-ის პრევენციული საქმიანობის დაგეგმვისას ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის თანადგომის იმედი არ უნდა გვქონდეს.

ნაწილი II. ინსტიტუციური შეფასება

II.1 აივ-ინფექციაზე ტესტირება და სკრინინგი

აივ-ინფექციაზე კვლევის პირველი ლაბორატორია 1986 წელს გაიხსნა. დღეს ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში აივ-სადიაგნოსტიკო 60 ლაბორატორიაა. ყველა მათგანი აივ ტესტირებას და სისხლის სკრინინგს ნებაყოფლობით აწარმოებს.

ვესტერნ ბლოტისა (Western Blot) და PCR მეთოდით დიაგნოზის დამოწმება თბილისის ინფექციურ დაავადებათა, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის კვლევითი ცენტრის სეროლოგიისა და ვიროლოგიის შესამოწმებელ ლაბორატორიაში ხდება. საქართველოში აივ-ტესტირებას ნებაყოფლობით წელნადში დაახლოებით 18-20 000 ადამიანი გადის -- პირველ რიგში ესენი აივ-ის რისკის ქვეშ მყოფი მოსახლების წარმომადგენლები არიან. ამასთან ერთად, ნაციონალური პროგრამით "უსაფრთხო სისხლი" დაახლოებით 28 000 სისხლის დონორის აუცილებელი ტესტირება ხდება. სისხლის უსაფრთხოების ნაციონალური პროგრამა 1997 წლიდან მუშაობს და ჩაბარებული სისხლს ამ პროგრამით აივ- ინფექციაზე, B და C ჰეპატიტზე და სიფილისზე მონმდება. შეზღუდული ფინანსირების გამო პროგრამა სისხლის დონორების 80%-ს ემსახურება, თუმცა გლობალ ფონდის პროგრამის "დავამარცხოთ შიდს-ი, ტუბერკულოზი და მალარია" წყალობით (Global Fund to fight AIDS, TB and Malaria (GFATM) project) ეს რიცხვი ნელ-ნელა იზრდება. აივ-ინფექციაზე ტესტირება სრულიად კონფიდენციალური და ანონიმურია და არსებული აივ-ინფექციის დიაგნოსტიკის ლაბორატორიებიდან 5 მათგანი ნებაყოფლობით (კონფიდენციალურ) კონსულტაციასა და ტესტირებას (VCT) აწარმოებს. მომავალ წელს გლობალ ფონდის პროექტის ფარგლებში (Global Fund to fight AIDS, TB and Malaria (GFATM) project) ნებაყოფლობითი კონსულტაციისა და ტესტირების ცენტრების რაოდენობა 35-40-მდე გაიზრდება. იგივე პროექტის ხელშეწყობით მაღალი რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობისათვის (ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები, კომერციული სექს-მუშაკები, კაცებთან სექსის მქონე კაცები და ახალგაზრდობა) ნებაყოფლობითი კონსულტაციისა და ტესტირების სპეციალიზირებული ცენტრები გაიხსნება.

დღესდღეობით, ჯანდაცვის სისტემას არ გააჩნია ინფრასტრუქტურა და რესურსები, რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობისა და აივის მიმართ დაუცველი სხვა ჯგუფების (ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები, კომერციული სექს-მუშაკები, კაცებთან სექსის მქონე კაცები და ახალგაზრდობა) სპეციალური მოთხოვნები რომ დააკმაყოფილოს. ისეთი დანესებულებები, რომლებიც სტიგმის ზენოლის გარეშე მოქმედებენ და ამ ჯგუფებს თავაზიანად, მათთვის მეგობრულ და კონფიდენციალურ გარემოში ხარისხიანად ემსახურებიან, მეტად მცირეა. ისინი, 3-4 წლის წინ, სხვადასხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების, მათ შორის, USAID-ის და "ექიმები საზღვრების გარეშე" (and Doctors without Borders (საბერძნეთი) შემწეობით გაიხსნა. ჯერჯერობით, ეს ცენტრები ქალაქებშია განლაგებული მაგრამ თავის სამსახურს სოფლებსაც სთავაზობენ. ეს დანესებულებები ნებაყოფლობითი კონსულტაციის და ტესტირების სამსახურს, უფასო დიაგნოსტიკასა და მკურნალობას ე.წ. "ჯანმრთელობის კაბინეტში" უზრუნველყოფენ. დღეს საქართველოში ორი "ჯანმრთელობის კაბინეტი" ფუნქციონირებს მაგრამ (GFATM project) გლობალ ფონდის პროექტის მხარდაჭერით მათი რიცხვი ქვეყანაში 5-მდე გაიზრდება. გლობალ ფონდის იგივე პროექტის ფარგლებში ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებისათვის ნებაყოფლობითი კონსულტაციისა და ტესტირების სპეციალიზირებული მომსახურების, ნემსის გაცვლითა და მეტადონით მკურნალობის ცენტრები გაიხსნება. ეს პროექტი, აგრეთვე, იძულებით გადაადგილებული პირებისა და ახალგაზრდობის საჭიროებებზეა მიმართული და მათ ნებაყოფლობითი კონსულტაციისა და ტესტირების მომსახურებით, ასეთი ახალგაზრდული ცენტრების შექმნით, თანატოლთა ურთიერთგანათლების პროგრამების განხორციელებითა და პროგრამის "ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება" მეშვეობით სკოლებში აივ/შიდს-თან დაკავშირებული განათლებით უზრუნველყოფს.

არასამთავრობო სექტორისაგან განსხვავებით, სახელმწიფო მომსახურების მრავალი დანესებულება ასეთი მოსახლეობის მიმართ ტენდენციურია და მათ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას იძულების წესით ეწევა. გარდა ამისა, ფინანსების სიმცირის ასეთი მომსახურება ფასიანია. დისკრიმინაციასა და სტიგმასთან ერთად, მკურნალობის ღირებულებაც ასევე ის მნიშვნელოვანი საკითხია, რომელს გამოც მარგინალიზირებული ჯგუფები ჯანდაცვის დანესებულებებს ვერ მიმართავენ და მკურნალობის სხვა საშუალებებს ეძებენ.

საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა არა მხოლოდ აივ-ის "მაღალი რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფების" პრობლემაა, დღეს მის წინაშე საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დგას და თვით მოსახლეობა ამის ძირითად მიზეზად მკურნალობის საფასურს ასახელებს. ჯიბიდან გადახდის მეთოდი და მაღალი ფასები მოქალაქეებს აიძულებს სამედიცინო კლინიკებს გვერდი აუარონ. ქართველები, ხშირად, უფასო ან შეღავათიანი მომსახურებისათვის, სამკურნალოდ ნათესავ ან

მეგობარ მკურნალ ექიმებსა და სტომატოლოგებს მიმართავენ. ბევრი მათგანი მედიკამენტების შესახებ კონსულტაციას აფთიაქებში გადის, მით უმეტეს, რომ წამლის საყიდლად ექიმის რეცეპტი საჭირო აღარ არის. თვითმკურნალობა ჩვეულებრივი მოვლენაა საქართველოში.

ჯანმრთელობა ქართველებისათვის ნაკლებად პრიორიტეტულია. შეზღუდული შემოსაღების გამო ისინი ექიმს არ მიმართავენ, ვიდრე ავადმყოფობა სერიოზულ შედეგებს არ გამოიღებს. მათ, რა თქმა უნდა, შესანიშნავად იციან, რომ დაგვიანებული მკურნალობა მეტ თანხებს მოითხოვს და გამოჯანმრთელების გარანტიაც ნაკლებია, მაგრამ თავს უფლებას არ აძლევენ ფული ჯანმრთელობაზე დახარჯონ, როდესაც ოჯახში სხვა მოთხოვნილებებია დასაკმაყოფილებელი.

საქართველოში რეგისტრირებული აივ-ინფიცირებულთა დაახლოებით 90-95% უმუშევარი და უკიდურესად გაჭირვებულია (შიდს-ის ნაციონალური ცენტრი). მათი საჭიროებები მხოლოდ აივ/შიდსის მკურნალობითა და მზრუნველობით არ შემოიფარგლება. მათთვის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის აღმოჩენა მეტად მნიშვნელოვანია. აივ-ის მატარებლები უფრო და უფრო ორგანიზებულად იცავენ საკუთარ უფლებებს და მაღალხარისხოვან მკურნალობასა და მზრუნველობას მოითხოვენ. მათი მოთხოვნილებების დიდი ნაწილი და მათ შორის მაღალაქტიური ანტირეტროვირუსული მკურნალობა, სრულად ან ნაწილობრივ, ნაციონალური პროგრამისა და გლობალ ფონდის პროექტის (GFATM) მხარდაჭერით დაკმაყოფილდება. ამჟამად, მაღალაქტიური ანტირეტროვირუსული მკურნალობა უფასო მხოლოდ აივ-ით ინფიცირებულ იმ პირებისთვისაა, ვისაც შიდს-ი განუვითარდა. დღეს, ვიდრე ასეთი მომსახურება ყველა აივ-ის მატარებლისათვის ხელმისაწვდომი გახდება, 4 პაციენტი მკურნალობას სახელმწიფოს შემწევობით გადის, ხოლო 22 კი ანტირეტროვირუსული მედიკამენტების საფასურს თვითონ ფარავს. ანტირეტროვირუსული მკურნალობა მხოლოდ ჯანდაცვის სპეციალიზირებულ დაწესებულებებშია შესაძლებელი □ შიდსის ცენტრში და შიდსის სამკურნალო ორ რეგიონალურ ცენტრში აჭარასა და სამეგრელოში.

სოციალური მხარდაჭერისა და მზრუნველობის, მათ შორის პალიატიური მზრუნველობის ნაკლებობა მეტად შემაშფოთებელია. პალიატიური მზრუნველობის ფუნქციას შიდსით დაავადებული მომაკვდავი ავადმყოფის ოჯახი იღებს თავისთავზე, რაც ყველაზე მეტად ოჯახის მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს აწვება ტვირთად, რადგანაც საქართველოში მზრუნველები (მომვლენები) ძირითადად ქალები არიან.

იმის გამო, რომ ძვირადღირებული ანტირეტროვირუსული მკურნალობა საქართველოს აივ-ით ინფიცირებული მოსახლეობის უმრავლესობისათვის ხელმისაწვდომელია, სწორია სხვადასხვა არატრადიციული მკურნალობის შემთხვევები (მათ შორის ექიმბაშებთან კონსულტაციები). 2002 წელს საქართველოს ერთ-ერთმა პოპულარულმა ჟურნალმა გამოაქვეყნა ინტერვიუ აივ-ით ინფიცირებულ ქართველ მამაკაცთან, რომელიც ამტკიცებდა, რომ შიდს-ისგან განკურნება იოგის მეშვეობით მოახერხა. მიუხედავად იმისა, რომ ექიმბაშების განცხადებები მრავლადაა ქართულ მედიაში, ერთი თვის მანძილზე აივ/შიდს-ის მკურნალობასთან დაკავშირებით ვერაფერი აღმოვაჩინეთ.

II.2 პრევენცია და მხარდაჭერა

1996 წლამდე შიდსის პრევენციაზე საქართველოში ერთადერთი სპეციალიზირებული სამთავრობო დაწესებულება, კერძოდ შიდსის ნაციონალური ცენტრი და მისი ფილიალები მუშაობდა. 1997 წელს გაერო-ს ბავშვთა ფონდის (UNICEF) საქმეში ჩართვის შემდეგ მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. გაერო-ს ბავშვთა ფონდმა (UNICEF), გაერო-ს აივ/შიდს-ის გაერთიანებული პროგრამის (UNAIDS) თემატური ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად (გაერო-ს განვითარების პროგრამა, გაერო-ს მოსახლეობის ფონდი, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი და ა.შ. (UNDP, UNFPA, WHO, WB)) საქართველოში აივ ინფექცია/შიდსთან დაკავშირებით სტრატეგიული ეროვნული დაგეგმარება უზრუნველყო. ამაში შედიოდა აივ/შიდსზე სიტუაციური და საპასუხო ქმედებების ანალიზი, რომელიც 2002 წელს დასრულდა და აივ/შიდსთან ბრძოლის 2003 □ 2007 წლების სტრატეგიული ეროვნული გეგმის შემდგომი შემუშავება დაიწყო (UNICEF Georgia, 2004). (პირადი საუბარი ქალბატონ მარიამ ჯაშთან, პროგრამის ხელმძღვანელი, გაეროს ბავშვთა ფონდი).

გაეროს ბავშვთა ფონდმა საქართველოში აივ/შიდსთან დაკავშირებული პრობლემების აღიარების საქმეში ყინული გააღწეო და ეპიდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად საერთაშორისო დონორებისა და ადგილობრივი მთავრობის უფრო ფართომასშტაბიან ჩარევას დაუჭირა მხარი.

ამ გეგმაზე დაყრდნობით გლობალ ფონდის პროექტში □დავამარცხოთ შიდს-ი, ტუბერკულოზი და მალარია□ (GFATM) მონაწილეობისათვის განაცხადი გაკეთდა, რომელიც ხუთი წლის ვადით (2004-2008) 12 000000 აშშ დოლარით დაფინანსდა. აივ/შიდსის საკითხებთან დაკავშირებით ეს ყველაზე მნიშვნელოვანი დახმარებაა, რომელიც კი ოდესმე საქართველოს გარედან მიუღია. გლობალ ფონდის პროგრამის □დავამარცხოთ შიდსი, ტუბერკულოზი და მალარია□ (GFATM) ასეთი დახმარება სამჯერ აღემატება სახსრებს, რომლებიც საქართველოს მთავრობას შეუძლია გამოყოს .მსგავსი პროგრამებისათვის

ინტერვიუ ქალბატონ მარიამ ჯაშთან, (წანდაცვის პროგრამებზე პასუხისმგებელი) და ქალბატონ მაია ქურციკიძესთან (კომუნიკაციის პროგრამებზე პასუხისმგებელი, გაეროს ბავშვთა ფონდი)

მიუხედავად აივ-ის გავრცელების დაბალი მაჩვენებლისა, საქართველო ეპიდემიის გავრცელების მაღალი პოტენციური რისკის მქონე ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება. ქვეყანა იმ სტადიაში იმყოფება, როდესაც მთავრობის ხანგრძლივი ვალდებულებებით, ხელმისაწვდომი ფინანსური და ტექნიკური რესურსებითა და გაერო-ს სააგენტოების საქმიანობის ფექტური კოორდინირებით აივ-ინფექციის გავრცელებაზე კონტროლი ჯერ კიდევ შესაძლებელია და ამის ხელიდან არ უნდა გავუშვათ.

რამდენად ემუქრება აივ/შიდსი საქართველოს მოსახლეობას? რისკის ქვეშ ვინ იმყოფება?

შემთხვევების რაოდენობა, თუმცა ჯერ კიდევ დიდი არ არის, მაგრამ იზრდება. იმ ქვეყნებმაც, მაგ. უკრაინამ და რუსეთმა, რომლებისთვისაც დღეს აივ/შიდსი მთავარი პრობლემაა, იგივე სტადია გაიარეს: ყურადღება არ მიექცა შემთხვევათა დაბალ აბსოლუტურ რიცხვს. მოსახლეობისათვის როდესაც პრობლემა აშკარა ხდება, მისი აღმოფხვრა ან უკვე ძალიან გვიანაა, ან ეს მეტად ძვირი ჯდება ზოგჯერ კი ორივე ერთად. ამრიგად, თუმცა საქართველოში აივ/შიდსის რეგისტრირებული შემთხვევების რიცხვი შედარებით დაბალია, არ შეიძლება ფართომასშტაბიანი ეპიდემიის პოტენციალის უგულვებელყოფა, რაც ამ რეგიონის სხვა ქვეყნებში მოხდა. ინფიცირების ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ 31-40 და 21-30 წლამდე ახალგაზრდა მამაკაცები იმყოფებიან. აივ-ის მატარებელთა უმრავლესობა (70%) ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები, უმეტესწილად მამაკაცები არიან. სამუშაო ძალის მიგრაციაც განსაკუთრებით დსთ-ს იმ ქვეყნებში სადაც დიდი ეპიდემიაა, ყურადსაღები ფაქტია.

აივ/შიდსთან დაკავშირებით რა საქმიანობა და პროგრამები არსებობს ქვეყანაში?

მიუხედავად გავრცელების დაბალი მაჩვენებლისა, საქართველოს მთავრობამ ჯერ კიდევ 1990წელს აივ/შიდს-ის სახელმწიფო პროგრამების დაარსებით აივ/შიდს-ს პრიორიტეტი მიანიჭა. სახელმწიფო პროგრამა მიზნად ისახავს აივ/შიდს-ის ყველა კომპონენტის პრევენციას, ყველა პაციენტზე მზრუნველობასა და მათ მკურნალობას. მთავარი ამოცანა შიდსით დაავადებულთა მაღალაქტიური ანტირეტროვირუსული მკურნალობის 100%-იანი გადაფარვაა, რაც 200[5] წლისთვის (გლობალ ფონდის მეშვეობით) უნდა გადაწყდეს.

1999 წლიდან ამ ეროვნულ მცდელობას განვითარების საერთაშორისო პარტნიორები და არასამთავრობო ორგანიზაციებიც შეუერთდნენ, რათა პროპაგანდის, საზოგადოების გათვითცნობიერებულობის ასამაღლებელი კამპანიების (შიდსის მსოფლიოდღე, შიდსის მსხვერპლთა მსოფლიოდღე), ნებაყოფლობითი (კონფიდენციალური) კონსულტაციებისა და ტესტირების მეშვეობით, განსაკუთრებული რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის ჯგუფებისათვის დახმარების პროგრამები გააძლიერონ და აივ-ის მატარებელი პირები აივ/შიდსის წინააღმდეგ საყოველთაო ეროვნულ ბრძოლაში ჩართონ. ქვეყანაში აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის გაძლიერების მცთელობაში ნათლად ჩანს გაერო-ს თემატური ჯგუფის საქმიანობა, რომელსაც იგი გაერო-ს ბავშვთა ფონდის მეშვეობით ეწევა. კერძოდ:

2002 წლიდან გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოში აივ/შიდს-თან დაკავშირებულ სტრატეგიული ეროვნული დაგეგმარების მხარდაჭერ პროცესს ხელმძღვანელობს. ფოკუსში გაერო-ს საერთაშორისო სააგენტოების პარტნიორობა მოექცა აივ/შიდსთან დაკავშირებით არსებული სიტუაციის ანალიზისა და სტრატეგიული ეროვნული გეგმის (2003-2007 ჩამოსაყალიბებლად). გაერო-ს ბავშვთა ფონდის საქართველოს ოფისი ქვეყნის საკოორდინაციო მაქანიზმისა (CCM) და გაეროს თემატური ჯგუფის (UNTG) წევრი ორგანიზაციების საკვანძო პარტნიორია გლობალ ფონდის (GFATM) პროექტის განაცხადის შემუშავებაში. ამ ხანგრძლივ მცდელობათა შედეგად კი აივ/შიდს-ის კომპონენტებზე გაკეთებული ქვეყნის განაცხადი დადებითად შეფასდა იყო და გამოიყო თანხა, 12 126 564 აშშ დოლარი, აივ/შიდსის 5 წლიანი ეროვნული გეგმის ხარვეზების ამოსავლებად.

გაეროს ბავშვთა ფონდი აქტიურად არის ჩართული აივ/შიდსისზე მოსახლეობის ცოდნის დონის ამაღლების პროგრამაში (2003 წელს გამართული აივ/შიდსთან დაკავშირებული ბავშვთა ჩემპიონატი ფახზურთში, ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა ურთიერთგანათლების პროგრამა, ქუჩის აქციები, IEC მასალების შემუშავება და სხვ.)

გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლები საქართველოში აივ/შიდსის პროგრამების განხორციელებას დადებითად აფასებენ. 2003-2007 წლების სტრატეგიული ეროვნული გეგმის მოქმედების 8 პრიორიტეტული სფერო ჩამოყალიბდა (1. პროპაგანდა; 2. ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებში აივ-ის პრევენცია; 3. სექს-ბიზნესის მუშაკებში აივ-ის პრევენცია; 4. ახალგაზრდებში აივ-ის პრევენცია; 5. დედიდან შვილზე გადაცემის პრევენცია; 6. უსაფრთხო სისხლი; 7. აივ ინფიცირებულთა მკურნალობა და მზრუნველობა; 8. სამედიცინო გზით მიღებული აივ-ის პრევენცია. ამრიგად,

სტრატეგიულ ჩარჩოებში ჩამოყალიბებული სფეროები და საქმიანობა საქართველოს მოსახლეობის საჭიროებებს უშუალოდ პასუხობენ. გასულ წელს გლობალ ფონდის შემწევობით ქვეყანას დაგეგმილი ინიციატივების რეალობად ქცევის უნიკალური შესაძლებლობა მიეცა. მომავალშიც, გაერო მხარს დაუჭერს ეროვნულ პარტნიორებს (შიდს-ის ეროვნულ ცენტრს, საქართველოს ბავშვთა ფედერაციას, საქართველო+ჯგუფს, და ა.შ.), რათა მათ 2003-2007 წლის სამოქმედო გეგმა ისე გადაახალისონ, რომ პროგრამის თანამედროვე პრიორიტეტები შეინარჩუნონ და ეროვნული პროგრამა ქვეყანაში არსებული სიტუაციის დინამიკას მიუსადაგონ.

ახალგაზრდების გათვითცნობიერებულობის ამაღლების პროგრამა, რომელშიც ჩაერთვებიან გამოჩენილი ადამიანები და მედია აივ/შიდს-თან დაკავშირებულ კამპანიებს გამართავს; აქცენტი აივ-ის მატარებელთა მიმართ დისკრიმინაციისა და სტიგმის აღმომფხვრელ მცდელობებზე; აივ-ის მატარებელთა უფლებებისა და მოთხოვნილებების პროპაგანდა, აქცენტით აქტიური ანტირეტროვირუსული მკურნალობის თანაბარ ხელმისაწვდომობაზე.

ქვეყანაში აივ-ის პრევენციისათან დაკავშირებულ საქმიანობაში გაერო-სთან ერთად რამდენიმე საერთაშორისო და ორმხრივი ორგანიზაციაც არის ჩართული. 2002-2004 წლებიდან, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) 1.5 აშშ მილიონი დოლარის ოდენობის სუბსიდია უზრუნველყო თბილისსა და აჭარაში ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებსა და სექს-ბიზნესის მუშაკებში აივ-ის პრევენციისათვის. რეგიონები აივ-ინფექციის გავრცელების უკანასკნელი მონაცემების მიხედვით შეირჩა. გარდა ამისა, ეს ის რეგიონებია სადაც საქართველოს უმთავრესი პორტები მდებარეობს. პროექტი, რომელსაც საერთაშორისო ფედერაცია გადავარჩინოთ ბავშვები და მისი ადგილობრივი პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციები თანადგომა და ბემონი ანხორციელებენ, კონკრეტულ ადგილებში ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა და სექს-ბიზნესის მუშაკთათვის დახმარებას, აივ/სექსუალური გზით გადაცემულ ინფექციებთან დაკავშირებულ კონსულტაციებს, ამ დაავადებების მაღალხარისხიან ტესტირებას, დაიგნოსტიკასა და მკურნალობას უზრუნველყოფს. პროექტის ფარგლებში 2002 წელს ამ ორ ძირითად ჯგუფში სარისკო ქცევის გავრცელების შესაფასებლად ქცევებისა და ბიომარკერული კვლევა (Behaviour and Biomarker Survey (BBS)) ჩატარდა. შემდგომი კვლევა, რომლის მიზანიც პრევენციული ზომების ეფექტურობის შეფასებაა 2004 წლის ბოლოს იგეგმება. თანადგომა და ბემონი მოსახლეობის ორ პრობლემურ სამიზნე ჯგუფში ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები და სექს-ბიზნესის მუშაკები - აივ-ის პრევენციის ზომების ეფექტურობის გაძლიერებას სოციალურ-კულტურული მიდგომის გზით ცდილობს.

ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაცია თანადგომის ღირეძტორთან, ქალბატონ ქეთევან ჭელიძესთან

თანადგომა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია აივ-ის რეგულაციისა და მენეჯმენტის საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ჩვენი მთავარი ამოცანა მოსახლეობის ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის გაუმჯობესებაა. დღეს, ჩვენ რეპროდუქციული ჯანმრთელობის პროგრამებს ვანხორციელებთ. ამ პროგრამების ფარგლებში, ჩვენი მიზანი აივ-ისა და სექსუალური გზით გადაცემულ ინფექციათა გავრცელების თავიდან აცილება, ამ სნეულებებით დაავადებულ პაციენტთა ფსიქოლოგიური და სამედიცინო დახმარება და აბორტების რაოდენობის შემცირებაა. ჩვენი ორგანიზაციის სამსახურებია:

უფასო და კონფიდენციალური კონსულტაციები სექსუალური გზით გადაცემული ავადმყოფობების, აივ/შიდს-ის, კონტრაცეპტივების, სექსუალური კავშირების, აბორტებისა და სხვ. შესახებ

კონსულტაცია ტელეფონით ცხელი ხაზი

მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებთან საგანმანათლებლო სახის შეხვედრები ადგილზე.

ჩვენი ძირითდი სამიზნე ჯგუფი ახალგაზრდობაა სკოლის მოსწავლეები და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სტუდენტები მოსახლეობის სექსუალურად აქტიური ფენა. ასევე, მაღალი რისკის ჯგუფებთან (კომერციული სექს-მუშაკები, მამაკაცებთან სექსის მქონე მამაკაცები, ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები ციხეში) დარგობრივ მუშაობასაც ვწევით. ჩვენი ორგანიზაცია თბილისში და რეგიონებშიც მუშაობს. მინდა გამოვყო ჩვენი ოფისის მუშაობა ბათუმში, აჭარაში. ოფისმა ფუნქციონირება აივ-ისა და სექსუალური გზით გადაცემული ინფექციების პრევენციის პროექტის ფარგლებში დაიწყო. ეს პროექტი საერთაშორისო ორგანიზაციის გადავარჩინოთ ბავშვები და ადგილობრივი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ხორციელდება.

აივ-ის პრევენციასთან დაკავშირებული ჩვენი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საქართველოში რამდენიმე კონკრეტული ფაქტორია, რომელიც ამ დაავადებათა გავრცელებაზე ზემოქმედებს. ზოგი მათგანი ხელს უშლის, ზოგი კი, პირიქით, ხელს უწყობს აივ-ის გავრცელებას. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში სექსუალური ურთიერთობები, ტრადიციულად, ისეთი თავისუფალი არაა, როგორც დასავლეთში. შესაბამისად, ახალგაზრდები, განსაკუთრებით კი გოგონები, სექსუალურ კავშირებს იშვიათად ამყარებენ. ამავე დროს, ჩვენს საზოგადოებაში გარკვეული მორალური პრინციპები მოქმედებს, რაც საზოგადოებას ხელს უშლის ასეთ საკითხებზე სათანადო განათლება და დროული ინფორმაცია მიიღოს. სექსუალური გზით გადაცემულ ინფექციებზე ინფორმაციის უზრუნველყოფა სექსუალური აქტივობის დაწყებით სტადიაზე, ანუ საყმანვილო ასაკში უნდა ხდებოდეს. მოზარდს, როდესაც იგი სექსუალური აქტივობის ასაკს მიაღწევს, სექსუალური ურთიერთობებისა და სექსუალური ქცევის ნომებზე ზუსტი ინფორმაცია უნდა გააჩნდეს. სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში ზოგიერთი რელიგიური და პოლიტიკური ორგანიზაცია ეწინააღმდეგება სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებს მსგავსი პროგრამების შეტანას. ეს თემა ხშირად პოლემიკის საგანია. ზემოხსენებული ორგანიზაციების აზრით ეს პროგრამები დასავლეთიდანაა შემოტანილი და მიზნად ქართული საზოგადოების დემორალიზებას ისახავენ. ეს კი ტაბუს ადებს მოცემულ საკითხებს და პრევენციულ ქმედებებს უშლის ხელს.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეს აივ-ის გავრცელების წინააღმდეგ მიმართულ ახსნა-განმარტებით საქმიანობაში არც მასმედიაა ჯეროვნად ჩართული. ინფორმაცია არა მხოლოდ ახალგაზრდებს, არამედ მოზრდილებსაც აკლიათ. ჩვენი მოსახლეობა აივ-ის საფრთხეს საქართველოში სრულად ვერ აცნობიერებს. ინფიცირებულ ადამიანთა მცირე რაოდენობა დანარჩენ მოსახლეობას აფიქრებინებს, რომ აივ-ი რეალურ პრობლემას არ წარმოადგენს და იგი საზოგადოებას არაფრით ემუქრება. საქართველოში დღეს იმდენი სოციალური პრობლემაა, რომ მოსახლეობა და მთავრობაც ჯერჯერობით უფრო მათი გადაჭრითაა დაინტერესებული. სწორედ ამიტომ, აუცილებელია, საზოგადოების გათვითცნობიერებულობის ასამაღლებლად, მედიის მეშვეობით, უფრო ინტენსიური და ეფექტური საგანმანათლებლო კამპანია ვანარმოთ.

პრევენციული სამუშაო, რომელიც პრობლემურ მოსახლეობასთან ტარდება საკმარისად ინტენსიური არაა. კომერციული სექსის მუშაკებისა და ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა ქცევის შეცვლისაკენ მიმართული პროგრამების რაოდენობა მცირეა. არ არსებობს რაიმე პროგრამა, რომელიც [სექს-ბიზნესის მუშაკებს თავიანთი საქმიანობის შეწყვეტასა და ახალი სამსახურის შოვნაში დაეხმარებოდა].

ციხეებში მუშაობამ დაგვანახა, რომ პენიტენციალური სისტემა მნიშვნელოვან ცვლილებებს საჭიროებს. ცნობილია, რომ ციხეებში ნარკოტიკების მოხმარების შემთხვევები მრავალია. ამავე დროს, აქ სტერილური შპრიცები ნაკლებად მოიპოვება, რაც (ამ) სუბ-პოპულაციაში აივ-ის გავრცელების მაღალ რისკს განაპირობებს.

ერთ-ერთი სფერო, რომელიც სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს, კანონმდებლობაა. ნარკოტიკების შესახებ არსებული კანონი მნიშვნელოვან გადახედვას საჭიროებს, რათა მან ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებში აივ-ის გავრცელების წინააღმდეგ მიმართული პრევენციული ზომების განხორციელებას ხელს არ შეუშალოს. კომერციულ სექსთან დაკავშირებული კანონმდებლობა კი ფაქტიურად არ არსებობს, ეს კი მოახლეობის ასეთ ჯგუფში პრევენციული საკითხების განხილვას აგრეთვე აფერხებს.

იმედი მაქვს, რომ გლობალ ფონდის პროგრამის განხორციელება, საქართველოში აივ-ისა და სექსუალური გზით გადაცემული დაავადებების პრევენციის გასაუმჯობესებლად გადადგმული გადამწყვეტი ნაბიჯი იქნება. ჩვენი ორგანიზაციას ამ პროგრამის --აივ-ის სექსუალური გზით გადაცემის პრევენცია განხორციელებაში მთავარი როლი აკისრია. ჩვენ ასევე ვმონაწილეობთ პრევენციულ იმ კომპონენტში, რომელიც ახალგაზრდა მოსახლეობას მოიცავს.

ვფიქრობ, რომ როგორც სახელმწიფო, ასევე საზოგადოება კარგად უნდა უნდა აცნობიერებდეს თუ რაოდენ წყალობს ბედი საქართველოს, რომ აივ-ი აქ ჯერ ისე არ გავრცელებულა, როგორც ეს სხვა რეგიონებში მოხდა. ეს შანსი უნდა გამოვიყენოთ და სხვისი, მათ შორის ჩვენი მეზობლების უკრაინისა და რუსეთის შეცდომები არ გავიმეოროთ.

არასამთავრობო ორგანიზაციამ World Vision International ბრიტიშ პერტოლიუმ კომანიისაგან, საქართველოში, ბაქო-ჯეიჰანის გაზსადენის გავლის რეგიონში აივ/შიდს-ის პრევენციის პროექტის განსახორციელებლად დიდი გარნტი მიიღო. ეს პროექტი გულისხმობს ადგილობრივი მაცხოვრებლებისა და უცხოელი მუშების განათლებას აივ-ის პრევენციის საკითხებთან დაკავშირებით და მათ შორის უსაფრთხო სექსუალური ქცევის პროპაგანდას. ყველა მუშა ტრენინგებში მონაწილეობს და მრავალეროვანი თემების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მათთან ურთიერთობა სხვადასხვა ენებზეა უზრუნველყოფილი.

საქართველოში აივ/შიდს-ის პრობლემებზე აივ/სექსუალური გზებით გადაცემული დაავადებების

პრევენციის სპეციალური კომისიით გაერთიანებული სულ 20 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს.

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები აივ/შიდს-ის პაციენტების მხარდაჭერის ფონდი და საქართველო+ჯგუფი აქტიურად ცავენ აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა უფლებებს დამათ ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას უზრუნველყოფენ. გაეროს აივ/შიდსის გაერთიანებული პროგრამა/ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNAIDS/UNICEF) მხარდაჭერით მათ აივ-ის მატარებელთა ქსელის შექმნა დაიწყეს, რომელიც გლობალ ფონდის დაფინანსებით შიდსი, ტუბერკულოზი და მალარია პროექტით ქვეყნის რეგიონებსაც გასწვდება.

შიდსის ეროვნული ცენტრი და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია ახალგაზრდებთან მუშაობს. მათი საქმიანობა ნებაყოფლობითი კონსულტაცია და ტესტირება, თანატოლთა ურთიერთგანათლების პროგრამა, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები, ინფორმაცია, განათლება და კომუნიკაციის (IEC) მასალების დისტრუბუცია და პრეზერვატივების პროპაგანდა. სკოლისათვის განკუთვნილი აივ/შიდსის პრევენციის საგანმანათლებლო პროგრამა მოსამზადებელ სტადიაშია და ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების პროგრამასთან ერთად, გაეროს ბავშვთა ფონდი/გლობალ ფონდის პროექტის ხელშეწყობით (UNICEF/GFATM), მასწავლებელთა დეხელოვნების ინსტიტუტში მუშავდება. პროექტში, მის მოსამზადებელ (პილოტურ) საფეხურზე 20 სკოლა მიიღებს მონაწილეობას. პილოტური პროგრამა 2005 წელს ოქტომბერში დაიწყება.

სკოლებში სექსუალურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები მეტად პოლიტიზირებული გახდა საქართველოში. ზოგიერთი რელიგიური თუ პოლიტიკური პარტიის ლიდერი ამ პროგრამების წინააღმდეგ ენერგიულად იბრძვის. კონსენსუსის მისაღწევად აუცილებელია მკვეთრად ჩამოყალიბდეს სხვაობა სექსუალურ განათლებასა და აივ-ის პრევენციის საკითხების სწავლებას შორის სკოლაში. მოსამზადებელ პერიოდს პროგრამის ადაპტაცია მოყვება და დამხოლოდ შემდეგ დაიწყება მისი ფართომასშტაბიანი ამოქმედება. მასალის, შინაარსისა და ენის დასახვეწად საზოგადოების, რელიგიური ჯგუფების, აივ ინფიცირებულებისა და მოზარდების წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომიტეტი გულდასმით განიხილავს პროგრამის ინფორმაცია, განათლება და კომუნიკაცია სრულ პაკეტს. ადგილობრივი ტრადიციებისა (მაგ. ქალიშვილბა გათხოვებამდე) და რელიგიური ლიდერების მოთხოვნების გათვალისწინებით, აივ-ის გადაცემის საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია მოკრძალებული ქცევის პროპაგანდა იქნება.

სკოლაში ახალგაზრდობისათვის განკუთვნილი აივ-ის საგანმანათლებლო პროგრამისადმი საზოგადოებისა და ეკლესიის დამოკიდებულება განსხვავებულია. 1999-2000 წლებში ჩატარებული ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის მიხედვით, 15-44 წლამდე ქალების 85%-ს სჯერა, რომ აივ/შიდს-ის პრევენციაზე ინფორმაცია მოზარდებს სკოლებში უნდა მიენოებოდეს. არასამთავრობო ორგანიზაცია მართლმადიდებელ ქრისტიან მშობელთა ასოციაცია კი სკოლაში ასეთი სახის განათლების წინააღმდეგია. მათ სჯერათ, რომ მასწავლებლებმა და მშობლებმა ერთობლივი ძალისხმევით ბავშვებსა და მოზარდებს უმთავრესი ქრისტიანული ღირებულებები უნდა შეასწავლონ და ქართული ოჯახის ისეთი ტრადიციები განამტკიცონ, როგორც ზომიერება (მოკრძალება), ქორწინებამდე ქალიშვილობის შენარჩუნება და არა უსაფრთხო სექსის პრინციპებს აზიარონ. ამ ჯგუფის ერთ-ერთი სულიერი ლიდერის, სოფელ დილომის წმინდა მარიამის ეკლესიის მღვდელთმსახურის, მამა დავითის აზრით: სკოლაში მოზარდებთან სექსუალურ საკითხებზე საუბარი ნაადრევია. სიტყვა სექსი ბავშვებთან არც კი უნდა ვახსენოთ, რადგანაც ეს მათ შეუცნობელის მიმართ არაჯანსაღ ინტერესს გაუღვივებს. საზოგადოება უნდა გაერთიანდეს და ყველა საინფორმაციო წყარო, მათ შორის ტელევიზია, რადიო და ინტერნეტი გააკონტოლოს, რათა სექსუალურ საკითხებზე ინფორმაციის მიღების საშუალება ახალგაზრდებს არც სკოლის გარეთ მიეცეთ (ინტერვიუს ჩანაწერი).

აქედან გამომდინარე, საზოგადოების ცოდნის დონის ამაღლებით და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების მეშვეობით სექსუალური საკითხების სწავლებასა და აივ-ის პრევენციის სწავლებას შორის ამკარა სხვაობის დემონსტრირება აუცილებელია. მშობლები და მასწავლებლები გაეცნობიან პროგრამას და დარწმუნდებიან, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ აივ-ის პრევენციისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას ეხება და მოზარდებში სექსის პროპაგანდასთან არაფერი აქვს საერთო.

გაერო-ს მოსახლეობის ფონდის მიერ 2002 წელს საქართველოში ჩატარებული ახალგაზრდების რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის (UNFPA Adolescent's Reproductive Health Survey) მონაცემების მიხედვით, ახალგაზრდების 65% ფიქრობს, რომ სკოლებში სექსუალური განათლება აუცილებელია, თუმცა ასეთი გაკვეთილები ბიჭებსა და გოგონებს ცალ-ცალკე იგივე სექსის ახალგაზრდა მასწავლებლების მიერ უნდა უტარდებოდეთ. იმის გამო, რომ ახალგაზრდების სექსუალურ განათლებაზე თანატოლთა წრე დიდ გავლენას ახდენს, მოსახლეობის ამ ჯგუფებში თანატოლთა ურთიერთგანათლების (peer education programme's) პროგრამების წარმატებით განხორციელების ბრწყინვალე შესაძლებლობა ჩნდება. გენდერული ნორმები მდგრადია, რაც ახალგაზრდების მოსაზრებებშიც ვლინდება.

არაკომერციული ორგანიზაცია საქართველოში ბავშვთა ფედერაცია გლობალ ფონდის პროექტის დავამარცხოთ შიდა, ტუბერკულოზი და მალარია ერთ-ერთ კომპონენტს - ახალგაზრდების აივ/შიდსის პრევენციას ახორციელებს. ამ პროექტის ახალგაზრობისათვის განკუთვნილი კომპონენტის განსახორციელებლად ფედერაციამ კონსორციუმი შექმნა, რომლის წევრებიც არიან: შიდსის ეროვნული ცენტრი და არასამთავრობო ორგანიზაცია თანადგომა, ბემონი და საერთაშორისო ახალგაზრდულ ორგანიზაცია ქსელი იუვენკო. გლობალ ფონდის პროექტის დავამარცხოთ შიდა, ტუბერკულოზი და მალარია ფარგლებში კონსორციუმი ფართომასშტაბიან კულტურულ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს გეგმავს, რომლებშიც ქართველი სპორტული და პოპ-ვარსკვლავებიც იქნებიან ჩართულნი: უსაფრთხო არდადეგები შავი ზღვის სანაპიროზე, ზაფხულში და გუდაური და ბაკურიანი ზამთრის სათხილამურო კურორტებზე; მუსიკალური ფესტივალი ბროილს სალამო, მუსიკალური ავტობუსი საქართველოს ახალგაზრდობა შიდა-ის წინააღმდეგ; შიდა-ის მსოფლიო დღეს, 1 დეკემბერს კონცერტი-მართონი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, აივ/შიდა-ის თემატიკაზე შექმნილი პლაკატების გამოფენა, კინოფესტივალი და მრავალი სხვა. ასეთი ღონისძიებების მთავარი სტრატეგია ამ საქმიანობასა და მოვლენებში თვითონ ახალგაზრდების ჩართვაა.

II.3 მზრუნველობა აივ-ინფიცირებულთაზე

აივ-ის მტარებელთა სამედიცინო და სოციალურ მხარდაჭერას აივ/შიდა-ის მკურნალობის ეროვნული და სოციალური დახმარების ეროვნული პროგრამები უზრუნველყოფენ.

აივ/შიდა-ის მკურნალობის ეროვნული პროგრამა საქართველოში 1997 წელს შემუშავდა. იგი ანტირეტროვირუსული მკურნალობის გარდა, აივ-ის მტარებელთა დიაგნოსტიკისათვისა და მათზე მზრუნველობისათვის საჭირო თანხებსაც შეიცავს. უფასო მაღალაქტიური ანტირეტროვირუსული მკურნალობის უზრუნველყოფა სახელმწიფომ მხოლოდ 5 პაციენტისათვის შესძლო. შიდა-ის პრევენციისა და მკურნალობის ეროვნული პროგრამით განეული შედეგების სიმწირის გამო საქართველოს მოსახლეობა აივ ინფექციის ტესტირებისა და კონსულტაციების სამსახურის გამოყენებას არ ჩქარობს: ვთქვათ დაავადებული ვარ, მერე? გავიგებ რომ ვკვდები! ვის უნდა წინასწარ ამის ცოდნა? ასეთი იყო მოქალაქეთა პასუხები ნებაყოფლობითი კონსულტირებისა და ტესტირების სამსახურის მუშაკთა აგიტაციაზე. აივ/შიდა-ის ფატალიზმს საქართველოში ისიც ამძაფრებს, რომ ანტირეტროვირუსული მკურნალობის მედიკამენტები მოსახლეობის უმრავლესობისათვის ხელმიუწვდომელია, რაც თავისთავად მოსახლეობას სურვილს უკარგავს აივ-ტესტირება გაიაროს.

გლობალ ფონდის პროექტით დავამარცხოთ შიდა, ტუბერკულოზი და მალარია მიღებული დაფინანსება, ალბათ, საგრძნობლად შეცვლის ამ სიტუაციას საქართველოში, რადგანაც ამ პროექტის მიზანი საქართველოში აივ-ის მტარებელთათვის განკუთვნილი მომსახურების დონის ამაღლებაა (პროექტი 2005 წლის იანვრიდან ხორციელდება). შიდა-ით დაავადებული ყველა პაციენტი მაღალაქტიურ ანტირეტროვირუსულ თერაპიასთან ერთად შესაბამისი მაღალტექნიკური აპარატურით გამართულ ლაბორატორიებსა და კლინიკური კვლევის, მათ შორის, რეზისტენტულობაზე ტესტირების საშუალებებს მიიღებს. წელიწადში ერთ ავადმყოფს ანტირეტროვირუსული თერაპიისათვის 1600 აშშ დოლარი სჭირდება.

როგორც ეს ბევრ ქვეყანაში მოხდა, მაღალაქტიური ანტირეტროვირუსული თერაპიის ხელმასაწვდომობამ, შესაძლოა, საზოგადოების დამოკიდებულება აივ-სა და შიდა-სთან, როგორც მომაკვდინებელ დაავადებასთან, შეცვალოს ეს ინფექცია სახიფათოა მაგრამ მართვადი. იმედია, ეს ნებაყოფლობითი კონსულტირებისა და ტესტირების მომსახურების მსურველთა რიცხვსაც გაზრდის.

მთავარი პრობლემა ანტირეტროვირუსული თერაპიის გაგრძელებაა მას მერეც, რაც 5 წლის შემდეგ გლობალ ფონდის ეს პროექტი დასრულდება. ყველა აივ-ის მტარებელი, მათზე მზრუნველი პირები და ბავშვები სოციალური დახმარების ლიმიტირებულ პაკეტს მიიღებენ. ყოველთვიური თანხა არანაკლებია საქართველოში ოფიციალური მინიმალური ხელფასის გაორმაგებული თანხისა (40 ლარი, დაახლოებით 20 აშშ დოლარი). მაგრამ არსებული სტიგმის გამო, ასეთი დახმარება ცოტამ თუ მოითხოვა (დაახლოებით 10-მა).

ოჯახური კავშირები მეტად ძლიერია საქართველოში. მრავალ შემთხვევაში ოჯახის მხარდაჭერა ერთადერთი რეალური დახმარებაა, თუ იმ სამედიცინო მომსახურებას, რომელსაც აივ-ის მტარებლები იღებენ, არ ჩავთვლით. სტიგმის გამო აივ-ის მტარებლების ოჯახები მათი წევრის სტატუსის დამალვას ცდილობენ და აივ-ით ინფიცირებულზე ზრუნვისა და მისი დახმარების ტვირთს მთლიანად თავის თავზე იღებენ, რასაც ტრადიციულად საქართველოში ქალები უძღვებიან. თბლისში 2002 წელს ჩატარებული ქცევების კვლევის (BBS) (USAID/Save the Children/SHIP project) მიხედვით, გამოკითხულ სექს-მუშაკთა 45.8% ამბობს, რომ არავის ეტყვის თუ მისი ოჯახის წევრი აივ-ით დაავადდება. მათი 47% კი მზადაა აივ-ით ინფიცირებული ოჯახის წევრს მოუაროს.

II.4 ჯანდაცვის სტრუქტურა

1991 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველომ მრავალი ეკონომიკური კრიზისი და ეთნო კონფლიქტი განიცადა. ინფრასტრუქტურისა და სოციალური სამსახურების მკვეთრმა რღვევამ, საყოველთაო სიღარიბემ და უმუშევრობამ, სამთავრობო ფონდების სიმწირემ და ეკონომიკურმა სირთულეებმა მოსახლეობაში ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები, მათ შორის ხშირი ავადობა და დიდი სიკვდილიანობა გამოიწვია. უფრო მეტიც, ფინანსური მიზეზების გამო მოსახლეობის დიდი ნაწილი სამედიცინო დაწესებულებებს ვეღარ აკითხავდა, ვიდრე დაავადების სიმპტომები ან მდგომარეობა არ გამძაფრდებოდა, რაც მათ ჯანმრთელობას სერიოზულად საფრთხეს უქმნიდა (სკარბინსკი და სხვები, 2002).

ჯანდაცვის სამინისტროს არ შეეძლო ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რის გამოც მან ფუნქცია დაკარგა და ვეღარ შესძლო ისედაც ჭარბი მედპერსონალის მართვა (ქართველ ექიმთა თანაფარდობა მოსახლეობასთან 1:194 □ ევროპაში ყველაზე მაღალია; მსოფლიო ბანკი, 1996). აღარ დარჩა რა სხვა არჩევანი საქართველოს მთავრობამ, ჯანდაცვის ძველი ცენტრალიზებული სისტემიდან, რომელსაც სახელმწიფო აკონტროლებდა და მართავდა, ჯანმრთელობის დაზღვევის დეცენტრალიზებული სისტემისაკენ იწყო სვლა.

პირველი ოფიციალური რეფორმა 1992 წელს შემუშავდა და 1994 წელს ამოქმედდა მსოფლიო ბანკის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერითა და ჯანდაცვის დარგში □ ატლანტა □ თბილისის □ პარტნიორობით (Atlanta-Tbilisi Health Partnership). ამ რეფორმების პირველი სტადია სისტემის სტრუქტურულ რეორგანიზაციას გულისხმობდა: მართვასა და პოლიტიკის შემუშავებაში ჯანდაცვის სამინისტროს ახალი როლის განსაზღვრა; ჯანდაცვის ადგილობრივ ხელმძღვანელთათვის დამოუკიდებლობის მინიჭება; ამბულატორიული და სტომატოლოგიური კლინიკების პრივატიზაცია; ჯანდაცვის საზოგადოებრივი დეპარტამენტების შექმნა და სხვ. მეორე სტადიის მიზანი თანამედროვე, ჯანდაცვის პირველადი დახმარების სისტემის განვითარება და საავადმყოფოების რესტრუქტურისა/რეაბილიტაცია იყო.

ჯანდაცვის სისტემის მრავალი ასპექტი გაუმჯობესდა. ბევრი რამ, რაც მიზნად იყო დასახული შესრულდა, ბევრი რამ ისევ გასაკეთებელია. ამ რეფორმების ყველაზე სუსტი ნაწილი ჯანდაცვის სისტემის ფინანსირების რეორგანიზაცია არმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო სამედიცინო სადაზღვევო კომპანია შეიქმნა, რომელსაც საშემოსავლო გადასახადების 3+1 პროცენტი (4%) ეკუთვნის, მისი ბიუჯეტი მაინც მეტად მცირეა. 1994 წლიდან მთავრობის დანახარჯები ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 20-ჯერ გაიზარდა, თუმცა 2002 წლამდე 18.35 (9 აშშ დოლარი) ლარს ვერ გადააჭარბა. დღეს მთავრობა ჯანდაცვის ხარჯების 15-20%-ს ფარავს (ა. გამყრელიძე და ო. ვასაძე, 2003).

ჯანმრთელობისდაცვის ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით მოსახლეობის პრობლემური ჯგუფებისათვის (მოსახლეობის ღარიბი ფენა, ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები და სხვ.) ჯანდაცვის დარგში ნებისმიერი რეფორმის წარმატებასა თუ მარცხზე ყველაზე კარგად მიგვანიშნებს. მთავრობა ვალდებულია ყველა მოქალაქისათვის, მისი შემოსავლის, ეროვნებისა და განათლების მიუხედავად ჯანმრთელობის დაცვის თუნდაც სულ მცირე, აუცილებელი პაქეტის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოს.

ამ რეფორმების ინიციატივით, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ თავის თავზე ძირითადი შეღავათების პაკეტის (BBP) სრული დაფარვის ვალდებულება აიღო. ეს პაკეტი საზოგადოებისათვის ჯანდაცვისა და ძირითადი კლინიკური მომსახურების უზრუნველყოფას შეიცავს. ძირითადი შეღავათების პაკეტი სახელმწიფო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიამ დაარსა; იგი ამ პაკეტში შემავალი მომსახურების საფასურს იხდის. თუმცა, იმის გამო რომ სახელმწიფო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიას შეზღუდული ბიუჯეტი აქვს და იგი საზოგადოებას შეღავათების პაკეტის შესახებ ჯეროვნად ვერ აწოდებს ინფორმაციას, მოსახლეობა არ ჩქარობს ჯანდაცვის დაწესებულებებს მიაკითხოს. სახელმწიფო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიის მიერ დაფინანსებული შეღავათების პაკეტი პრიორიტეტს ბავშვებს, მოსახლეობის ღარიბ ფენას, ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებს და მოხუცებს ანიჭებს _ შეძლებისდაგვარად რეგიონების სხვადასხვა მოთხოვნილებებსაც ითვალისწინებს. საკუთარ ჯანმრთელობაზე ქართველების ზრუნვა და ამასთან დაკავშირებული მათი ქცევა სხვა ქვეყნებისაგან მეტად განსხვავდება. ამის ზოგიერთი ასპექტი კულტურული სხვაობით, ჯანმრთელობის საკითხებში განათლების დონითა და ზოგადი მრწამსითაა გამოწვეული, თუმცა აქვე სხვა საკითხებიც იკვეთება. მაგ. ქართველების უმრავლესობამ ჯანმრთელობის დაცვის საკუთარ უფლებებზე არაფერი იცის.

როგორც ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმის ნაწილი, საქართველოს პარლამენტმა ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად კანონი მიიღო. ამ კანონის II თავი □ მოქალაქეთა უფლებებსა და ჯანდაცვას □ ეხება. მიუხედავად ამისა, ბევრმა ქართველმა არ იცის საკუთარი უფლებების შესახებ. ჯანმრთელობის დაცვის მომხმარებლები მისი სამსახურის პასიური მომხმარებლები უფრო არიან, ვიდრე ჯანმრთელობის დაცვის სისტემის აქტიური წევრები. ცნება

□ჯანდაცვის ხარისხი□ სრულიად აბსტარქტულია საქართველოში.

ასეთი სტანდარტების ადგილს ის ტრადიციული მრწამსი და მოხმარების მოდელები იკავებენ, რომლებიც ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის გამოყენების ნებისმიერ რაციონალურ სისტემას ეწინააღმდეგება. ჯანდაცვის დანესებულებებში ქართველები მომსახურების საფასურს, როგორც კანონიერს ასევე დახლქვემას, ნაღდი ფულით (ჯიბიდან) იხდიან - გამონაკლისს სასწრაფო დახმარება წარმოადგენს. ამის შედეგად ჯანდაცვის დანესებულებებში დასწრება და მათი დაკავებულობა, უკანასკნელი წლების მანძილზე, საგრძნობლად შემცირდა. ავადმყოფობის გვიან სტადიაში მკურნალობამ მოსახლეობის ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობაზე დამლუპველად იმოქმედა.

II.5 საქართველოში ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო საკითხები

იმის გამო, რომ საბჭოთა სისტემა ნარკომანიას როგორც სოციალურ მოვლენას, ქვეყანაში არც შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა არსებობდა, რომ ამ მოვლენასთან დაკავშირებული პრობლემები დაერეგულირებინა. ნებისმიერი ბრძანებულება თუ განკარგულება, რომელიც ნარკოტიკების მომხმარებლებსა თუ ნარკოტიკებზე დამოკიდებულ პირებს ეხებოდა, ძირითადად დამსჯელობითი ხასიათისა იყო. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქართულ საზოგადოებას, მათ შორის ნარკომანიის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებს, საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს საბჭოური მენტალიტეტის შესაცვლელად საკმაოდ დრო დასჭირდათ. 2000 წელს საქართველომ გაერო-ს შესაბამისი კონვენციების რატიფიცირება დაასრულა და მათ შეუერთდა. 2002 წლის 5 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა □ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული პრეპარატების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ□ კანონი მიიღო. აღნიშნული კანონი ქვეყანაში ნარკოტიკული და ფსიქოტროპული პრეპარატების ლეგალურ ბრუნვას არეგულირებს და ნარკომანიის მკურნალობის პრინციპებს განსაზღვრავს. ეს, ნარკომანიის მკურნალობასთან ახალი, პროგრესული მიდგომაა.

აღნიშნული კანონი:

- აცხადებს, რომ ნარკოტიკებზე დამოკიდებული პირი დაავადებული ადამიანია და ნებისმიერი პაციენტისათვის საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილი ყველა უფლებით სარგებლობს.
- ლეგალიზაციას უკეთებს ნარკოტიკების მომხმარებელთა ანონიმურ მკურნალობას.
- უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე ნარკოტიკული პრეპარატებით ჩანაცვლებით მკურნალობას.
- განსაზღვრავს ნარკოტიკების მომხმარებელთა მკურნალობასა და რეაბილიტაციასთან დაკავშირებულ სახელმწიფო ვალდებულებებს. იგი აცხადებს, რომ სახელმწიფო ვალდებულია ნარკოტიკების მომხმარებლის უფასო მკურნალობა და რეაბილიტაცია სულ მცირე, მისთვის ერხელ მაინც უზრუნველყოს.
- უზრუნველყოფს ნარკოტიკების მომხმარებელთა სავალდებულო მკურნალობას დაკავების ადგილებში (პენიტენციურ სისტემაში).

ყოველივე ზემოხსენებულმა □ნარკოტიკების მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის შექმნა საფუძველი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თანხების სიმწირის გამო, მათი სახელმწიფოს ხარჯზე მკურნალობა და მკურნალობა დაკავების ადგილებში, პრაქტიკულად, დღემდე განუხორციელებელია.

რაც შეეხება ნარკოტიკების უკანონო მიმოქცევას, ეს საქართველოს ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის კოდექსებით რეგულირდება. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ნარკოტიკული ნივთიერებების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება სისხლისსამართლის კოდექსით ისჯება. ადმინისტრაციული კოდექსის (45-ე მუხლი) თანახმად, პირველად ჩადენილი ასეთი დანაშაული ისჯება: ჯარიმის საფასურის გადახდით, 30 დღემდე გამასწორებელი სამუშაოებით და 15 დღემდე თავისუფლების აღკვეთით. ადმინისტრაციული სასჯელის მოხდის შემდეგ □ნარკოტიკების განმეორებით მოხმარება საქართველოს სისხლისსამართლის კოდექსით (ნაწილი 33 მუხლი 273) ისჯება, რაც სხვა ზომებთან ერთად, 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს.

ნარკოლოგების დიდი ნაწილის აზრით, ნარკოტიკების მოხმარებისათვის დამსჯელი ღონისძიებების გამოყენებას ამ საქმიანობის პრევენციისათვის მეტად მნიშვნელოვანია. თუმცა ამავე დროს, ნარკოტიკების მოხმარების დასჯადობა ნარკოტიკების მომხმარებლებს □გასაიდუმლოებულ□ მოსახლეობად აქცევს და შესაბამისად, ასეთ ჯგუფებში აივ/შიდსი-ის პრევენციული ღონისძიებების გატარებას უშლის ხელს (განათლება, საზიარო სპრიცების გამოყენება და ა.შ)

II.6 კანონმდებლობა

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის, საქართველო ერთ-ერთი პირველი იყო ვინც აივ ინფექცია/ შიდსის პროფილაქტიკის კანონი მიიღო. 1995 წელს მიღებული კანონი უზრუნველყოფს:

- მთავრობის გათვითცნობიერებულობასა და პასუხისმგებლობას აივ/შიდს-ის კონტროლზე;
 - სამათავრობო ეფექტური ბაზისის შექმნასა და მრავალსექტორიანი საქმიანობის კოორდინირებას;
 - აივ-ინფიცირებულთა სოციალურ უსაფრთხოებას, კანონიერ უფლებებსა და ვალდებულებებს;
 - სამედიცინო პერსონალის იურიდიულ და სოციალურ უსაფრთხოებას
 - სახელმწიფო, საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ დონეებზე აივ-ისა და შიდსის ზეგავლენის შესუსტებას.
- (აივ/შიდს-ის პრევენციის ეროვნული პროგრამა, საქართველოს პარლამენტი, მარტი, 1995 წელი).

გარდამავალი პერიოდისათვის შექმნილი კანონმდებლობა რამდენიმე ისეთ მუხლს შეიცავდა, რომელიც აივ-ის მატარებელთა უფლებებს უხეშად არღვევდა. მას მარე რაც ქვეყანა დემოკრატიული განვითარების გზას დაადგა, საქართველოს მთავრობამ და პრეზიდენტმა აღიარეს, რომ აუცილებელი იყო კანონში შესწორებების შეტანა. □ შიდს-ის წინაარმდეგ ბრძოლისა და პრევენციასთან დაკავშირებული საქმიანობის გაძლიერების შესახებ □, პრეზიდენტის ბრძანებულებაზე №587 (მუხლი 5, 8 ოქტომბერი, 1998) დაყრდნობით, აივ/შიდს-ის პრევენციის კანონში რამდენიმე შესწორება შეიტანეს. ეს ახალი კანონპროექტი პარლამენტმა მოისმინა და მიიღო და იგი 2001 წელს ამოქმედდა.

ძირითადი საკითხები, რომელთაც □ აივ/შიდს-თან დაკავშირებული კანონი უზრუნველყოფს შემდეგია:

- მთავრობის ვალდებულებები (პოლიტიკურ გადანაცვებილებათა შემუშავება, შესაძლებლობების (პოტენციალის) განსაზღვრა და ფინანსირება) აივ/შიდსთან საბრძოლველად. სამთავრობო, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე პოლიტიკის შემუშავება;
- აივ-ის მატარებელთა მკურნალობა და მათზე ზრუნვა, ჯანდაცვის სამსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობა;
- მოქალაქეთა ნებაყოფლობითი აივ-ტესტირება;
- აივ-ინფიცირებულთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა, კონფიდენციალობის, თავისუფალი არჩევანის, პატივისცემის, უსაფრთხოებისა და თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა;
- ეპიდემიოლოგიური მეთვალყურეობის პრინციპები;
- აივ-ინფიცირებულთა და მათი ოჯახის წევრების სოციალური უსაფრთხოება (დაცვა);

აივ/შიდსისათვის განკუთვნილი დანესებულებებში მომუშავე მედპერსონალის უფლებებისა დაცვა, მათი ვალდებულებების განსაზღვრა და სოციალური უსაფრთხოება.

საქართველოს სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით და აივ/შიდსის პრევენციისა და მკურნალობის რესურსების სიმწირის გამო, კანონის ზოგიერთი მუხლის განხორციელება საკმაოდ რთულია. მაგ. ექიმებისაგან იმის მოთხოვნა, რომ ერჯერადი სამედიცინო ინსტრუმენტების ნაკლებობის პირობებში აივ-ის მატარებლებს დახმარება აღმოუჩინონ.

კანონპროექტის შემუშავების პროცესმა საზოგადოებაში და ხელისუფლებაში აივ-ტესტირებისა და სკრინინგის პოლიტიკასთან დაკავშირებული განსხვავებული თვალსაზრისები გამოავლინა. 1995 წელს მიღებული კანონი ქვეყანაში შემოსული ყველა უცხოელისა და აგრეთვე სამშობლოში უცხოეთიდან, ხანგრძლივი საქმიანი მოგზაურობის შემდეგ (თვეზე მეტი), დაბრუნებული ქართველების სავალდებულო აივ-ტესტირებას უზრუნველყოფდა. სხვა შემთხვევაში მათ აივ-ტესტირების შედეგების ოფიციალური მონმობა უნდა წარმოედგინათ. 2001 წელს ეს მუხლი ნებაყოფლობითი სკრინინგის უფლებით შეიცვალა (გამონაკლისის სისხლის დონორები წარმოადგენენ). უცხოელებს აღარ სთხოვენ აივ-ტესტირების გავლის მონმობა წარმოადგინონ. კანონის შესწორებას მრავალი ოპონენტი ჰყავდა, რომლებიც კვლავ აუცილებელი ტესტირებისა და სკრინინგის მექანიზმების შემოღებას მოითხოვდნენ.

ამ დამოკიდებულებამ გამოავლინა, რომ საზოგადოებაში კვლავ არსებობს ცრურწმენა, რომ შესაძლებელია ქვეყანამ აივ-ის მატარებლებს □ კარი დაუკეტოს □ და საქართველოში აივ-ის ეპიდემიის გავრცელების რისკი ასე აიცილოს თავიდან.

ქართველების ნაწილს სჯერა, რომ აივ-ის ეპიდემიის გავრცელებაზე კონტროლი მთავრობის ვალდებულებაა და ინდივიდუალურ პასუხისმგებლობასა და საკუთარი თავის დაცვას სრულიად უგულვებელყოფს.

□ ჩვენ და ისინი □ დამოკიდებულება ისევ ჭარბობს საქართველოს მოსახლეობაში, რომელიც აივ-ის მატარებლებისაგან გამოყოფას ცდილობს.

საბედნიეროდ, ხანგრძლივი განხილვის შემდეგ კანონპროექტი შეტანილი ცვლილებები მიიღეს და ადამიანთა უფლებების საყოველთაო დაცვაზე დაყრდნობით 2000 წელს ნებაყოფლობითი

სკრინინგი დაკანონდა. უფრო მეტიც, კანონმდებლობაში შტანილი შესწორებები ზრდის ინდივიდების პასუხისმგებლობას. დღეს აივ-ის ინფექციაზე ტესტირების გავლა სრულიად ნებაყოფლობითია, სისხლისა და ორგანოების/ქსოვილების დონორების გამოკლებით, რომლებიც ამ ტესტირებას სავალდებულო წესით გადაიან.

ერთჯერადი სამედიცინო ინსტრუმენტების ნაკლებობის გამო, სამედიცინო დაწესებულებებში უსაფრთხოების არაადეკვატური ზომების გამო, სტერილიზატორებისა და დეზინფექციის საშუალებების არ არსებობის გამო, კანონმდებლობის ერთი-ერთი მუხლი, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა არ შეცვლილა. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ მედპერსონალისა და მათი პაციენტების უსაფრთხოების მიზნით, აივ-ით ინფიცირებული პიროვნება ვალდებულია ნებისმიერ დაწესებულებას, რომელიც მის ჯანმრთელობაზე ზრუნავს, თავისი აივ-სტატუსი შეატყობინოს. პიროვნება, ვინც თავისი სტატუსი არ იცის, პასუხს არ აგებს ქმედებაზე, რომელმაც შეასძლოა ინფექციის გავრცელება გამოიწვიოს.

მეორე მხრივ, კანონი იმ ვალდებულებებს განმარტავს, რომლებიც მედპერსონალს აკისრია, რათა მან აივ-ინფიცირებულთა მკურნალობა მათი დისკრიმინაციის გარეშე განახორციელოს.

ამასთან ერთად, აივ ინფიცირებული პიროვნება ვალდებულია მისი სექსუალური პარტნიორი და/ან მომავალი მეუღლე საკუთარი აივ-სტატუსის შესახებ გააფრთხილოს. სესუალური გზით გადაცემული სხვა ინფექციებს კანონმდებლობა რა აკონტროლებს.

კანონმდებლობა აივ-ის მატარებლებს განათლებისა და მუშაობის უფლებებითაც უზრუნველყოფს. თუმცა არსებობს მთელი რიგი პროფესიებისა, რომელთაც კანონმდებლობა მაღალი რისკის მქონე პროფესიულ სფეროებად განსაზღვრავს (ქირურგები, გინეკოლოგები, სტომატოლოგები, ქირურგიული და გინეკოლოგიური საავადმყოფოების მედდები), და სადაც აივ ინფიცირებულთა მიღება სამსახურში აკრძალულია. მიუხედავად იმისა, რომ კანონის მიხედვით აკრძალულია აივ-ის მატარებლებს მათი სტატუსის გამო სამსახურზე ეთქვათ უარი, არსებობს შემთხვევები როდესაც ისინი სწორედ ამის გამო სამსახურიდან დაუთხოვიათ. შიდს-ის ეროვნული ცენტრი ყველა ასეთ შემთხვევაში ჩაერია, თუმცა რამდენიმე მათგანში წარმატებას ვერ მიაღწია და აივ ინფიცირებულმა ადამიანებმა სამსახური დაკარგეს.

აივ ინფიცირებული ადამიანი, რომლისთვისაც საკუთარი სტატუსი ცნობილია და სხვა ადამიანს დააავადებს, საქართველოს სისხლისსამართლის კოდექსთ ისჯება.

ნარკოტიკებზე დამოკიდებულ პირთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა 2002 წელს შესწორდა. კანონმდებლობაში ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთან დაკავშირებული დადებითი ცვლილებები ნაწილობრივი დეკრიმინალიზაცია და მეტადონით ჩანაცვლებული მკურნალობის დაშვებაა. სამწუხაროდ, კანონი არ იძლევა ნემსის-გაცვლის პროგრამის, მათ შორის ციხეებშიც, განხორციელების უფლებას. გლობალ ფონდის პროექტი დავამარცხოთ შიდს-ი, ტუბერკულოზი და მალარია (GFATM project) გეგმავს პროპაგანდისტულ მეცადინეობებს (workshops) რათა ნემსის-გაცვლის პროგრამის განსახორციელებლად საზოგადოებრივი და ოფიციალური მახარდჭერა მოიპოვოს. ჯერჯერობით, ადგილობრივი პოლიციის დეპარტემენტის სიტყვიერი თანხმობის მოპოვების შედეგად ორი მოსამზადებელი (pilot) პროექტი ხორციელდება. ორგანიზაციებს, რომლებიც ამ პროგრამას ახორციელებენ, მის დასაცავად საზოგადოებისათვის ძლიერი არგუმენტების წარდგენა მოუწევთ. დღეს საქართველოში არ არსებობს კომერციულ სექ-მუშაკებთან დაკავშირებული მოქმედი კანონი. სამოქალაქო კოდექსში სექს-ბიზნესი აკრძალულია ერთ პარაგრაფში. არ არის ნახსენები ის სოციალური და ეკონომიკური პირობები, რომლებიც მათ ამ საქმიანობისაკენ უბიძგებს. ეს კი ართულებს კომერციულ სექს-მუშაკებზე ორიენტირებული აივ-ის პრევენციის პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებას. ასეთი კანონის უქონლობის გამო, სექს-ბიზნესს შესაძლებელია პოლიციისა და ჯანდაცვის სპეციალიზირებული დაწესებულებების მუშაკებმა განსხვავებული ინტერპრეტაცია გაუკეთონ და აუცილებელი ზომებიც საკუთარი (განსხვავებული) მოსაზრებების საფუძველზე მიიღონ.

არის ჯგუფები, რომლებიც პროსტიტუციის ლეგალიზებას მოითხოვენ, თუმცა მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ამის წინააღმდეგია. ასე თუ ისე, კანონპროექტი არსებობს და არის იმედიც, რომ იგი უახლოეს მომავალში

განიხილება, რათა კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მოიყვანოს. მანამდე კი, ყველა დაინტერესებული მხარე კოდექსსა თუ ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის შეზღუდვებს, ინტერპრეტაციას საკუთარი ინტერესების შესაბამისად უკეთებს.

და ბოლოს, კანონი განსაზღვრავს თუ ვის აქვს უფლება ტესტირებაზე (ყოველ ინდივიდს აქვს უფლება აივ-ტესტირება გაიაროს), ვინ არის ვალდებული ეს ტესტირება გაიაროს (სისხლის დონორები), და ვინ უნდა მიიღოს აივ/შიდსის სადიაგნოსტიკო და სამკურნალო სამსახურების შეღავათები (საქართველოს ყველა მოქალაქე ამ შეღავათების მიმართ თანასწორუფლებიანია).

აივ-ის პრევენციის კანონი პრევენციისა და სამკურნალო სამასახურების ხელმისაწვდომობის მტკიცე გარანტიას იძლევა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ სრულ ჰარმონიაში არ იმყოფება ინექციური ნარკოტიკების მოხმარებლებისა და კომერციული სექს-მუშაკების საკითხებთან დაკავშირებულ კანონმდებლობასთან. შიდასი დაავადებულთა ანტირეტროვირუსული მკურნალობის უზრუნველყოფა ვერ მოხერხდა 2005 წლამდე (შიდასი-ით დაავადებულებს ეს არ ეხება), ვიდრე არ გადაწყდა, რომ გლობალ ჰფონდის პროექტით ყველა შიდასი დაავადებულის მაღალაქტიური ანტირეტროვირუსული მკურნალობა ჩაუტარდება.

ჰომოსექსუალობის საკითხებს კანონი საერთოდ არ ეხება და ამასთან დაკავშირებით არც კანონმდებლობის რაიმე ცვლილება იგეგმება ახლო მომავალში.

II.7 მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები

საზოგადოების ჯანმრთელობის საკითხებს შორის საქართველოს მთავრობა აივ ინფექცია/შიდსს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტულ საკითხად მიიჩნევს. თუმცა უნდა ითქვას, რომ შეზღუდული რესურსების გამო, აივ/შიდს-ის პრევენციისა და კონტროლისათვის გამოყოფილი თანხები მეტად მწირია. ჯანმრთელობის სხვა საკითხებიც, როგორცაა ბავშვთა იმუნიზაცია, პირველადი სამედიცინო დახმარება, ჯანდაცვა რეგიონებში, სექსუალური გზით გადაცემული დაავადებების პრევენცია და კონტროლი, ნარკოტიკების მოხმარების პრევენცია ასევე პრიორიტეტულია და კონკურენციას უწევს ერთმანეთს სამთავრობო ფინანსირების მისაღებად. აივ ინფექცია/შიდსსთან დაკავშირებული პირველი სამთავრობო პროგრამა აივ ინფექცია/შიდსის პრევენციისა და კონტროლის ეროვნული პროგრამა 1994 წელს ამუშავდა. მისი მთავარი მიზანი როგორც პრობლემურ მოსახლეობაში ასევე მთელს საქართველოში აივ-ინფექციის ეპიდემიის კონტროლი იყო, რაც კონსულტირებისა და ტესტირების, განათლებისა და ცხოვრების ჯანმრთელის წესის პროპაგანდის მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო.

აივ-ინფექციის რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის ჯგუფები შემდეგია: ინექციური ნარკოტიკების მოხმარებლები, კომერციული სექს-მუშაკები, მამაკაცებთან სექსის მქონე მამაკაცები, სექსუალური გზით გადაცემული ინფექციებით დაავადებულნი (მათ შორის B და C ჰეპატიტები და/ან ტუბერკულოზი). ყველა ამ ჯგუფის წევრის (მათ შორის მათი სექსუალური პარტნიორების) სკრინინგისათვის საჭირო თანხებს სახელმწიფო ბიუჯეტი ფარავს. ამ ჯგუფების დაახლოებით 18 000 - 20 000 წარმომადგენელი ყოველწლიურად აივ-ტესტირებას გადის. ამასთან ერთად, პროგრამა ნდობის ტელეფონის ფუნქციონირებას, ჯანდაცვის მუშაკებისა და ახალგაზრდების აივ-ის პრევენციასთან დაკავშირებულ საკითხებში განათლებასა და საზოგადოების ცოდნის დონის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებებს აფინანსებს. სახალგაზრდობა, მიგრანტები და იძულებით გადაადგილებული პირებიც სარისკო ჯგუფებს განეკუთვნებიან. 1997 წელს, მთავრობამ სისხლისა და სისხლის პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უსაფრთხო სისხლის ეროვნული პროგრამა განახორციელა, რომელიც სისხლის ყველა დონორისათვის აივ ინფექციის, B და C ჰეპატიტებისა და სიფილისის აუცილებელ ტესტირებას გულისხმობს. ეს პროგრამები შეზღუდული სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის პროგრამისათვის გამოყოფილი თანხებით ფინანსდება. 2004 წელს აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის პროგრამებზე სულ 160 000-180 000 აშშ დოლარი გამოიყო. 2004 წლისათვის უსაფრთხო სისხლის ნაციონალური პროგრამის ბიუჯეტი 400 000 - 420 000 აშშ დოლარი იყო. საქართველოში სამედიცინო მონმსახურების გზით აივ-ის გადაცემის არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა, თუ სისხლის გადასხმას არ ჩავთვლით.

ორსულობის დროს აივ-ინფექციის დედიდან შვილზე გადაცემის პრევენცია (PMTCT) აივ/შიდსის პრევენციისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის ერთ-ერთი კომპონენტია. გლობალ ფონდის პროექტი დავამარცხოთ შიდასი, ტუბერკულოზი და მალარია საქართველოში ფეხმძიმე ქალების უფასო აივ-ტესტირებასა და კონსულტირებას, აივ ინფიცირებული დედებისა და მათი ახალშობილების პროფილაქტიკურ ანტირეტროვირუსულ მკურნალობასაც ისახავს მიზნად.

შიდსის კონტროლის ეროვნულ ცენტრს, რომელიც 1990 წელს დაარსდა, აივ/შიდსის, სექსუალური გზით გადაცემული და სხვა ინფექციური დაავადებების სამთავრობო კომისია ხელმძღვანელობს. კომისია იმჟამინდელმა პრემიერ მინისტრმა, ავთანდილ ჯორბენაძემ 1996 წელს შექმნა. იგი სხვადასხვა სამინისტროების (მინისტრებისა და მათი მოადგილეების) და სახელმწიფო დეპარტამენტების უმაღლესი რანგის ხელმძღვანელებისაგან შედგება: შრომის სამინისტრო, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, განათლების სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, ეროვნული უსაფრთხოების სამინისტრო და სასაზღვრო კონტროლის დეპარტამენტი. ეს კომისია ვალდებულია აივ/შიდსის პრევენციის და კონტროლის პოლიტიკა და პროგრამები შეიმუშაოს და განახორციელოს.

2002 წელს ქვეყანაში 2003-2007 წლებისათვის აივ/შიდსისთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგიული გეგმის შემუშავება დასრულდა, რომლის ტექნიკურ მხარდაჭერასაც გაეროს აივ/შიდსის გაერთიანებული პროგრამა (UNAIDS) და გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) ახორციელებენ. იმავე წელს დაარსდა

ქვეყნის საკოორდინაციო მექანიზმი (CCM), რომლის მიზანია აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის პოლიტიკის შემუშავებაში არასამთავრობო სექტორი, ადამიანები, რომელთაც შიდსის ეპიდემის შეეზო (PLWHA) და საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლები ჩართოს და გარედან დამატებითი თანხები მოიზიდოს.

ქვეყნის საკოორდინაციო მექანიზმში (CCM) ყველა დაინტერესებული მხარეა წარმოდგენილი, რამაც ეროვნული განაცხადის გლობალური ფონდის აივ/შიდსის წინაარმდეგ ეროვნული საპასუხო ღონისძიებების გაძლიერება საქართველოში წარმატება განაპირობა. ეს განაცხადი შიდსთან, მალარიასთან და ტუბერკულოზთან ბრძოლის გლობალური ფონდის პროექტით დაფინანსდა 12 მილიონი აშშ დოლარით დაფინანსდა და ეს თანხა თითქმის 10-ჯერ აღემატება აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის ეროვნული პროგრამის მთელ ბიუჯეტს. გლობალური ფონდის პროექტის ფარგლებში საქართველოში შიდსით დაავადებული ყველა ავადმყოფი უზრუნველყოფილია მაღალაქტიური ანტირეტროვირუსული თერაპიით, ანტირეტროვირუსულ რეზისტენტულობაზე ტესტირებითა და სხვ. ანტირეტროვირუსული მკურნალობა ერთი ადამიანისათვის წელიწადში 1600 -იდან 2000-მდე ამერიკული დოლარი ჯდება. როგორც ეს სხვა ბევრ ქვეყანაში უკვე მოხდა, მაღალაქტიური ანტირეტროვირუსული თერაპიის ხელმისაწვდომობა აივ-ინფექციისა და შიდსის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებას ჩვენშიც შეცვლის. საზოგადოება დაინახავს, რომ ეს არა მომაკვდინებელი, არამედ სახიფათო მაგრამ მართვადი ქრონიკული ინფექციაა. შესაბამისად, მრავალ ადამიანს გაუჩნდება ნებაყოფლობითი კონსულტირებისა და ტესტირების (VCT) სურვილი. ანტირეტროვირუსული მკურნალობის ხელმისაწვდომობასთან ერთად, შიდსით დაავადებულები უზრუნველყოფილი იქნებიან განათლებით, მოვლითა და მხარდაჭერით

II.8 ნარკოტიკების მოხმარების ბავრცელეების შემზღუდავი ზომები

- საქართველოში ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის ტრადიცია ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. ამ სფეროში მხოლოდ ერთეული მცირე მასშტაბიანი პროექტები ხორციელდება და სახელმწიფოს მხრიდან გამოყოფილი თანხებიც ძალზედ მწირია. (მაგალითად, 2004 წლის ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტი მთელი საქართველოსათვის 500000 ლარი იყო, რომლის დიდი ნაწილიც ნარკოლოგიურ ექსპერტიზას უნდა მოხმარებოდა).
- საქართველოში ნარკოტიკებზე დამოკიდებულთა მომსახურების სფეროებიც ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა. ქვეყანაში ამ მხრივ მნიშვნელოვანი დეფიციტი არსებობს, როგორც მომსახურების სპექტრის მრავალფეროვნების, ისე ამ პროცესში ჩართული ნარკოლოგიურ დაწესებულებათა რაოდენობის თვალსაზრისით. ამის მიზეზი შეიძლება იყოს: ნარკოტიკების მოხმარებელთა მკურნალობის იდეოლოგიის მძიმე საბჭოური მემკვიდრეობა, რომლის არაჰუმანური პრინციპების დაძლევის ქართველ სპეციალისტთა მრავალწლიანი ბრძოლა დასჭირდა; ასეთი ტიპის მკურნალობის ღარიბი ტრადიციები და შესაბამისი ინსტიტუციონალური ბაზისის სიმწირე; უკანასკნელ წლებში ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების შედეგად ახალი ტიპის მომსახურებისათვის მატერიალური ბაზის შესაქმნელად წარმოქმნილი სირთულეები; და ფინანსური პრობლემების გამო ნარკოტიკების მოხმარების მკურნალობისათვის არსებული საშუალებების გამოუყენებლობა.
- მკურნალობის ძირითადი სახე ამბულატორიულ პირობებში განხორციელებული დეტოქსიკაცია და შემდგომი რეაბილიტაციაა. ქვეყანაში არ არსებობს პოსტ-დეტოქსიკაციის სტაციონარული მკურნალობის ცენტრები, მათ შორის არც ერთი თერაპიული ან სხვა ტიპის რაიმე სპეციფიკური სარეაბილიტაციო დაწესებულება. მიუხედავად ქართველ სპეციალისტთა და ალკოჰოლზე დამოკიდებულთა ანონიმური და ნარკოტიკებზე დამოკიდებულთა ანონიმური საზოგადოების (Alcoholics Anonymous and Narcotics Anonymous volunteers) მოხალისე უცხოელ წარმომადგენელთა მრავალწლიანი (მრავალგზისი) მცდელობისა, ნარკოტიკების მოხმარებელთა თვითდახმარების მოძრაობა წელი ტემპით ვითარდება და ჯერ კიდევ ჩანასახოვან სტადიაში იმყოფება.
- ჯერჯერობით ჩანაცვლებითი თერაპიის არცერთი პროგრამა არ განხორციელებულა. თუმცა ამ თვალსაზრისით აღინიშნება მნიშვნელოვანი წინსვლა – მეტადონური ჩანაცვლების პილოტური პროგრამა, რომელიც ერთდროულად 60 პირს მოემსახურება, 2005 წელს დაიწყო თბილისში. 2006 წლის დასაწყისისთვის კი კიდევ ორი ცენტრის გახსნა დაგეგმილი და იგი 200 პირს მოემსახურება. აღნიშნული პროგრამები გლობალ ფონდის პროექტის ადვანსარცხით შიდს-ი, ტუბერკულოზი და მალარია მიერ დაფინანსდება
- არ არსებობს ნარკოტიკების მოხმარებელთა სოციალური რეაბილიტაციის პროგრამა.
- დაკავების ადგილებშიც არ მუშაობს ნარკოტიკების მოხმარებელთა მკურნალობა/რეაბილიტაციის რაიმე პროგრამა; ფინანსების უქონლობის გამო სავალდებულო მკურნალობაც (მიუხედავად არსებული კანონისა). ვერ ხორციელდება
- დღესდღეობით საქართველოში ნარკოტიკების მოხმარებელთა მკურნალობაზე მოთხოვნა და ასეთი მკურნალობის ჩატარების შემთხვევების რაოდენობა მნიშვნელოვან სხვაობას იძლევა. 2003

წელს საქართველოში მკურნალობა 306-მა პაციენტმა გაიარა, რაც ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობას თუ გავითვალისწინებთ, ძალიან ცოტაა. ამის ძირითადი მიზეზი კი ის არის, რომ სახელმწიფო ვერ აფინანსებს მათ მკურნალობას და ამიტომ პაციენტების უმრავლესობას, ამის გაკეთება საკუთარი სახსრებით უხდებათ.

ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის არადაამაკმაყოფილებელი დონე და მომხმარებელთა არაეფექტური მკურნალობა/რეაბილიტაცია, მეტად უწყობს ხელს ნარკოტიკების მოხმარებისა და მასთან დაკავშირებული დაავადებების გავრცელებას.

ინტერვიუ, ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დეპარტამენტის უფროსთან, ლევან ბარამიძესთან

ვინაიდან საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დეპარტამენტს წარმოვადგენ, მე შემიძლია მხოლოდ სხვადასხვა დაავადებების პრევენციის პრიორიტეტებზე გესაუბროთ. აქ გამოვყოფდი სექსუალური გზით გადაცემულ დაავადებებს, რეპროდუქციულ ჯანმრთელობას და მწველობას. ამჟამად, ბავშვების საყოველთაო იმუნიზაციის პროგრამაზე ვართ ფოკუსირებული, რომელსაც გაეროს ბავშვთა ფონდი, როსტროპოვიჩის ფონდი და სახელმწიფო აფინანსებენ. ეს არაჩვეულებრივი კაპიტალდაბანდებაა. პირველადი დახმარების სექტორში რეპროდუქციული ჯანმრთელობის რამდენიმე პროგრამა მუშაობს. კერძოდ, ჩვენ ვებრძვით აბორტს საქართველოში შობადობის კონტროლის მთავარი ბერკეტი - და ვცდილობთ კონტრაცეპტივების რეგულარული გამოყენება დაწინაურებულ. პირველადი დახმარება, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ეკონომიკური მაღალეფექტურობის გამო. ჩვენ დასავლეთის მიერ აპრობირებული, წარმატებული გზა ავირჩიეთ.

ჩვენი დეპარტამენტი ასევე ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურების საკითხებზეც მუშაობს. ვცდილობთ ამ პრობლემებსაც გავართვათ თავი.

სახელმწიფოს კიდევ ერთ პრიორიტეტს ფსიქიატრიული დაავადებები წარმოადგენს.

სექსუალური გზით გადაცემული დაავადებები, მათ შორის აივ-ის პრევენცია ასევე ჩვენი პრიორიტეტია. ამ სფეროს სახელმწიფო პროგრამები მოიცავენ. უცხოური და საერთაშორისო ორგანიზაციებიც გამოყოფენ გრანტებს ამ მიზნებისათვის. აივ-ის პრევენციის მთავარ პროგრამას შიდს-ის და კლინიკური იმუნოლოგიის ეროვნული ცენტრი განახორციელებს. პროგრამას სახელმწიფო და გლობალ ფონდი აფინანსებენ. პროგრამის ზოგიერთი კომპონენტი უკვე ხორციელდება, დანარჩენები კი უახლეს მომავალში ამუშავდება. რა თქმა უნდა, არსებობს სირთულეებიც, რაც როგორც არასაკმარისი თანხებით ასევე ჩვენი შეცდომებითაა გამოწვეული. ვფიქრობ, მიუხედავად ყველაფრისა მაინც წარმატებებს ვაღწევთ ამ სფეროში.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული შიდს-თან ბრძოლის პროგრამები ადგილობრივი პირობებთან მორგებას მოითხოვს. საქართველოში ყველაზე დიდია რისკ-ჯგუფი ნარკოტიკების მომხმარებლებისაგან (მათ შორის ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებისაგან) შედგება. ოფიციალური, მნიშვნელოვნად დაწეული (შემცირებული) მონაცემების მიხედვით, რეგისტრირებული ქრონიკული ნარკომანების (ანუ პაციენტების) რიცხვი საქართველოში 6 000 ია, პლუს 15 000 ნარკოტიკის მომხმარებელი. სამწუხაროდ, ინტრავენული ნარკომანების/ნარკოტიკების მომხმარებლების რეალური რაოდენობის დადგენა ვერ ხერხდება, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ისინი ათასობით არიან და ყველანი ინფიცირების მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან. რთულია ასეთი მოსახლეობის გაკონტროლება, რადგანაც პრევენციის პროგრამების მხოლოდ

ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლების მცირე ნაწილს მოიცავენ. ჩვენ დიდი რესურსები და კარგი მენეჯმენტი გვესაჭიროება, რაც დღეს აშკარად გვაკლია. კიდევ ერთ რისკ-ჯგუფს კომერციული სექს-მუშაკები წარმოადგენენ. ეს ჯგუფიც განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს. კიდევ ერთი რისკ-ჯგუფი სისხლისა და ორგანოების დონორები არიან. წრსულში მთელი ჩაბარებული სისხლის სკრინირება შეუძლებელი იყო. ეს სისხლი დღეს ტესტირებას გადის, თუმცა მისი მეტი უსაფრთხოებისათვის ორმაგი ან სამმაგი შემოწმება ყოველთვის ვერ ხერხდება. აქაც არასაკმარისი ფინანსები და ცუდი მენეჯმენტის პრობლემები იჩენს თავს. მიუხედავად ამისა, შემიძლია ვთქვა, რომ სახელმწიფო თანდათანობით, მეტი და მეტი გაგებით ეკიდება ამ პრობლემებს და მათ აგვარებს კიდევ. ჩვენ სწორი გზით მივდივართ. რა თქმა უნდა, თანხების სიმწირის გამო შეუძლებელია აივ/ შიდს-ის ყველა პრობლემის გადაჭრა, მაგრამ თუ ყველაფერი სწორი მიმართულებით განვითარდება, დადებით შედეგებს აუცილებლად მივიღებთ. კერძოდ იმას ვგულისხმობ, რომ ჩვენ აივ-ის ეპიდემიის სერიოზულ აფეთქებას ველოდებით, მაგრამ არ ვფიქრობთ, რომ იგი ისეთ კატასტროფულ შედეგებს გამოიწვევს როგორც ეს რუსეთსა და უკრაინაში ხდება. რა თქმა უნდა, მხოლოდ სახელმწიფო

და ეროვნული ცენტრი ამ პრობლემას თავს ვერ გაართმევენ. კერძო სექტორის როლი აქ მეტად დიდია. სახელმწიფოს შეუძლია და მან უნდა განსაზღვროს არასამთავრობო სექტორის საქმიანობის სფერო და იგი შესაბამისი ფონდებით (თანხებით) უზრუნველყოს. საერთაშორისო დონორებს რაც შეეხება, შეუძლებელია მათი როლი სათანადოდ არ შევავსოთ.

აივ-ინფექცია/შიდსის საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების ცოდნის ამაღლებაც აუცილებელია. რამდენიმე წლის წინ მედიცინის მუშაკთა და სტუდენტთა მცირემასშტაბიან კვლევას ვანარმოებდი. შედეგები მეტად არადადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. გამოკითხულთა დიდმა რაოდენობამ არ იცოდა აივ-ის გადაცემის გზები, ცოტა იცოდა რისკ-ფაქტორების შესახებ და ა.შ. თუ პროფესიონალებში ასეთი შედეგებია, წარმოდგინეთ ცოდნის რა დონე აქვს საზოგადოებას. ამდენად, ამ მიმართულებაზეც გვინევს აქცენტის გაკეთება. საზოგადოების ცოდნის დონის ასამაღლებლად, ვფიქრობთ, მასმედიას გამოვიყენებთ. ცნება ჯანმრთელი ქცევა და მისი კომპონენტები საზოგადოების მენტალიტეტისა და მისი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი უნდა გახდეს.

აივ-ინფიცირებული ადამიანების სტიგმატიზაციას რაც შეეხება, დღესდღეობით ტესტირების ანონიმურობა და კონფიდენციალობა გარანტირებულია. საზოგადოებაში, ამასთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო სამუშაოების ჩატარება ჯერ კიდევ აუცილებელია, რათა ინფიცირებული ადამიანები მისგან გარიყელი არ აღმოჩნდნენ. ჩვენ ვიცით, რომ ეს მეტად სერიოზული პრობლემაა.

რაც შეეხება რეგიონებს, აივ-ინფექციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საზღვართან ახლო მდებარე რაიონებში (მაგ. პორტები ბათუმი და ფოთი) და აზერბაიჯანის მოსაზღვრე ტერიტორიაზეა. ჩვენს დეპარტამენტს ეპიდემიოლოგიური ქსელი აქვს, რომელიც აივ ინფექცია/შიდსის (და არა მხოლოდ აივ/შიდს-ის) გარკვეული კონტროლის საშუალებას იძლევა. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც არსებობს წუხილის გარკვეული საფუძველი. როგორც ვიცით, მიგრანტებიც რისკ-ჯგუფს განეკუთვნებიან. უკვე იმაზეც ფიქრობთ, რომ ტესტირება ჩვენ [საკუთარ] მოქალაქეებს და საქართველოში მცხოვრებ უცხოელებსაც ჩავუტაროთ. საქართველოს მოქალაქეები ხშირად მოგზაურობენ ისეთ ქვეყნებში, სადაც აივ-ინფექციის გავრცელების მაჩვენებელი უფრო მაღალია ეს კი მეტად სახიფათოა. ყველა პროექტის განხორციელებას, ჯერჯერობით, თანხების სიმწირე უშლის ხელს. ჩვენ მათი გადაჭრის გზებსაც ვეძებთ.

განახლებული საქართველოს მთავრობას სჯერა, რომ კორუფციასთან დაუნდობელი ბრძოლით და გადასახადების აკრეფის გაუმჯობესებით, ჯანმრთელობისთვის, მათ შორის აივ/შიდს-თან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად, ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების რაოდენობა მომავალში გაიზრდება და საკუთარი ახალი რესურსებითა და საშუალებებით გლობალ ფონდის პროექტის დავამარცხოთ შიდს-ი, ტიბერკულოზი და მალარია დასრულების შემდეგ, საქმის გაგრძელებას თვითონ შესძლებს.

III ნანილი. კონკრეტული მაგალითი

ახალგაზრდების განათლება აივ/შიდს-თან დაკავშირებულ საკითხებზე საქართველოს ბავშვთა ფედერაცია (სფ)

მისამართი:

380086 საქართველოს რესპუბლიკა

თბილისი, ვაჟა-ფშაველას 76ბ

ტელ. 955 32 302252; 955 32 303191; 955 32 983998;

ფაქსი: 955 32 983998

ელ-ფოსტა: shoge7@yahoo.com

თავმჯდომარე: კობა გილაშვილი

საკონტაქტო პირი: შოთა მაღლაკელიძე □ თავმჯდომარის მოადგილე

III.1 რატომ საქართველოს ბავშვთა ფედერაცია?

არჩევანი საქართველოს ბავშვთა ფედერაციაზე იმიტომ შეჩერდა, რომ მას საქართველოს მთელი მასშტაბით ბავშვებთან და მოზარდებთან მრავალ სხვადასხვა და მათ შორის აივ/შიდსთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობის ხანგრძლივი და დიდი გამოცდილება გააჩნია. ამ ორგანიზაციის თანამშრომლები გამოცდილი ადამიანები არიან, რომლებსაც ახალგაზრდების ენა კარგად ესმით. ისინი ამხნევენ და მხარს უჭერენ ახალგაზრდებს. თანამშრომელთა ნახევარზე მეტი სტუდენტი ან ახალი კურსდამთავრებულია.

პრეზიდენტის ბრძანებულებით ორგანიზაცია სახელმწიფოს მიერ ფინანსდება, თუმცა სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების და გაეროს (USAID, UNICEF, UNFPA) მიერ დაფინანსებულ პროექტებსაც ანხორციელებს.

საქართველოს ბავშვთა ფედერაციას ბავშვთა და მოზარდთა საკითხებთან დაკავშირებული ეროვნული პოლიტიკის განსაზღვრაში ერთ-ერთი მთავარი როლი აკისრია. სფ-თან მჭიდრო კავშირში მყოფი არასამთავრობო ორგანიზაციის, საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტის წარმომადგენელთა ძლიერი ქსელი, ფედერაციასთან ერთად მთელ ქვეყანაში სხვადასხვა სახის და მათ შორის აივ/შიდს-თან დაკავშირებულ საქმიანობას ანხორციელებს.

საქართველოს ბავშვთა ფედერაცია ახალგაზრდული საკითხების ექსპერტთა დიდ ჯგუფთან თანამშრომლობს (საზოგადოებრივი ლიდერები, განათლების სამინისტრო, ჯანდაცვის სამინისტრო, ახალგაზრდული საკითხების სახელმწიფო დეპარტამენტი და სხვ.) მას აგრეთვე ურთიერთობა აქვს საქართველოს მუსიკისა და სპორტის ვარსკვლავებთან, რომლებიც ფედერაციის მიერ ჯანმრთელი ცხოვრების წესისა და ახალგაზრდებში ცოდნის პროპაგანდის მიზნით გამართულ კამპანიებში აქტიურად არიან ჩაბმულნი.

სფ არა მხოლოდ ბავშვებთან, არამედ მის მშობლებთანაც მუშაობს, რაც მას არაჩვეულებრივ შესაძლებლობას უქმნის, შეიმუშაოს და განახორციელოს ეფექტური პროგრამები ისეთ მტკიცებულ საკითხებზე, როგორცაა, მაგალითად, აივ/შიდს-ი და ახალგაზრდების სექსუალური განათლება. სფ-ს კულტურული კაპიტალი კი იმას მონიშნავს, რომ ეს დაწესებულება ამ რთულ საქმეს თავს კარგად გაართმევს. ამასთან ერთად, სკოლაში ახალგაზრდების სექსუალური განათლების საკითხებთან დაკავშირებით, ფედერაცია დიალოგს აწარმოებს ქართული ეკლესიის ლიდერებთან და მართლმადიდებელქრისტიანმშობელთა ასოციაციასთან. ფედერაციამ საზოგადოების წარმომადგენელთა კომისია შექმნა, რომელიც ახალგაზრდების სექსუალურ განათლებასთან დაკავშირებულ საქმიანობას თვალყურს ადევნებს, რათა დარწმუნდეს, რომ ეს პროგრამა ადგილობრივი (გარემოს) პირობების შესატყვისი და კულტურულად მისაღებია.

სფ-ის კულტურული კაპიტალის სათანადოდ შესაფასებლად და კერძოდ, ახალგაზრდების აივ ინფექცია/შიდსთან დაკავშირებული განათლების საკითხებზე მისი ზემოქმედების გამოსავლენად ჩვენ ინტერვიუ ავიღეთ ამ ორგანიზაციის თავმჯდომარისაგან, ბატონ კობა გილაშვილისაგან. გარდა ამისა, სფ-ში გაერთიანებული ახალგაზრდებისაგან შეიქმნა ფოკუს-ჯგუფი და ფედერაციაში მათი მოსვლის ინტერესების დასადგენად ამ მოზარდების გამოკითხვა მოხდა. ეს ინტერვიუებიც ფედერაციის საქმიანობაზე ასევე მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა.

III.2 ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ

საქართველოს ბავშვთა ფედერაცია, როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია, 1991 წლის 3 ივნისს დაარსდა. მისი მიზანია ახალგაზრდულ საქმეებთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის გაუმჯობესება და გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის № 139 ბრძანებულების მიხედვით სბფ იურიდიულ პირად იქცა საზოგადოებრივი კანონით, რის შედეგადაც, იგი სახელმწიფო □ბიუჯეტიდან ფინანსდება და სახელმწიფო პოლიტიკას ემორჩილება.

ახალგაზრდულ საქმეთა სახელმწიფო დეპერტამენტთან ერთად, სბფ ვალდებულია ბავშვებისა და მოზარდების ცხოვრებისა და სწავლის პირობების მონიტორინგი აწარმოოს და პრეზიდენტს ანგარიში ჩააბაროს.

ბავშვთა უფლებების საერთაშორისო კონვენციის თანახმად ბავშვთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა სბფ-ის უმთავრესი მიზანია

III.3 ორგანიზაციული სტრუქტურა

სბფ-ის ადმინისტრაციული შტატი 12 ადამიანისაგან შედგება, რომლებსაც თავმჯდომარე, ბატონი კ. გილაშვილი ხელმძღვანელობს (თავმჯდომარეს სახელმწიფო ნიშნავს). სხვადასხვა სფეროების ადმინისტრაციულ და პროგრამულ სამუშაოებს მისი სამი მოადგილე წარმართავს.

ინტერვიუ სბფ-ის თავმჯდომარესთან, ბატონ კობა გილაშვილთან

ჩვენი ორგანიზაცია 1991 წელს დაარსდა. იგი, იმ დროს ჩამოყალიბების პროცესში მყოფი არასამთავრობო სექტორის მცირერიცხოვან წევრთა შორის, ერთ-ერთი იყო. ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში მუშაობა, გარკვეულწილად, ჩვენ პირველებმა დავიწყეთ. 1998 წლიდან ჩვენს ორგანიზაციას □საქართველოს ბავშვთა ფედერაცია□ ეწოდება.

ჩვენი ორგანიზაცია (ფონიდი), ძირითად, ბავშვებისა და მოზარდებისათვის კულტურული და საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვას, მათი უნარ-ჩვევების გაცნობიერებასა და შემდგომ განვითარებას ემსახურება. ის ბავშვები და მოზარდები, რომლებთანაც □საქართველოს ბავშვთა ფედერაცია□ მუშაობს ორ ჯგუფად შეიძლება დაეყოთ. პირველი ჯგუფი დაახლოებით 300-350 ბავშვისგან შედგება. ეს ბავშვები, მთელი აკადემიური წლის მანძილზე, ჩვენთან აქტიურად თანამშრომლობენ, დადიან ჩვენს ორგანიზაციაში და თვითგანვითარებას ეწევიან. მეორე ჯგუფი, რომელთანაც ორგანიზაცია მუშაობს იმ ბავშვებისა და მოზარდებისაგან შედგება, ვინც სხვადასხვა თეატრალურ, მუსიკალურ, სპორტულ, გამაჯანსაღებელ და საგანმანათლებლო ღონისძიებებში, შეჯიბრებებში, შეხვედრებში და ფესტივალებში მონაწილეობს. ჩვენი საქმიანობა პასიურ აუდიტორიასაც მოიცავს, რომელიც ბევრად უფრო მეტი ადამიანისაგან შედგება.

ფაქტი, რომ ჩვენმა ორგანიზაციამ გლობალ ფონდისაგან დაფინანსება მიიღო, რათა პროექტის ერთ-ერთი კომპონენტი, კერძოდ, ახალგაზრდებში აივ/შიდს-ის პრევენცია განახორციელოს, ლოგიკურიც არის და მოულოდნელიც. მოულოდნელია იმიტომ, რომ აივ-ინფექციის საკითხებზე აქამდე არასოდეს გვიმუშავია. ლოგიკური კი, პირველ რიგში, იმიტომ არის, რომ ამ რთულ კონკურსში მონაწილეობისას ჩვენს გვერდით ისეთი პარტნიორები იდგნენ როგორებიც არიან: ინფექციურ სნეულებათა, შიდს-ის და კლინიკური იმუნოლოგიის კვლევითი ცენტრი, არასამთავრობო ორგანიზაციები □ბემონი□ და □თანადგომა□, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტეს წარმომადგენლები. მათ შიდს-ის პრევენციაში დიდი გამოცდილება გააჩნიათ. ლოგიკურია მიზეზიც რომლის გამო ამ გამოცდილმა პარტნიორებმა ჩვენთან თანამშრომლობა გადაწყვიტეს □ საქართველოში აივ-ინფექციის ეფექტური პრევენციისათვის საჭირო პროგრამები და საქმიანობა აუცილებლად საუკეთესო კულტურულ ტრადიციებს უნდა ეყრდნობოდეს. უცხოური პროგრამებისა და მეთოდების უცვლელად გადმოღებამ შესაძლოა შედეგი საერთოდ არ გამოიღოს, ან სრულიად საპირისპირო სურათი მივიღოთ. ჩვენი პარტნიორების არჩევანი, ჩემი აზრით, კულტურული და საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვის ჩვენმა მრავალწლიანმა გამოცდილებამ განაპირობა.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ამ პროგრამების ამოქმედება ადვილი საქმეა. დღეს საქართველოში არსებობენ ისეთი რელიგიური და პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც თვლიან, რომ აივ-ინფექცია ჩვენს ქვეყანაში სერიოზულ პრობლემას არ წარმოადგენს და ამ მიმართულებით ბავშვებთან და სტუდენტებთან მუშაობა სრულიად არ არის საჭირო. ისინი ფიქრობენ, რომ ასეთი პროგრამები ახალგაზრდებს მხოლოდ სექსისა და ნარკოტიკების მოხმარებისადმი □არაჯანსაღ ინტერესს□ გაუჩენს, ცოდვებისაკენ, გარყვნილებისა და ნადრევი სექსუალური კავშირებისაკენ უბიძგებს, რაც შიდსისა და სხვა სექსუალური გზით გადაცემული დაავადებების გავრცელებას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს. მათი აზრით, ასეთი სახის სამუშაო მხოლოდ მაღალი რისკის მქონე ჯგუფებთანაა საჭირო.

სამწუხაროდ, სწორედ ახალგაზრდობა წარმოადგენს მაღალი რისკის ჯგუფს. შეუძლებელია არ ვაღიაროთ, რომ სექსუალური ცხოვრებისა და ნარკოტიკების შესახებ დღევანდელი ახალგაზრდობა

თავის მშობლებზე ბევრად უკეთაა ინფორმირებული. ტელევიზიითა და ინტერნეტით მიღებული ინფორმაცია ხშირად სარისკო ქცევას იწვევს. სწორედ ამიტომ არის საჭირო ისინი რეალურ ფაქტებზე დაყრდნობილი სწორი, პროფესიონალური ინფორმაციით ვუზრუნველყოთ.

როგორც უკვე ავლინებ, ჩვენი პროგრამები იმ კონცეფციებს დაეყრდნობა, რომლებიც ჩვენს ტრადიციებს, ეთიკური აღზრდის პრინციპებს და ოჯახისა თუ რელიგიურ ფასეულობებს გამოხატავენ. ამ ორგანიზაციებს პრევენციის პროექტების შემუშავებაში აქტიური მონაწილეობის მიღებას ვთავაზობთ. ერთ-ერთი პრობლემა ისიცაა (თუმცა ამ პრობლემის გადაჭრა რთული არ არის), რომ ჯანსაღი ცხოვრების პრინციპების პროექტს სკოლებისათვის განათლების სამინისტროც ამუშავებს, რამაც ჩვენი პროგრამების განმეორება შეიძლება გამოიწვიოს. ამიტომ, ჩვენი საქმიანობის კოორდინირებაა აუცილებელი. იმედი გვაქვს, ეს საკითხი ადვილი გადაწყდება, მითუმეტეს, რომ გლობალ ფონდის მთავარი ადრესატი სახელმწიფოა, და იგი ამ პროექტის ეფექტური განხორციელებით მეტად დაინტერესებულია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გაკეთდეს:

1. ახალგაზრდების სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის აივ-ის პრევენციის საკითხზე სასაწავლო პროგრამის (კურიკულუმის) (მასწავლებლებისათვის გამოსაყენებლად) მომზადება; ტრენინგების ტრენინგები, რომლებიც მასწავლებლებსა და სკოლის ფსიქოლოგებს ჩაუტარდებათ; შემდგომ ბავშვებთან და მოზარდებთან შემდგომი მუშაობა.
2. თანატოლთა ურთიერთგანათლებლაში მონაწილეობის მიღებით დაინტერესებული მოზარდების მომზადება. ჩვენი მიზანია საგანმანათლებლო მუშაობა, პრინციპით □თანატოლი-თანატოლს□, ქუჩის ბავშვებთანაც ვანარმოთ. დიდი იმედი გვაქვს, რომ ამასთან დაკავშირებით ბავშვთა□ პარლამენტი დაგვეხმარება, რომლის წევრებიც ობოლი და უნარშეზღუდული ბავშვთა სახლების ბავშვებიც არიან.
3. □მაღალი რისკის მქონე ჯგუფებთან□ (ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელი და სექს-მუშაკებთან დაუცველი სექსი მქონე ახალგაზრდები) ინდივიდუალური მუშაობა. ჩვენი კოალიცია, წელს, ასეთი მუშაობის ჩატარებას ჩვენს ორგანიზაციაში თბილისში და ფოთის პორტში გეგმავს, სადაც ამგვარ, სტატისტიკურად პრობლემურ ბავშვთა რაოდენობა დიდია.
4. სასწავლო მასალის შემუშავება.
5. მშობლებთან საგანმანათლებლო სამუშაოს ჩატარება.
6. მოზარდებისთვის ალტერნატიული საქმიანობის უზრუნველყოფა □კუთურულ, გამაჯანსაღებელ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა.
7. ჩვენი დანესებულების მიერ განსახორციელებელ სხვადასხვა კულტურულ და გასართობ პროექტებში ახალგაზრდების გაერთიანება; ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდა და აივ-ინფექციის შესახებ ინფორმაციის უზრუნველყოფა; წელს დახლოებით ასეთი 30 ღონისძიება გვაქვს დაგეგმილი. მაგ. ეხლახანს, საბავშვო თეატრალური ფესტივალი გვექონდა. მოზარდები სცენიდან აუდიტორიას აივ-ინფექციის პრობლემებზე აწვდიდნენ ინფორმაციას. უახლოეს მომავალში აივ-ინფექცია/შიდსისა და ნარკოტიკების მოხმარების თემატიკაზე კინო ფესტივალი ჩატარდება. კინოსეანსების შემდეგ ამ თემაზე დისკუსიები გაიმართება.
8. განზრახული გვაქვს პრევენციულ საქმიანობაში სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი (შოუბიზნესი, თეატრი, სპორტი) ქართველი ვარსკვლავები ჩავრთოთ. შოუბიზნესის რამდენიმე ახალგაზრდა წარმომადგენელთან მემორანდუმს უკვე მოვანერეთ ხელი. მათ უფასოდ ჩაწერეს აივ-ის წინააღმდეგ მიმართული სიმღერა, რომელიც ხშირად ჟღერს მოზარდებში პოპულარულ რადიო და ტელეარხებზე. მალე გამოვა აუდიოკასეტა, რომელიც ახალგაზრდა ვარსკვლავებმა ჩვენთვის უფასოდ ჩაწერეს. კასეტაზე, სიმღერებს შორის, აივ-ის შესახებ მოკლე ინფორმაცია გაიჟღერებს. ამ კასეტების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა შიდს-ით დაავადებულთა დახმარების ფონდს გადაეცემა.

მატირილარ-ტიქნიკური ბაზა

სბფ ორსართულიან შენობაშია განთავსებული. 5 სამუშაო ოთახის გარდა, აქ არის ტრენინგისათვის განკუთვნილი კაბინეტი და ოთახი ცეკვისა და მუსიკის გაკვეთილებისათვის; გარდა ამისა, 200 ადგილიანი კინო-დარბაზი, დარბაზი და რამდენიმე დამათებითი ოთახი ბავშვებისა და მოზარდების საინფორმაციო/საგანმანათლებლო საქმიანობისა და თავისუფალი დროის ორგანიზებისათვისაა განკუთვნილი.

სბფ-ს გვერდით ახლადშენებული ეკლესიაა, რომელიც სბფ-ის წევრ ბავშვებსა და მშობლებს ემსახურება. ამ ეკლესიის აგებაში ფედერაციის ბევრმა მოზარდმა მიიღო მონაწილეობა. ეკლესია სბფ-ს რელიგიური და საგანმანათლებლო საქმიანობის კომბინირებაში ეხმარება.

სფ-ის მისია:

ხელი შეუწყოს ფიზიკურად და გონებრივად ჯანმრთელი და ჰარმონიული მომავალი თაობის აღზრდას და საქართველოს ბავშვებსა და ახალგაზრდებს პრობლემის დანახვასა თუ გადაჭრაში და განათლების მიღებაში დახმარება აღმოუჩინოს.

- ბავშვებისა და ახალგაზრდების თავისუფალი დროის ორგანიზება და ამ მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

- ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის, მათ შორის კრიზისული რეგიონებიდან (აფხაზეთი და ოსეთი), ინტელექტუალურ-შემოქმედებითი, შემეცნებითი, გამაჯანსაღებელი, ფსიქო-სოციალური პროგრამების განხორციელება.

სფ-ის ბენეფიციარები

ბავშვებისა და მოზარდების მშობლები.

400 მეტი ახალგაზრდა და მისი მშობელი, რომელიც ყოველდღე დადის სფ-ში. გარდა ამისა, სფ სხვადასხვა რეგიონალურ პროექტსა და პროგრამას ანხორციელებს, რომელიც ყოველწლიურად 40 000 ბავშვთან და მოზარდთან ურთიერთობას გულისხმობს.

III.4 სფ-ის მიერ განხორციელებული პროექტები და საქმიანობა:

- 1 ივნისს ბავშვთა საერთაშორისო დღეს და 20 ნოემბერს, ყოველწლიური საბავშვო ღონისძიებების (კონცერტები, საქველმოქმედო ღონისძიებები, ბავშვთა ნახატების გამოფენები, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეთა ტელევიზიით ბავშვებისადმი მიმართვა, სადღესასწაულო-მისალოცი ღონისძიებები და სხვ.) ჩატრება გაეროს ბავშვთა ფონდისა და Save the Children ფინანსიური მხარდაჭერით;

- საშობაო საღამო პრეზიდენტის დარბაზში (სასახლეში) (კონცერტითა და საჩუქრებით), სადაც ყოველწლიურად მონაწილეობს 5 000 მეტი ბავშვი ხელმოკლე ოჯახებიდან. ეს ღონისძიება, ძირითადად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, თუმცა რამდენიმე თანადაამფინანსებელიც ჰყავს.

- ანგარიში ბავშვთა მდგომარეობაზე საქართველოში რომელიც მთლიანად ბავშვთა ფედერაციის სახელმწიფო ფონდმა დააფინანსა (1999).

- პროექტი ბავშვებისა და ახალგაზრდების პარლამენტი , რომელიც გაერო-ს ბავშვთა ფონდმა ახალგაზრდულ საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტთან თანამშრომლობით, ბავშვებში და ახალგაზრდებში ლიდერობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებისათვის დააფინანსა; პარლამენტი მთელი საქართველოს მასშტაბით 200 ბავშვსა და მოზარდს (თითოეული რაიონიდან 2 ადამიანი) აერთიანებს.

- პროექტი ლიდერ-ინსტრუქტორების სკოლა , რომელსაც მხარდაჭერა განათლების სამინისტრომ და ახალგაზრდულ საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტმა აღმოუჩინა. პროექტის ფარგლებში ბავშვთა ბანაკისათვის ლიდერ-ინსტრუქტორების სპეციალური ორთვიანი ტრენინგი იყო ორგანიზებული. ფინანსიური მხარდაჭერა სფ-ის სახელმწიფო ფონდმა განახორციელა.

- პროექტი ახალგაზრდები და ბავშვები XXI საუკუნის მიჯნაზე , რომელსაც მუდმივმოქმედი გამოფენის მოსაწყობად გაეროს ბავშვთა ფონდი და ორგანიზაცია Save the Children აფინანსებს. პროექტი სფ-ის შენობაში მუდმივმოქმედი გამოფენის ორგანიზებას გულისხმობს, რომელიც ბავშვთა მდგომარეობას, კანონმდებლობას, ჯანდაცვას, ბავშვთა უფლებების დაცვას, მათი საქმიანობის სხვადასხვა სფეროებს და სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობას გააშუქებს;

- შემოქმედებით-შემეცნებითი და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამები (ბანაკები) ყველა კატეგორიის (სოციალურად დაუცველი, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული და სხვ.) სხვადასხვა ეროვნების (საქართველოში, კავკასიაში და სხვა რეგიონებში მცხოვრები) ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის. ეს პროგრამები სახელმწიფო ბიუჯეტიდან და პრეზიდენტის ფონდის მეშვეობით ფინანსდება;

- რამდენიმე პროგრამა, რომელიც განკუთვნილია ახალგაზრდების ტრენინგებისათვის (მათ შორის ტრენინგების ტრენინგი და ტრენინგი თანატოლთა ურთიერთგანათლების პროგრამაში მონაწილეობისათვის (წამყვანთათვის)

- სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებათა ორგანიზება: ბავშვთა საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი ბროლის ნაძვი , საბავშვო თეატრალური ფესტივალი , საბავშვო ფოლკლორული ფესტივალი , და სხვ. ყველა ღონისძიებას თან ერთვის აივ/შიდს-ის შესახებ ინფორმაცია და საგანმანათლებლო აქტივობანი, რომელთაც გლობალ ფონდის პროექტი დავამარცხოთ შიდს-ი,

ტუბერკულოზი და მალარია (GFATM) უძღვება.

- სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზება კვლავ აივ/შიდსის შესახებ საგანმანათლებლო აქტივობებთან კომბინირებული: ქვეყნის ჩემპიონატი ფეხბურთში ვაჟებსა და გოგონებში (მონაწილეთა რაოდენობა 1000-მდე ადამიანი); ზამთარში მაღალმთიან ადგილებში არდადეგები და ზაფხულში - შავი ზღვის სანაპიროზე)

III.4.1 აივ-სა და შიდს-თან დაკავშირებული საქმიანობა

ორგანიზაცია როგორც გლობალ ფონდის პროექტის დაფინანსებით შიდსი ტუბერკულოზი და მალარია კონტრაქტორი, იმ ადგილობრივი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების კონსორციუმს ხელმძღვანელობს, რომლებიც პროექტის ახალგაზრდებში აივ-ინფექციისა და სექსუალური გზით გადაცემული ინფექციების პრევენციის კომპონენტს განახორციელებენ.

კონსორციუმში შედიან:

-საქართველოს ბავშვთა ფედერაცია ისეთ სპორტული და კულტურული ღონისძიებების ორგანიზებაზეა პასუხისმგებელი, რომლებიც ახალგაზრდებში აივ-ისა და სექსუალური გზით გადაცემული ინფექციების პრევენციის ცოდნის დონეს ამაღლებენ;

-შიდს-ის ეროვნული ცენტრი სტუდენტებსა და იძულებით გადაადგილებულ ახალგაზრდებში თანატოლთა ურთიერთგანათლების პროგრამის განხორციელებაზეა პასუხისმგებელი;

-საქართველოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი პასუხისმგებელია აივ/შიდსი-ის სასკოლო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და პილოტირებაზე;

-არასამთავრობო ორგანიზაცია თანადგომა აივ/შიდსის და სექსუალური გზით გადაცემული ინფექციების საკონსულტაციო ორი ახალგაზრდული ცენტრის (თბილისში და ფოთში) გახსნაზეა პასუხისმგებელი;

-ახალგაზრდების საერთაშორისო ქსელი იუვენკო აივ/შიდსის და სექსუალური გზით გადაცემული ინფექციების შესახებ ახალგაზრდებში არსებული ცოდნისა და ამ დაავადებებთან დაკავშირებული ქცევის შესწავლაზეა პასუხისმგებელი. ასეთი კვლევის შედეგები აივ-ინფექციის პრევენციის სასკოლო საგანმანათლებლო პროგრამების პროპაგანდას შეუწყობს ხელს.

განსაკუთრებით საინტერესოა სასკოლო საგანმანათლებლო კურიკულუმი, რომელსაც საქართველოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი სბფ-ის კონსორციუმის სხვა წევრებთან ერთად შეიმუშავებს.

ეს მეტად მტკივნეული საკითხია და ფრთხილ დამოკიდებულებას მოითხოვს. სბფ-ს იმედი აქვს, რომ საზოგადოების, მასწავლებლებისა და მშობლების მხარდაჭერით ამ პროგრამის სკოლებში განსახორციელება იქნება შესაძლებელი. ამ საკითხებზე გამართულ დიალოგებში მონაწილეობას ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, კვალიფიცირებული სპეციალისტები და რელიგიური ლიდერები მიიღებენ.

მაღე, (გლობალ ფონდის პროექტის დაფინანსებით შიდს-ი, ტუბერკულოზი და მალარია აქტიური ხელშეწყობით), სბფ-ს საკუთარი რადიო ტალღა ექნება რომელიც აივ/შიდსთან დაკავშირებულ სასკოლო საგანმანათლებლო პროგრამას პროპაგანდას გაუწევს და ამ საკითხებზე გამართულ რადიო გადაცემებში საზოგადოებრივი და რელიგიური ლიდერები, მშობლები, მასწავლებლები და თვით ახალგაზრდებიც საკუთარ აზრს თავისუფლად გამოთქვამენ.

ინტერნეტის მეშვეობით სბფ საქართველოს ახალგაზრდობისათვის პროპაგანდისტულ კამპანიას გეგმავს. შეიქმნება სპეციალური ვებ-გვერდი საქართველოს ახალგაზრდობა აივ ინფექცია/შიდსის წინააღმდეგ და ფორუმი, რომელიც ახალგაზრდებისათვის აივ/შიდსის, სექსუალური გზით გადაცემულ ინფექციებისა და ნარკოტიკების გამოყენების შესახებ ძირითადი ინფორმაციით უზრუნველყოფს. ფორუმი კი აივ-ინფექციის პრევენციის ფარგლებში ყველა კულტურული, საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებების გაშუქებას შეუწყობს ხელს. აქ, ყველა პრობლემურ და მტკივნეულ საკითხზე საუბარი იქნება შესაძლებელი, რაც საშუალებას მოგვცემს გავიგოთ თუ რას ფიქრობენ ახალგაზრდები.

აივ-სა და სექსუალური გზით გადაცემული ინფექციების შესახებ ახალგაზრდებისათვის ინფორმაციის მისაწოდებლად და მათი სექსუალური განათლების უზრუნველსაყოფად, 2008 წლის ბოლოს საქართველოში 10 ახალგაზრდული საკონსულტაციო ცენტრი გაიხსნება. საქართველოს სტუდენტები ჩაერთვებიან თანატოლთა ურთიერთგანათლების პროგრამაში, რომელსაც შიდს-ის ნაციონალური ცენტრი გაუძღვება სბფ-სა და კონსორციუმის სხვა წევრებთან თანამშრომლობით. იგივე პროგრამა იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდებისთვისაც განხორციელდება.

სბფ-ის მიერ, 2004-2005 წლებში, აივ-ინფექციის პრევენციის კამპანიის ფარგლებში 30-ზე მეტი კულტურული და სპორტული ღონისძიება დაგეგმილი, რომელშიც საქართველოს 30 000 მეტი

ახალგაზრდა მიიღებს მონაწილეობას.

საკუთარი საქმიანობის ეფექტურობის გასაძლიერებლად, კონსორციუმის წევრი ორგანიზაციები ღონეს არ დაიშურებენ, რომ ღონისძიებებისა და მოვლენების სწორი კოორდინირება უზრუნველყონ.

ეს ორგანიზაციები ახალგაზრდობის აივ/შიდსთან დაკავშირებული განათლების საკითხებზე ერთმანეთთან რამდენიმე წელია თანამშრომლობენ და პატარა მასშტაბის პროექტებს ანხორციელებენ. გლობალ ფონდის პროექტის მეშვეობით ისინი, ახალგაზრდების აივ/შიდს-თან დაკავშირებულ განათლებაზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით გახდნენ პასუხისმგებელნი, რამაც კონსორციუმის საერთო ვალდებულებებიც გაზარდა და თითოეულ მის წევრსაც დიდი როლი დააკისრა. მთავრობა და საზოგადოებაც ყველა ამ ორგანიზაციას დიდ პატივს სცემს, და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ისინი ახალგაზრდობის ნდობასაც იმასახურებენ, ეს კი ამ კავშირის ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარია. 2004-2005 წლების საქმიანობისათვის 300 000 აშშ დოლარი უნდა გამოიყოს, რაც ყველაზე დიდი თანხაა, რომელიც საქართველოში ახალგაზრდების აივ/შიდს-თან დაკავშირებულ განათლებაზე დახარჯულა (დაფინანსებულია გლობალ ფონდის პროექტის □დავამარცხოთ შიდს-ი, ტუბერკულოზი და მალარია□).

III.5 ფოკუს-ჯგუფის შეხვედრის ანგარიში

მონაწილეები: ორგანიზაციის წევრები, □საქართველოს ბავშთა ფედერაცია□ და □საქართველოს ბავშვების და ახალგაზრდების პარლამენტი□.

რაოდენობა: 8-გოგონა და 4- ბიჭი

ასაკი: 15-17

შემოსვენებული ორგანიზაციების წევრების შერჩევა შემდეგი კრიტერიუმით მოხდა: ისინი სოციალურად აქტიურები არიან და ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდასა და აივ/შიდს-თან დაკავშირებულ საქმიანობაში მუდმივად მონაწილეობენ.

კითხვა: როგორ გახდით ორგანიზაციის წევრი?

ახალგაზრდების უმრავლესობამ ორგანიზაციის შესახებ მეგობრისაგან ან გაერო-ს ბავშვთა ფონდის მიერ გამოცემული ჟურნალიდან შეიტყო, პარლამენტში არჩევის შემდეგ ისინი სბფ-ის მიერ განხორციელებულ მრავალ პროექტში მონაწილეობენ.

ტიპიური პასუხი:

ფედერაციაში ბავშვების პარლამენტიდან მოხვდი. ჩემმა სკოლამ ჩემი კანდიდატურა პარლამენტში ასარჩევად წამოაყენა, შემდეგ პარლამენტში ამირჩიეს და ახლა კომიტეტის თავმჯდომარე ვარ. ამაზე არც კი მიოცნებია. ბევრ ახალგაზრდას დაუფრთხობდნენ და აქ მრავალ საინტერესო საქმიანობას ვენევი, რის გამოც ძლიერ ბედნიერ ვარ.

კითხვა: ასოციაციაში მუშაობამ რა სარგებლობა მოგიტანათ?

ჯგუფის პასუხები, ძირითადად, ერთსულოვანი იყო: მთელი ქვეყნის მასშტაბით მეგობრების გაჩენა, თავისუფლების შეგრძნება და პასუხისმგებლობის გრძნობა, თანატოლთა პრობლემების გაზიარების შესაძლებლობა, რაღაცის კეთების შესაძლებლობა.

მონაწილეების თქმით, ისინი ასოციაციაში დიდ დროს ატარებენ და ხშირად სიამოვნებით რჩებიან აქ გვიანობამდე, რაც მათი მშობლების უკმაყოფილებას იწვევს, რადგანაც ღამით ტრანსპორტი ცუდად მოძრაობს და გაკვეთილებიც გასაკეთებელი აქვთ. ასოციაციაში მუშაობა სწავლას ხელს არ უშლის, თუმცა ზოგჯერ საშინაო დავალების გაკეთება აქ უხდებათ. ასოციაციაში მუშაობა ყველას უხარია და აქ რომ მოვიდა არ ნანობს. ასოციაციის მოზრდილ წევრებთან ურთიერთობა კარგია. ასაკობრივი სხვაობა პრობლემა არაა. ჯგუფის ვერც ერთმა წევრმა ორგანიზაციაში არსებული რაიმე პრობლემა და ვერც ორგანიზაციის ფუნქციონირების გაუმჯობესების გზები დაასახელა. ამონარიდი: *ვიდრე ახალგაზრდული პარლამენტის წევრი ვავხდებოდი, ვიცოდი ჩემი თანატოლების*

პრობლემების შესახებ და ამ პრობლემების გადაჭრა მსურდა მაგრამ მარტო ვერაფერი შევცვალე, ვერცერთ ორგანიზაციას ვერ დავუკავშირდი. დღეს ჩემი თანატოლების ინტერესებს წარმოვადგენ. ჩემს თავზე პასუხისმგებლობა ავიღე და არსებულ პრობლემებს ვერ ვუფუძვლებლავყოფ. ასოციაციის მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია უფროსებს მივმართოთ და მათი ყურადღება ახალგაზრდების საჭიროებებზე შევაჩეროთ.

კითხვა: აივ/შიდს-ზე რას ფიქრობთ და რამდენად სერიოზულია ეს პრობლემა საქართველოსათვის?

მონაწილეთა უმრავლესსა ფიქრობს, რომ აივ/შიდსი საქართველოსთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. თუმცა ორმა რესპოდენტმა განაცხადა, რომ ეს დაავადება სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველოში არ არის ძალიან გავრცელებული. აივ-სა და შიდს-თან დაკავშირებული პრობლემები მაშინვე ახალგაზრდული საკითხების პრიზმიდან იქნა დანახული. თითქმის ყველა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ განათლებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ახალგაზრდებმა კარგად არ იციან აივ-ინფექციისაგან თავი როგორ უნდა დაიცვან, ხოლო ვინც იცის, უსაფრთხო ქცევას ისიც არ ასახელებს. უნდა ითქვას, რომ თანატოლების მიერ უზრუნველყოფილი ინფორმაცია, უფროსების მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე უფრო ეფექტურია. აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდების ორგანიზაციებმა საგანმანათლებლო საქმიანობა განახორციელონ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა აივ-ით ინფიცირებულთა დისკრიმინაციას (სამედიცინო დახმარებაზე უარი, სოციალური კავშირების განწყვეტა, დისკრიმინაცია სამუშაო ადგილებზე და სხვ.). ასეთი დისკრიმინაციის მთავარი მიზეზი, როგორც ერთ-ერთმა მონაწილემ შენიშნა, არის ის რომ საზოგადოებამ ამ დაავადების გადაცემის გზები არ იცის; მათ არ იციან, რომ აივ ინფექცია ჰაერით, შეხებით და სხვ. არ გადადის. სხვა მონაწილეებმაც გაიზიარეს ეს მოსაზრება.

ამონარიდი:

- შიდსის პრობლემა საქართველოში ძალიან სეროზულია. ვფიქრობ, რომ ახალგაზრდობამ ეს პრობლემა უნდა გაიზიაროს. თანატოლების მიერ უზრუნველყოფილი ინფორმაცია უფრო ეფექტური იქნება.

- პრობლემა გლობალურად მეტად მნიშვნელოვანია, თუმცა საქართველოში აივ-ინფექცია ძალიან გავრცელებული არ არის. ჩვენ ყველა ღონე უნდა ვიღონოთ, რომ ამ დაავადების გავრცელება შევაჩეროთ და მისი შემთხვევების რაოდენობა შევამცოროთ კიდევ.

- ხალხმა არც კი იცის, რომ აივ-ინფექცია ხელის ჩამორთმევითა და კოცნით არ გადადის. სწორედ ამიტომ ფრთხილობენ, როდესაც აივ-ით ინფიცირებულს ხვდებიან; აივ ინფიცირებულები დისკრიმინირებულნი არიან.

- დისკრიმინაციის გამო, აივ- ინფიცირებული სავაავადმყოფოში შეიძლება არც კი წავიდეს, იქ ნაცნობს რომ არ გადაეყაროს.

კითხვა: არის რაიმე ისეთი განსაკუთრებული ქართულ კულტურაში რაც აივ-ს ან შიდს-ს შეიძლება უკავშირდებოდეს?

ამ საკითხის განხილვის დროს რამდენიმე თვალსაზრისი გამოიკვეთა. პირველი, რესპოდენტები მენტალიტეტზე საუბრობდნენ. ნათქვამი იყო, რომ საქართველოში ხალხი მიჩვეული არ არის სამედიცინო შემოწმება (კერძოდ, აივ-ტესტირება) გაიაროს და პარტნიორებიც, ჩვეულებრივ, ერთმანეთის აივ-სტატუსით, თვით ქორწინების წინაც კი არ ინტერესდებიან. ერთ-ერთმა მონაწილემ თქვა, რომ ამის მიზეზი ჩვენი მენტალიტეტი, რომლის შეცვლაც არცთუ ისე ადვილია.

მონაწილეებმა ქართული კულტურის კიდევ ერთი თავისებურება აღნიშნეს: პატარძალი ქალიშვილი უნდა იყოს, რაც ჯგუფის აზრით აივ-თან დაკავშირებულ რისკს ამცირებს. ამ საკითხების განხილვის დროს, ჯგუფი შემდეგ დასკვნამდე მივიდა: ასეთ შემთხვევაში დაავადებასთან დაკავშირებული რისკი მცირდება ქალებში, მაგრამ იზრდება მამაკაცებში, იმის გამო, რომ მათ სექს-მუშაკებთან უხდებათ ურთიერთობა.

ჯგუფი ნარკოტიკების მოხმარების საკითხსაც შეეხო. აღნიშნეს, რომ რისკი ნარკოტიკების და [განსაკუთრებით] ინექციური ნარკოტიკების მოხმარებასთან არის დაკავშირებული.

ასევე ითქვა, რომ საქართველოში აივ/შიდსთან დაკავშირებით ინფორმაციის ნაკლებობაა. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით მასმედია სათანადო ყურადღებას არ აქცევს მასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ფასილიტატორმა გუფს ეკლესიის როლის შესახებ აზრის გამოთქმა სთხოვა. ჯგუფმა ზოგადი განცხადებებით უპასუხა ამ კითხვას. მაგ. ეკლესია მოგვიწოდებს მომთმენნი ვიყოთ (ანუ სექსუალური დებიუტამდე დრო გავახანგრძლივოთ), და იგი ნარკოტიკების მოხმარებასა და სიმრუშეს გმობს ამონარიდები რელიგიასთან დაკავშირებულ საკითხებზე (საპირისპირო მოსაზრებები):

- *ქეშმარიტ მორწმუნეებს აივ-ი და შიდს-ი არ ემუქრება.*
- *ნარკოტიკების მომხმარებელთა რელიგიურ ენაზე საუბარი შეუძლებელია.*

კითხვა: *საქართველოში აივ-ი და შიდს-ი ყველაზე მეტად ვის ემუქრება?*

მონაწილეების უმრავლესობამ ახალგაზრდობა დაასახელა და მიუთითა ყველაზე სარისკო ასაკი 16-21 წლამდე. (ერთ-ერთი მონაწილე კი დაჟინებით იმეორებდა, რომ აივ-ი და შიდს-ი ყველა ასაკის ადამიანს თანაბრად ემუქრება).

დისკუსიის დროს ისეთი ძირითადი ფაქტორები გამოიკვეთა როგორცაა ნარკოტიკების მოხმარება, სექს-მუშაკებთან ურთიერთობა, ინფორმაციის ნაკლებობა. მონაწილეთა აზრით ახალგაზრდა მამაკაცები უფრო დიდი საფრთხის ქვეშ დგანან, რადგანაც ისინი ნარკოტიკების მოხმარებასა და ქორწინებამდე სექსუალური კავშირებისადმი უფრო მეტად არიან მიდრეკილნი.

ასევე ითქვა, რომ აივ-ის და შიდს-ის პრობლემებზე საქართველოში ბევრს არ საუბრობენ, რადგანაც ეს სექსთანაც არის დაკავშირებული. ეს თემა კი აქ სამარცხვინოა და ტაბუად დებული.

ამონარიდი: *ამ თემას აუცილებლად უნდა მოვხსნათ ტაბუ, მასმედიის, სატელევიზიო კლიპებისა და სხვა სახის რეკლამების მეშვეობით აქტიური კამპანია ვანარმოოთ. ჩვენ ვითარება ისე უნდა შევცვალოთ, რომ აღარ იყოს სამარცხვინო პარტნიორს ჰკითხოთ გაიარა თუ არა მან ტესტირება.*

ამონარიდი: *შიდსის ცენტრში მე ვნახე შიდსით დაავადებული ადამიანების ფოტოები.⁸ მთელი კვირა მესზმრებოდნენ. კომპარული სიზმრები იყო. ადრე მეგონა, რომ ეს დაავადება სახიფათო და უკურნებელია, მაგრამ პირველი პირისაგან გავიგონილი ამბავი სხვანაირად ჟღერს. ძალიან მინდა ჩემს თანატოლებს ვუთხრა თუ ეს რა საშინელებაა. აუცილებელია ჩავატაროთ მეცადინეობები, მთელ ქვეყანაში ვიზუალური ინფორმაცია გავარცელოთ. ნარმოიდგინეთ, მასწავლებლის კითხვაზე: რატომ არ იყავი სკოლაში? ჩვენ შეგვეძლება ვუპასუხოთ (გუშინ) შიდსი მქონდა .*

კითხვა: *რა თავისებურებები უნდა გავითვალისწინოთ, როდესაც საქართველოში აივ/შიდსის ცოდნის დონის ასამაღლებელ კამპანიას ვანარმოებთ?*

კითხვამ მონაწილეები ოდნავ დააბნია, მაგრამ რამდენიმე კულტურულ თავისებურებებზე ყურადღება მაინც გამახვლდა. მონაწილეებმა ახსენეს მოვლენა, რომელსაც ფსიქოლოგიურ ენაზე უსაფუძვლი ოპტიმიზმი ეწოდება. ჯგუფის წევრების აზრით საქართველოში ახალგაზრდები ფიქრობენ (უფრო მეტად ვიდრე სხვა კულტურების წარმომადგენლები), რომ მათ სარისკო სიტუაციებში (მაგ. სექსუალური კონტაქტის დროს და სხვ.) არაფერი ემუქრებათ. შემდეგ მონაწილეებმა საქართველოს ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელი თვისებები ჩამოთვალეს: უზრუნველობა, უპასუხისმგებლობა, უინტერესობა ბუკლეტებისა და სხვა საგანმანათლებლო მასალის მიმართ.

ჯგუფმა დაასკვნა, რომ საქართველოში ყველაზე დიდი რისკ-ფაქტორი ნარკოტიკების მოხმარებაა, შემდეგ კი, სექს-ბიზნესი და საზოგადოებაში ცოდნის დაბალი დონეა.

ამონარიდი: *ბევრი ახალგაზრდა ფიქრობს, რომ მე ინფექცია არ გადამედება და სექსუალური ურთიერთობების დროს დამცავ საშუალებებს არ იყენებს. ეს მე არ ემუქრება! და პრობლემა არ არსებობს! ფიქრობენ ისინი.*

ამონარიდი: *საქართველოში, მაგ პოლონეთისაგან განსხვავებით, ნარკომანია ძირითადი პრობლემაა. მთელი ძალისხმევა ამის წინააღმდეგ უნდა მივმართოთ.*

ჯგუფმა კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ თანატოლების მიერ უზრუნველყოფილი ინფორმაცია უფრო ეფექტურია.

⁸ ახალგაზრდას გაერო-ს აივ/შიდს-ის გაერთიანებული პროგრამის მიერ შექმნილი პლაკატები აქვს მხედველობაში და არა საქართველოში აივ-ის მატარებლების ფოტოები.

კითხვა: რისი გაკეთება შეუძლია თქვენს ორგანიზაციას აივ-ინფექციის პრევენციის თვალსაზრისით?

დისკუსიამ აჩვენა, რომ ჯგუფის წევრები საკუთარი ორგანიზაციის შესაძლებლობებს გადაჭარბებულად არ აფასებენ, მაგრამ ფიქრობენ, რომ თანატოლებში ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდით, სხვადასხვა კულტურული თუ სპორტული ღონისძიებებით მათ დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ აივ-შიდთან ბრძოლის საქმეში.

ღია დისკუსიის დროს ჯგუფის გოგონებმა და ვაჟებმა გენდერული და უსაფრთხო სექსის საკითხებიც განიხილეს. მონაწილეების აზრით, მტკიცე ტრადიციების გამო, საქართველოს ქალები აივ-ისაგან (ნაკლები სექსუალური კონტაქტები, ნარკოტიკების მოხმარების ნაკლები შემთხვევები) უფრო დაცულები არიან, ვიდრე სხვა ქვეყნის მდებარეობით სექსის წარმომადგენლები. მონაწილეებმა აქვე აღნიშნეს, რომ პატრიარქალურ საზოგადოებაში მედიცინას ნაკლებად ენდობიან. ხალხი მალავს საკუთარ პრობლემებს, რადგანაც გაკიცხვის ეშინია. ესეც აივ-ის და შიდს-ის საკითხებთან არის დაკავშირებული.

უსაფრთხო სექსთან დაკავშირებით ჯგუფმა აღნიშნა, რომ პროვინციების მოსახლეობასთან შედარებით, თბილისის მაცხოვრებლები დამცავი საშუალებების შესახებ უკეთ არიან ინფორმირებულნი და უფრო ხშირად იყენებენ კიდეც მათ. მიუხედავად ამისა, თბილისშიც არსებობს პრობლემები. კერძოდ, ახალგაზრდა მამაკაცები პრეზერვატივების ყიდვისას უხერხულობას გრძნობენ. ასეთი დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს. პრეზერვატივებს ძირითადად ორსულობის თავიდან ასაცლებლად იყენებენ. ორმა ახალგაზრდამ აღნიშნა, რომ მათი ნაცნობების უმეტესობა პრეზერვატივებს სექს-მუშაკებთან ურთიერთობისას იყენებს. ერთ-ერთმა თქვა, რომ მის მეგობარს, რომელიც პრეზერვატივს არ ხმარობდა დასცინეს ამის გამო. არასექს-მუშაკ ახალგაზრდა ქალებთან სექსუალური ურთიერთობის დროს პრეზერვატივის გამოყენება უფრო ხშირია ვიდრე დასავლეთის ქვეყნებში, თუმცა ასეთ შემთხვევებში, ახალგაზრდა მამაკაცები თავის პარტნიორს ჩვეულებრივ არ სთხოვენ ხოლმე თავი დაიცვას და ფიქრობენ, რომ ეს უადგილოა.

ფოკუს-ჯგუფის მსჯელობის საფუძველზე შემდეგი დასკვნების გაკეთება შეგვიძლია: ორგანიზაცია სოციალურად აქტიურია; მისი წევრები ენთუზიასტი ახალგაზრდები არიან და მათთვის საქართველოში არსებული ახალგაზრდული პრობლემები ნაცნობია, თუმცა ზოგადი ხასიათის განცხადებებს აკეთებენ, რაც პარლამენტების წევრებისაგან მოსალოდნელიცაა.

ფოკუს-ჯგუფმა დიდი ინტერესტი გამოამჟღავნა ახალგაზრდებისა და აივ ინფექცია/შიდსთან დაკავშირებულ საკითხებში. მათი აზრით ნარკოტიკების მოხმარება ეპიდემიის გავრცელების უმთავრესი ფაქტორია და ფიქრობენ, რომ ახალგაზრდები აივ-ით ინფიცირების ყველაზე მაღალი რისკის მქონე ჯგუფს განეკუთვნებიან. ახალგაზრდების აივ-ინფექცია/შიდსის ცოდნის დონე დაბალია. ამ თემაზე საუბარი მათ, არც სკოლაში და არც სახლში შეუძლიათ. ჯგუფი თვლის, რომ ახალგაზრდობისათვის ინფორმაციის მიწოდების ყველაზე კარგი მეთოდი თანატოლთა ურთიერთგანათლებაა. გენდერული თანასწორობაც ახალგაზრდული პრობლემაა. ვაჟები უფრო მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან იმის გამო, რომ ინექციური ნარკოტიკების მოხმარებლები ძირითადად მამაკაცები არიან და მათი სექსუალური ცხოვრებაც უფრო ადრე, თანაც უმეტესწილად სექს-მუშაკებთან კონტაქტით იწყება. მეორე მხრივ, ეკლესიაში დღეს სულ უფრო მეტი და მეტი ახალგაზრდა დადის.

III.6 სბფ-ის შესაძლებლობების განსაზღვრაში კულტურული მრწამსის, ტრადიციებისა და ნორმების გათვალისწინება

- ახალგაზრდების ჩართვა და მონაწილეობა

სბფ-ის ყველაზე დიდი მონაპოვარია ის, რომ ახალგაზრდები მის საქმიანობაში ფართოდ არიან ჩართულნი. მონაწილე ახალგაზრდები თვლიან, რომ სბფ-ში მათი ყოველთვის ესმით და მათ პატივსაც სცემენ ამიტომაც, საკუთარ პრობლემებზე თავისუფლად საუბრობენ და მეტი გამოცდილების მქონე უფროსების ხელმძღვანელობით ამ პრობლემების გადაჭრის გზებსაც ეძებენ. სბფ-ში თვით ახალგაზრდები ირჩევენ თუ რაში მიიღონ მონაწილეობა, რა საკითხები წამოჭრან და შემდგომში როგორ გადაწყვიტონ ისინი. ახალგაზრდები გრძნობენ, რომ თვითონ იღებენ გადაწყვეტილებებს და მონაწილეობის მიღების ენთუზიამსაც გამოხატავენ.

- კომპეტენტურობის მაღალი დონე

სბფ მჭიდროდ თანამშრომლობს აივ/შიდსის და სექსუალური გზით გადაცემული ინფექციების სფეროში მომუშავე ისეთ წამყვან ორგანიზაციებთან, როგორებიც არიან: შიდსის ცენტრი, გაერო-ს ბავშვთა ფონდი, დაერო-ს მოსახლეობის ფონდი, გაერო-ს განვითარების პროგრამა და არასამთავრობო ორგანიზაციები თანადგომა და ბემონი .

- რადიციებისა და რელიგიური მოსაზრებების მიმართ პატივისცემა

სბფ ყველა ღონეს ხმარობს, რომ ახალგაზრდების ადგილობრივ ტრადიციებსა და რელიგიურ მოსაზრებებს პატივი სცეს. სპეციალურად გამართული ღონისძიებები ახალგაზრდებს საქართველოს ისტორიასა და კულტურას აზიარებენ (კონფერენციები და შეჯიბრებები სკოლაში, ისტორიული ადგილების მონახულება და სხვ.).

სბფ-ს მიმდებარე ტერიტორიაზე პატარა ეკლესია აშენდა, სადაც ახალგაზრდები წირვას ესწრებიან. ფედერაცია ეკლესიასთან ერთად ცდილობს ეკლესიის ქველმოქმედებაში თავისი ახალგაზრდობაც ჩართოს. მოზარდებმა ეკლესიის მშენებლობაშიც მიიღეს მონაწილეობა. ისინი მთელი ქვეყნის მასშტაბით ძველი ეკლესიების აღდგენა-დასუფთავებასაც ეწევიან.

- ქველმოქმედება

სბფ ახალგაზრდებში მუშაობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის იღწვის. ისინი ცდილობენ, რომ განეული შრომისათვის ანაზღაურება ყველა ახალგაზრდამ მიიღოს, მაგრამ ამავე დროს მათ ქველმოქმედებასაც ასწავლიან. ეს ახალგაზრდობა იძულებით გადაადგილებულ ახალგაზრდა პირებს, ლტოლვილებს, მიტოვებულ და ქუჩის ბავშვებს კონსულტაციებს უწევენ და ეხმარებიან.

გლობალ ფონდის პროექტის დავამაცხობ შიდსი, ტუბერკულოზი და მალარია მეშვეობით 2005 წლის ბოლოს ორგანიზაციას კიდევ უფრო მეტი გამოცდილება დაუგროვდება და საქართველოს ახალგაზრდებისათვის აივ/შიდს-თან დაკავშირებულ საკითხებზე საგანმანათლებლო სამუშაოს კიდევ უფრო პროდუქტიულს გახდის.

ნაწილი IV. რეკომენდაციები

- იმის გამო, რომ აივ-ინფექციის გავრცელების მაჩვენებელი დაბალია მაგრამ ეპიდემიის გავრცელების რისკი მაღალი, საქართველოში აივ-ის პრევენციისათვის საჭირო საქმიანობის ძირითადი სფერო საზოგადოების განათლება და მისათვის ინფორმაციის მიწოდებაა - პირველ რიგში კი ახალგაზრდების განათლება. კულტურული და ასაკისათვის შესაფერისი ინფორმაციულ/საგანმანათლებლო ღონისძიებების დაგეგმვა, პილოტირება და განხორციელებაა საჭირო.
- სკოლებისათვის უნდა შემუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამის კურსი, შესაბამისი საგანმანათლებლო მასალა და ამაში მონაწილეობა ყველა ამ საქმესთან დაკავშირებულმა ორგანიზაციამ უნდა მიიღოს: განათლების სამინისტრო, ჯანდაცვის სამინისტრო, მასწავლებელთა და მშობელთა ასოციაცია, რელიგიური ლიდერები, ფართო საზოგადოება. ეს პროგრამები პილოტირებული უნდა იყოს ქალაქებისა და სოფლების სკოლებში. მშობლები და მასწავლებლები აქტიურად უნდა ჩაერთონ სწავლების ამ კურსის განხილვაში.
- ეპიდემიის კონტროლისათვის აუცილებელია მოსახლეობის პრობლემურ ჯგუფებში (ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები, კომერციული სექს-მუშაკები, მამაკაცებთან სექსის მქონე მამაკაცები) პრევენციის სპეციალური პროგრამების უფრო ფართომასშტაბიანი განხორციელება (მავნებლობის შემცირება, IEC interventions, აუთრიჩი (outreach), კონსულტირება და ტესტირება, თანატოლთა ურთიერთგანათლება).
- სახელმწიფომ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ დამატებითი კურსების მეშვეობით სამედიცინო პერსონალის (ექიმების და მედდები) შესაბამისი მომზადება და განათლება უზრუნველყოს (მედდების აივ-ისა და შიდს-ის ცოდნის დონე მეტად დაბალია; Goodwin et al., 1999)
- მიგრანტებში აივ-ის პრევენციას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. აუცილებელია განხორციელდეს საინფორმაციო/საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც ამოსახლეობის ლინგვისტურ საჭიროებებსაც ითვალისწინებს: შესაბამისი ბუკლეტების დისტრიბუცია და პრეზერვატივების პროპაგანდა ქვეყნის სასაზღვრო რაიონებში მიგრანტებისათვის.
- აივ-ინფექციის პრევენცია აუცილებელია საქართველოს პენიტენციურ სისტემაში. ასეთი საქმიანობა ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელი პატიმრებისაკენ უნდა იყოს მიმართული და ნემსის გაცვლის პროგრამას, ინფორმაციას, განათლებას, კონსულტირებასა და ნებაყოფლობით ტესტირებას უნდა უზრუნველყოფდეს.
- აივ-პრევენციისათვის საჭირო ეფექტური საქმიანობის განხორციელებისათვის, რომელიც პრობლემური ჯგუფებისაკენ იქნება მიმართული, აუცილებელია საყრდენი საკანონმდებლო გარემოს შექმნა. ამასთან ერთად აუცილებელია შესაბამისი ინსტიტუციონალური პოტენციალის არსებობაც.
- ქრთული თანამედროვე საზოგადოების გარკვეული კულტურული მრწამსი და ჩვევა ინოვაციური ხასიათის საქმიანობის საშუალებას იძლევა. როგორც უკვე მრავალჯერ აღვნიშნეთ, ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები მთავარ რისკ-ჯგუფს წარმოადგენენ საქართველოში. გარდა ამისა, საქართველოს ახალგაზრდობისათვის ნარკოტიკების მომხმარებლის სოციალური იმიჯი მეტად მომხიბვლელია ყოველ შემთხვევაში ზიზღისა და დისკრიმინაციის ობიექტი არ არის. კარგი იქნება შეიქმნას ვრცელი, ან თუნდაც პილოტური, პროგრამა, რომელიც ასეთ იმიჯს დაუპირისპირდება და ნარკოტიკების მომხმარებლების დეპოპულარიზაციას მოახდენს.
- საქართველოში მასმედიის წარმომადგენლებს აივ ინფექცია/შიდსთან დაკავშირებული მეცადინეობები უნდა ჩაუტარდეთ, სადაც აუცილებლად განხილული იქნება ადამიანთა უფლებები და კონფიდენციალობის საკითხები. აუცილებელია მასმედია აივ-ინფექციის პრევენციის საკითხების უფრო ფართოდ გაშუქებით დაინტერესდეს.

ლიტერატურა

ანთელავა ლ., სტვილია ქ., ჯაში მ. 2001, საქართველოში აივ/შიდსის სიტუაციური ანალიზი, UNAIDS, UNICEF, ინფექციურ დაავადებათა, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის კვლევის ცენტრი, თბილისი, საქართველო.

Dershem L., Gurola Bonilla S., Sirbiladze T., Todadze Kh., Dallabetta D., Tsagareli T., Stvilia K. 2004. *Characteristics, High-Risk Behaviours and Knowledge of STI/HIV/AIDS, and HIV and Syphilis Prevalence Among Injecting Drug Users in Tbilisi*. Report on the Behavioural Surveillance Survey with a Biomarker Component for the SHIP Project.

გაბიანი ა. 1988. ნარკოტიკების მოხმარება გუშინ და დღეს, □საბჭოთა საქართველო□, თბილისი, საქართველო

Goodwin R., Kozlova A., Kwiatkowska A., Nguyen Luu L.A., Nizharadze, G., Realo, A., Kulvet A., & Rammer A. 2003. Social representations of HIV/AIDS in Central and Eastern Europe. *Social Science and Medicine*, Vol. 56, pp. 1373-1384.

Goodwin R., Kozlova A., Nizharadze G., & Polyakova G. 2004. HIV/AIDS amongst adolescents in Eastern Europe: Knowledge of HIV/AIDS, social representations of risk and sexual activity amongst school children and homeless adolescents in Russia, Georgia and the Ukraine. *Journal of Health Psychology*, Vol. 9, pp. 381-396.

Gotsadze T., Chawla M., Chkhartishvili K. 2004. *HIV/AIDS in Georgia – Addressing the Crisis*. The World Bank working paper #23.

ჯინჭარაძე გ., პაიჭაძე თ., 2002. ბავშვთა სექსუალური განათლების შესახებ □ორთოდოქს ქრისტიან მშობელთა კავშირი□ თბილისი, საქართველო

ჯანაშია ჯ.ა. 2002. 21-ე საუკუნის გამოწვევა, თბილისი, საქართველო

Kachkachishvili Y. 1999. *Analysis of Sociological Survey on Reproductive Health Related Problems among Residents of Tbilisi*. The New Paradigms, #3, pp. 125-170.

კარსელიშვილი ვ. 2002. საქართველოს ციხეებში აივ/შიდსი-ის, ჰეპატიტებისა და სექსუალური გზით გადამდები დაავადებების პრევენცია. მოხსენება კონფერენციაზე □ნარკომანია: სახელმწიფოს თუ ოჯახის პრობლემა?□, თბილისი, საქართველო

Khomasuridze A., Kristesashvili J., Tsuladze G. 2002. 'Adolescents' Reproductive Health Survey' – UNFPA.

Nizharadze G., Jgerenaya E., Kachkachishvili I., Mshvidobadze R., Khutsishvili G. 2004. *Urban population of Georgia on religious issues*. In: Lejava N. (ed.). Orthodoxy in states and societies of Georgia and Russia. Tbilisi, HBS, pp. 104-121.

Nijaradze G. 2001. *We are the Georgians*. In: Duve F., Tagliavini H., (ed.). The Caucasus - Defence of the Future. Vienna, Bolzano, pp. 118-142.

Serbanesco F., Morris L., Nutsbidze N., Imnadze P., Shaknazarova M. 2001. *Women's Reproductive Health Survey, Georgia 1999: Final Report*. Centers for Disease Control. Atlanta, Georgia, USA.

Shelley L. *Organized Crime in the Former Soviet Union: The distinctiveness of Georgia*; <http://www.traccc.cdn.ge/publications/publication1.html> (Accessed May 2005)

Tkeshelashvili K., Del Rio C., Nelson N., Tsertsvadze T. 2003. The Emerging HIV/AIDS Epidemic in the Republic of Georgia: lessons learned and opportunities for prevention. Accepted for publication by *International Journal of STD and AIDS*.

Tsuladze G., Maglaperidze N., Vadachkoria A. 2003. *Demographic yearbook of Georgia*. UNFPA, Tbilisi, Georgia.

UNDP. 2003. *Annual Report on Drug Situation in Georgia, 2003*. Programme of Assistance for the Prevention of Drug Abuse and Drug Trafficking in the Southern Caucasus (SCAD program).

დამატება I. პიოგრაფიული მონაცემები ავტორების შესახებ

ქეთევან (ქეთი) სტვილია

- ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრის (თბილისი), ინფექციურ დაავადებათა შიდს-ის პრევენციის განყოფილების გამგე. ქ-ნ ქეთევანს მიღებული აქვს ნიუ-იორკის უნივერსიტეტის რობერტ ვაგნერის საზოგადოებრივი ადმინისტრაციული სკოლის მაგისტრის წოდება (ნიუ-იორკი, 1998) და იყო ედმონდ მასკისა და Freedom Support Act წევრი. მისი ინტერესის ძირითადი სფეროებია აივ/შიდსის პრევენცია და კონტროლის პოლიტიკა, აივ/შიდსის ქვევითი და ეპიდემიოლოგიური კვლევები და ჯანდაცვის სისტემის რეფორმა. მისი ძირითადი მიღწევებია: აივ/შიდს-ის პრევენციის თანამედროვე მეთოდოლოგიების დანერგვა (განხორციელება) და საქართველოში UNAIDS მხარდაჭერით აივ/შიდსის სტრატეგიულ დაგეგმარებასა და სიტუაციურ ანალიზში აქტიური მონაწილეობა. ქეთევან სტვილია თანაავტორია გლობალ ფონდის საქართველოს განაცხადისა □ აივ ინფექცია/შიდსის წინააღმდეგ საპასუხო ღონისძიებების გაძლიერება □, რომელიც 12 მილიონი □ აშშ დოლარით დაფინანდა 2003-2007 წლების პერიოდისათვის.

გიორგი ნიჟარაძე

□ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს (1985) მიერ მინიჭებული აქვს დოცენტის წოდება. იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, დ. უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის (თბილისი) კულტურის ფსიქოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელია. იგი ასევე ხელმძღვანელობს კონფლიქტისა და მოლაპარაკების საერთაშორისო ცენტრის კვლევით ჯგუფს და ლექციებს კითხულობს სოციალურ და განსხვავებული კულტურების ფსიქოლოგიაში თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტში და ილია ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა სახელმწიფო უნივერსიტეტში. იგი მონაწილეობდა აივ/შიდს-თან დაკავშირებულ ორ საერთაშორისო პროექტში: აივ/შიდს-ის სოციალური გამოხატვა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში (1998-1999) და აივ/შიდს-ის ცოდნა: რუსეთში, საქართველოსა და უკრაინაში რისკის და სექსუალური აქტივობის სოციალური გამოხატვა სკოლის მოსწავლეებსა და უსახლ-კარო მოზარდებში (2001-2003).

ნათუნა თოდაძე

□ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტს მიერ მინიჭებული აქვს დოცენტის წოდება (1989) და თბილისის სახელმწიფო აკადემიის მიერ მინიჭებული აქვს დოქტორის წოდება substance abuse (addictology) (1999).

იგი არის საქართველოს ნარკოლოგიის (ნარკომანიის) ინსტიტუტის მეცნიერული დირექტორი და სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ნარკოლოგიის კათედრის პროფესორი. პროფ. თოდაძე არის ნარკომანიის ექსპერტი Ministry of Health's National Focal Point on Drug Demand and Coordination. მისი ინტერესის მთავარი სფეროებია: ნარკოტიკებზე დამოკიდებულებისა და მასთან დაკავშირებული ზიანის ეპიდემიოლოგიური შესწავლა, ნარკომანიის ფსიქო-სოციალური ასპექტები საქართველოში, ნარკომანიის პრევენციისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდების დანერგვა. პროფ. თოდაძეს მიღებული აქვს მონაწილეობა აივ/შიდს-ის ეპიდემიოლოგიასა და პრევენციასთან დაკავშირებულ რამდენიმე პროექტში და საქართველოში აივ/შიდს-ის სიტუაციურ და საპასუხო ანალიზში (2002 □ 2002). 2005 წლიდან გლობალ ფონდის პროექტის □ დაავადებების შიდს-ი ტუბერკულოზი და მალარია □ ფარგლებში იგი ჩანაცვლებითი თერაპიის საქართველოში პირველი პროგრამის კოორდინატორია.